

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გიორგი ლილუაშვილი

**კომპანიის ფინანსური მდგრადობის მხარდამჭერი
ავტომატიზებული მართვის კონცეფცია**

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა ინფორმატიკა

შიფრი 0401

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, 0175, საქართველო

2019 წ

საავტორო უფლება © 2019 წელი გიორგი ლილუაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ გავეცანით გიორგი ლილუაშვილის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით „კომპანიის ფინანსური მდგრადობის მხარდამჭერი ავტომატიზებული მართვის კონცეფცია“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის“ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

-----,----- 2019 წელი

ხელმძღვანელი:

პროფ. ქეთევან ნანობაშვილი

რეცენზენტი:

რეცენზენტი:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2019 წ

ავტორი: გიორგი ლილუაშვილი

დასახელება: კომპანიის ფინანსური მდგრადობის მხარდამჭერი
ავტომატიზებული მართვის კონცეფცია

სადოქტორო პროგრამა: ინფორმატიკა

ხარისხი: აკადემიური დოქტორი

სხდომა ჩატარდა:

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ შემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიკურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

დისერტაციას ვუძღვნი ჩემს მშობლებს - ნანა კობახიძეს და ზაზა ლილუაშვილს, ასევე ჩემს დას თამარ ლილუაშვილს.

რეზიუმე

სადისერტაციო ნაშრომში „კომპანიის ფინანსური მდგრადობის მხარდამჭერი ავტომატიზებული მართვის კონცეფცია“ განხილულია ფინანსური მენეჯერებისთვის, ერთ-ერთი ყველაზე შრომატევადი საქმის, ფინანსური მდგომარეობის განმსაზღვრელი მაჩვენებლების გამოსაანგარიშებლად საჭირო კოეფიციენტების ავტომატიზებული გამოთვლის სისტემა. ახსნილია მისი შექმნის აუცილებლობა და მნიშვნელობა არა მარტო ფინანსური მენეჯერებისთვის, არამედ გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვისაც ანუ სხვადასხვა დონის მენეჯერებისთვის.

ავტომატიზებული სისტემების განვითარებამ გამოიწვია სააღრიცხვო პროცესების გამარტივება, რის გამოც ყველა სახის კომპანიამ დაიწყო ავტომატიზებული სისტემების ფართოდ გამოყენება. ისინი გამოიყენება არა მარტო დიდ, მძლავრ კომპანიებში, არამედ ბიზნესის სხვა სახეობებშიც როგორცაა მაგალითად სასურსათო მაღაზიები, კვების ობიექტები და ა.შ. აღნიშნული პროგრამები იაფი, მარტივი, სწრაფი და ზუსტია. თუმცა იმ პრობლემის გადაწყვეტას რომელიც ჩვენ დავსვით ვერ ემსახურება. კომპანიის მესაკუთრეების და ფინანსური მენეჯერები დამატებითი ძალისხმევის გარეშე ვერ იღებენ მათთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელიც საკმაოდ რთული გადაწყვეტილებების მისაღებად ესაჭიროებათ.

ნებისმიერი სახის ორგანიზაცია/კომპანია საკმაოდ რთული სისტემაა. იგი ცოცხალი ორგანიზმია თავისი ფუნქციონალური ნაწილებით. ორგანიზაციის მართვის დროს რამდენიმე კომპონენტისგან შედგება, როგორცაა დაგეგმვა, პროცესის უშუალო განხორციელება და კონტროლი. აუცილებელია ამ კომპონენტების სწორი მენეჯმენტი რათა კომპანია/ორგანიზაცია იყოს მდგრადი, ანუ სიცოცხლისუნარიანი.

არის თუ არა კომპანია მდგრადი? ამის განსაზღვრა საკმაოდ რთული პროცესია და მაჩვენებელთა მთელ რიგ მონაცემებს მოითხოვს, როგორცაა ლიკვიდობა, მომგებიანობა, გადახდისუნარიანობა, ვალდებულებებზე დამოკიდებულება, საქმიანობის ეფექტიანობა, კაპიტალის ბაზარზე საქმიანობის ეფექტიანობა და ა.შ.

ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებლების განსაზღვრა საკმაოდ შრომატევადი პროცესია, ამავდროულად მნიშვნელოვანი, ხოლო ანალიტიკოსების, ადამიანების ვინც განსაზღვრავს და მათ გაუმჯობესებაზე იზრუნებს, მომსახურება საკმაოდ ძვირი. შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროცესი ძვირადღირებულიცაა.

კომპანიის მდგომარეობის განმსაზღვრელი მონაცემების საფუძველზე ფაქტობრივად შეუძლებელია დაგეგმო და განსაზღვრო საქმიანობის მომავალი. მის განსაზღვრას ნებისმიერი ზომის ბიზნესსუბიექტი ახორციელებს სხვადასხვა სახით. მაგალითად მცირე ბიზნესსუბიექტები მარტივი დაკვირვებით, ხოლო შედარებით დიდ საწარმოებში, კომპანიებში, ორგანიზაციებში, სადაც მარაგების, ფულადი ნაკადების მაღალი მოძრაობაა,

შემოსავლები და ხარჯები დივერსიფიცირებულია, გააჩნიათ დაფინანსების მრავალი წყარო, აქტივების დიდი რაოდენობა საკმაოდ რთულია. ამ დროს გამოყენებული მაჩვენებლები განხილულია სადისერტაციო ნაშრომში.

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას მიზნად დავისახეთ გამოგვეყო კომპანიის ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები, გვეჩვენებინა მათი გამოთვლის წესი, მნიშვნელობა, სირთულე. მიზნად დავისახეთ განგვეხილა ყველა ის მაჩვენებელი რომელი განსაზღვრავს კომპანიის მდგრადობას, შეგვექმნა ავტომატიზებული მართვის სისტემის ისეთი კონცეფცია რომლის საშუალებითაც ისარგებლებს როგორც დიდი ორგანიზაციები, ასევე მცირე კომპანიები. ეს ამ უკანასკნელთათვის უფრო ხარჯეფექტურიც იქნება. იგი უნდა იყოს მარტივი, რათა ნებისმიერმა ადამიანმა ვისაც მცირედი განათლება ან ინფორმაცია მაინც აქვს ფინანსების, ბუღალტერიის და მენეჯმენტის მიმართულებით.

სისტემა შეიძლება გამოყენებულ იქნეს: ნებისმიერი კომპანიის ფინანსური შედეგებისა და ბალანსის სტრუქტურის ანალიზისათვის; კომპანიის ბალანსის ლიკვიდურობის ანალიზისათვის კოეფიციენტების გამოყენებით: აქტივებისა, რომლებიც დაჯგუფებულია ლიკვიდურობის ხარისხის მიხედვით; პასივებისა, რომლებიც დაჯგუფებულია გასტუმრების ვადების მიხედვით და სხვ.; კომპანიის გადახდისუნარიანობის ანალიზისათვის; კომპანიის მარაგებისა და ხარჯების ფორმირების წყაროთა ანალიზისათვის; კომპანიის საქმიანობის ეფექტურობის (რენტაბელობის) და საქმიანი აქტივობის ანალიზისათვის; დებიტორული და კრედიტორული დავალიანების ანალიზისათვის; კომპანიის მოგების ანალიზისათვის; სპეციფიკური მატერიალური მარაგებისა და ძირითადი საშუალებების ანალიზისათვის და სხვ.

სადისერტაციო ნაშრომში მიზნად დავისახეთ, დავამუშაოთ და შევქმნათ ისეთი პროგრამა, რომელიც დამატებითი ძალისხმევით გარეშე შეიძლება ნებისმიერი საქმიანობის და მასშტაბის მქონე კომპანიის ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებლების გამოთვლას სხვადასხვა მიზნებისთვის.

უნდა ითქვას, რომ ბუღალტრული აღრიცხვის ძალიან ბევრი პროგრამა წარმატებით მუშაობს საქართველოში, რომლებიც გამოიყენება შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვისთვის და საგადასახადო სამსახურებთან ურთიერთობის გამარტივებისთვის.

თუმცა არ არსებობს პროგრამა, რომელიც მოახდენს ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლების ანალიზს. იგი ძალიან რთული პროცესია, ბევრი ნიუანსისგან შემდგარი, რის გამოც აღნიშნული მაჩვენებლების გამოთვლა დიდ დროს მოითხოვს. ავტომატიზებული პროგრამის შექმნა კი ბევრად გაამარტივებს ამ პროცესს. ჩვენის აზრით, საჭიროა, მეცნიერულად დამუშავდეს ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლების გამოთვლის პროგრამის ოპტიმალური და ეფექტიანი ვარიანტი.

სისტემამ უნდა უზრუნველყოს კომპანიის შიდა მოხმარებისათვის აუცილებელი მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო ფინანსური მაჩვენებლების დაანგარიშება დროის ნებისმიერი მონაკვეთისათვის ნებისმიერი მასშტაბის მქონე ბიზნესსუბიექტისათვის.

ამ ამოცანის გადაწყვეტა რეალიზებული იქნება ელექტრონულ სისტემაში გათვალისწინებული ცალკეული მოდულის მეშვეობით. ცხადია, მოდული უზრუნველყოფს დროისა და ფინანსების დაზოგვას.

Abstract

In the dissertation work "The automated management concept of supporting the financial stability of the company" is discussed and analyzed for financial managers, as one of the most responsible, argumentative and problematic activities which refers to the situation around financial sustainability. The automated calculation system of coefficients to calculate the characteristics of the financial stability of the company is worked out. The necessity and importance of creating system like that is justified for not only financial managers, but for decision makers and managers in any object management process as well.

As it is known, the functioning of the automated system counts for several decades and its scale is expanding at great speed. The development of such systems has led to the simplification of realization of these processes in accounting processes. This is the basis for the use of automated systems in existing companies. They are not only used in large but powerful companies, but in other types of business such as food stores, food stores, etc. These programs are cheap, easy, fast and accurate. However, the solution to the problem that we have analyzed in the dissertation work does not serve at the appropriate level. Owners and financial managers of the company are not able to receive significant inputs without additional effort requiring more difficult decisions.

Any type of organization or company is a very complex system. It is a living organism with its functionality. The management of the organization consists of several components, such as planning, direct implementation of the process, its control and so on. Correct management of these components is essential to ensure that a company or organization is sustainable or workable.

The question is "Is our company sustainable?" Determining this is a very difficult process and requires a number of indicators, such as liquidity of the company, profitability, solvency, dependence on liabilities, efficiency of performance, efficiency of the activity on the capital market, etc.

Determination of the above indicators is quite a hard process, and at the same time the service of analysts, the people who define and improve their services, is quite expensive. It is practically impossible to determine and plan the future of the company's activities based on data from the financial stability of the company.

Any size of business carries out its determination in different forms. For example, with simple observations small businesses have easier job in comparison to large enterprises, companies, organizations, where there is a high flow of cash, revenues and expenses are diversified, there are many sources of funding, a large number of assets.

The main characteristics of the management and management of these processes, which are somewhat effective on the financial standing of the company, are discussed and analyzed in the dissertation work. While working on the dissertation work, we set out to highlight the financial stability of the company, to show their rule of calculation, importance and difficulty.

Our goal is to set out all the indicators that determine the company's stability, the concept of an automated management system that will benefit both large organizations and small companies. This will be more cost-effective for small companies. It should be simple that any person who has little education or information in finance, accounting and management could manage it.

The system can be used for analyzing the financial results and balance structure of any company; Using the coefficients of liquidity analysis of the company's balance of assets that are grouped according to the liquidity level; Liabilities that are grouped according to the terms of the payment and etc. Also for analyzing the solvency of the company; For analyzing the resources of the company's supplies and expenditures; For analyzing the efficiency of the Company's performance and profitability; For receiving debit and credit debt debts; For analyzing the company's analysis; Specific material supplies and basic means for analysis, etc.

The main purpose of the dissertation work is to set up and develop a program that will be able to calculate the financial position of the company with any activity and scale without any additional effort for different purposes. It should be said that many programs of accounting work which are used to calculate revenue and expenditure and facilitate relation with tax services successfully in Georgia. However, there is no program that will analyze financial sustainability indicators. It is a very complicated process, consisting of many nuances, which is why calculating these indicators requires great experience.

Creating an automated program will simplify this process a lot. In our opinion, it is necessary to scientifically develop the optimal and effective version of the program of calculation of financial sustainability. The system must ensure the financial indicators necessary to obtain the necessary management decisions of the Company for any section of the business and at any time.

The solution of this task will be realized through the electronic system with separated module that ensures a sharp decline in the time and finances of the financial and economic processes, and boost the quality of the product (or service sector).

შინაარსი

შესავალი.....	14
თავი I. ფინანსური შედეგების მაჩვენებელთა სისტემა და ანალიზის მეთოდოლოგია.....	20
1.1. ლიტერატურული წყაროების ანალიზი.....	20
1.2. ფინანსური შედეგების გარე ანალიზი.....	22
1.3. ფინანსური შედეგების შიდა ანალიზი.....	29
პირველი თავის დასკვნა.....	37
თავი II. კომპანიის კაპიტალდაბანდებების და საქმიანობის ეფექტიანობის ანალიზი.....	40
2.1. კაპიტალდაბანდებების ბიუჯეტირება.....	40
2.2. კაპიტალდაბანდებების ეფექტიანობის ანალიზი.....	50
2.3. სამეწარმეო საქმიანობის ეფექტიანობის ანალიზი.....	58
2.4. ფინანსური ანგარიშგების ანალიზი.....	62
2.5. ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საქმიანობის ეფექტიანობის ანალიზი.....	78
მეორე თავის დასკვნა.....	85
თავი III. ექსპერიმენტული ნაწილი.....	88
3.1. კომპანიის ფინანსური მდგრადობის ელექტრონული ანალიზი.....	88
3.2. კომპანიის ფინანსური მდგრადობის ანალიზი და მიზნობრივი ფუნქციის ზოგადი მოდელის აგების ფაქტორები.....	93
3.3. კომპანიის ფინანსური მდგრადობის ანალიზი და მიზნობრივი ფუნქციის ზოგადი მოდელი.....	100
3.4. მიზნობრივი ფუნქციის მოდელის რეალიზება ინტერაქტიურ რეჟიმში.....	102
მესამე თავის დასკვნა.....	108
დასკვნები და რეკომენდაციები.....	111
გამოყენებული ლიტერატურა.....	114

ნახაზების ნუსხა

ნახ. 1. კომპანიის ფინანსური მდგომარეობის პრობლემები და მისი გამომწვევი მიზეზები.....	99
ნახ. 2. მიზნობრივი ფუნქციის ძირითადი ნაწილები.....	105
ნახ. 3. ფინანსური მდგრადობის მიზნობრივი ფუნქციის მოდელირებისა და რეალიზების ზოგადი სტრუქტურა.....	106
ნახ. 4. მათემატიკური მოდელის ინტერაქტიური რეალიზების სტრუქტურული სქემა.....	107

სურათების ნუსხა

სურ. 1. გარემო პირობების ანალიზი.....	31
სურ. 2. გაყიდვების შიგასამეურნეო ანალიზი.....	33
სურ. 3. ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ჩარჩო.....	68
სურ. 4. ფინანსური მდგომარეობის კოეფიციენტების ტიპები.....	70
სურ. 5. ოპერაციული ციკლი ნაღდი ფულის ციკლის საპირისპიროდ.....	77

ცხრილების ნუსხა

ცხრილი 1. ბალანსი.....	64
ცხრილი 2. მოგება-ზარალის ანგარიშგება.....	65
ცხრილი 3. ანგარიშგება საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ.....	66
ცხრილი 4. ანგარიშგება ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ.....	67

მადლიერება

მინდა მადლიერება გამოვთქვა ჩემი ხელმძღვანელის, ქალბატონ ქეთევან ნანობაშვილის მიმართ, რომელიც დისერტაციაზე მუშაობის პერიოდში გვერდით მედგა, მიწევდა კონსულტაციებს და დროულად უზრუნველყოფდა სამეცნიერო იდეებითა და შესაბამისი მასალებით.

მადლობას ვუხდი მართვის ავტომატიზებული სისტემების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, პროფესორ გია სურგულაძეს, პროფესორ გურამ ჩაჩანიძეს, რომელთა საქმიანი და სამეცნიერო რჩევები ხელს მიწყობდა დისერტაციაზე მუშაობაში, დასახული მიზნისკენ მიღწევაში.

განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ თინათინ დოლიაშვილს, რომლის უდიდესი დამსახურებაც ჩემი, როგორც პროფესიონალის ჩამოყალიბება.

შესავალი

კვლევის აქტუალურობა.

თანამედროვე საბაზრო პირობებში ავტომატიზებულ სისტემებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მისი როლი მსოფლიოს განვითარებაში უდიდესია. ავტომატიზებული სისტემები გადამწყვეტ როლს ასრულებს გლობალიზაციის დაჩქარებაშიც. ავტომატიზებული სისტემების როლი უაღრესად მნიშვნელოვანია ეკონომიკის განვითარებისთვის ნებისმიერ სისტემაში. ავტომატიზებული სისტემების მაღალი განვითარების მქონე ქვეყნები ეკონომიკურად ყველაზე ძლიერ ქვეყნებს წარმოადგენენ.

ავტომატიზებულ სისტემებს უდიდესი როლი ენიჭება ეკონომიკის ისეთ მიმართულებაში, როგორცაა ფინანსები. დღესდღეობით ფინანსური ოპერაციების უდიდესი მოცულობა სწორედ ავტომატიზებული სისტემებით ხორციელდება და მისი დამსახურებაა ის, რომ ყველა ოპერაცია სწრაფი, მარტივი და იაფია. ავტომატიზებული სისტემები საშუალებას იძლევა დაგროვილი მონაცემთა ბაზა დიდ ხნით შეინახოს და საჭიროების შემთხვევაში გამოყენებულ იქნას ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ადგილიდან.

ავტომატიზებულმა სისტემებმა და კომპიუტერულმა პროგრამებმა გაამარტივეს კომპანიის მართვა. შესაძლებელი გახდა რთული ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივება, რითაც კომპანიის მენეჯმენტს საშუალება მისცა ყოველდღიური წარმოდგენა ჰქონდეთ შემოსავლებისა და ხარჯების მოცულობაზე, რაც მათ ფინანსური მდგომარეობის მართვაში ეხმარება. დღესდღეობით შექმნილია ბუღალტრული აღრიცხვის ძალიან ბევრი პროგრამა, რომელმაც მონაცემთა სისტემატიზება გაუმარტივა ბუღალტერს. თუმცა კომპანიის ფინანსური მდგომარეობის განსაზღვა მაინც რთულია კოეფიციენტების შემადგენლობის სირთული გამო.

ფინანსური მენეჯერები დიდ დროს კარგავენ ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებლების განსაზღვრისას. ხშირია შეცდომები, რაც გადაწყვეტილების მიღების პროცესს ახანგრძლივებს. მცდარი

გადაწყვეტილებები კი, როგორც წესი აჩერებენ ბიზნესის განვითარებას, აკარგვინებს ბიზნესს ბაზრის სეგმენტის მნიშვნელოვან ნაწილს.

თანამედროვე ეპოქაში სულ უფრო ვითარდება საინფორმაციო ტექნოლოგიები, მათ შორის ფინანსურ სფეროშიც. საინფორმაციო ტექნოლოგიებმა მინიმუმამდე დაიყვანა ნებისმიერი ტრანზაქციის როგორც დროითი, ისე ფინანსური და ადამიანური რესურსის გამოყენებაც. მაგალითად, რთული ბუღალტრული აღრიცხვა, რომელიც ხელით მუშაობის პირობებში შეცდომების დიდი ალბათობით ხასიათდებოდა, თანამედროვე პროგრამების გამოყენებით შედარებით მარტივ პროცესად იქცა.

ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამები მსოფლიოში ფართოდაა გავრცელებული. თუმცა საქართველოში ქართულ ანალოგებსაც ვიყენებთ, ესენია ORIS და სულ ახლახანს შექმნილი პროგრამა BALANCE.

აღნიშნულ პროგრამების ზუსტი ბუღალტრული აღრიცხვის განხორციელების საშუალებას იძლევა. თუმცა ფინანსური მენეჯერებისთვის და კომპანიის მფლობელებისთვის ფინანსური შედეგების განსაზღვრა ხელით, სპეციალური მაჩვენებელთა ფორმულების გამოყენებით ხორციელდება.

მიუხედავად აღნიშნულისა, მნიშვნელოვანია დამუშავდეს და დაინერგოს თანამედროვე მართვის ავტომატიზებული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ნებისმიერი ბუღალტრული ოპერაციის ჩატარებას ინტერაქტიურ რეჟიმში, საშუალებას მოგვცემს განისაზღვროს ფინანსური მდგარდობის მაჩვენებლები.

უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოში ფინანსური აღრიცხვაში, მენეჯმენტსა და აუდიტში, ანუ მთავარ ფინანსური მიმართულებებში დასაქმებულთა საშუალო ანაზღაურება მეორე ადგილას დგას IT სპეციალისტების შემდგომ და იგი სულ უფრო მზარდი ტენდენციით ხასიათდება. აღნიშნული გვამცნობს, რომ მცირე ზომის კომპანიებს ფინანსური მენეჯერების (ანალიტიკოსების დაქირავება) ძვირი დაუჯდებათ, რაც მათთვის არარაციონალურ ხარჯს წარმოადგენს.

დღეს უკვე აღარ ისმის კითხვა, თუ რატომ ესაჭიროება მცირე ორგანიზაციას აღნიშნული ტიპის მაჩვენებლების განსაზღვრა? ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები სწორედ ის მაჩვენებლებია, რომლის გამოყენებითაც მენეჯერმა უნდა დაგეგმოს საქმიანობა, რათა მიიღოს სასურველი შედეგი. აღნიშნული მაჩვენებლები ასეთივე მასშტაბებით გამოიყენება კომპანიის გადახდისუნარიანობის დადგენაშიც, რომელიც საბანკო კრედიტის მიღების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

სწორედ აღნიშნული მონაცემების არცოდნა არის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა იმისა, რომ დღესდღეობით მცირე კომპანიები ვერ წვდებიან დაგროვილ საგადასახადო ვალდებულებებს, რაც კომპანიისთვის, კრედიტორისთვის და მთლიანად ეკონომიკისთვის დიდი ზიანის მომტანია. ამიტომ, აღნიშნული კონცეფციის მქონე პროგრამის შექმნა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს როგორც მცირე მეწარმეებისთვის, ასევე საშუალო და მსხვილი ბიზნესების წარმომადგენლებისთვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფინანსური მენეჯერები დიდ დროს კარგავენ კომპანიის ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლების განსაზღვრისას. ხშირია შეცდომები, რაც გადაწყვეტილების მიღების პროცესს ახანგრძლივებს, აფერხებს ბიზნესის განვითარებას, აკარგვინებს ბიზნესს ბაზრის სეგმენტის მნიშვნელოვან ნაწილს. კომპანიის ფინანსური მდგრადობა და მის შესახებ სრული ინფორმაციის ფლობა არის კომპანიის ეფექტიანი ფუნქციონირების, შემოსავლების, მოგების ზრდისა და შემდგომი განვითარების ძირითადი საყრდენი.

კომპანიის ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლების განმსაზღვრელი პროგრამა მნიშვნელოვანი მხარდაჭერა იქნება როგორც დიდი, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური მენეჯერებისთვის. მათ საშუალება ექნებათ ოპერატიულად ნებისმიერი ოპერაციის განხორციელებისას აკონტროლონ თავიანთი ფინანსური მდგომარეობა. ცხადია, კომპანიის ფინანსური მდგრადობა დაკავშირებულია მის გადახდისუნარიანობასთან,

საქმიან აქტივობასთან, ფინანსური ბერკეტის ეფექტიანობასთან, ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდებთან და სხვ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მათი ანალიზის მეთოდის ჩამოყალიბება და პრაქტიკული განხორციელება, რაც ჯერჯერობით არც საქართველოში და არც საზღვარგარეთის ქვეყნებში მეცნიერულად არ არის დამუშავებული და განვიცდით მის დეფიციტს.

დისერტაციის კვლევის ძირითადი მიმართულებაა - **დამუშავდეს კომპანიის ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლების გამოთვლის და ანალიზის ოპტიმალური და ეფექტიანი მეცნიერული მეთოდი, რომელიც რეალიზებული იქნება ინტერაქტიურ ავტომატიზებულ რეჟიმში, ელექტრონული ფორმით.** ამ მეთოდის გამოყენებით, დამატებითი ძალისხმევის გარეშე, შესაძლებელი იქნება ნებისმიერი საქმიანობის და მასშტაბის მქონე კომპანიის ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებლების გამოთვლა.

სისტემა უზრუნველყოფს კომპანიის შიდა მოხმარებისათვის აუცილებელი მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო ფინანსური მაჩვენებლების დაანგარიშებასა და ანალიზს დროის ნებისმიერი მონაკვეთისათვის ნებისმიერი მასშტაბის მქონე ობიექტისათვის.

დისერტაციაში წარმოდგენილი იქნება:

- ❖ კომპანიის ფინანსური მდგრადობის განსაზღვრის არსებული მიდგომების, მეთოდების და უზუსტობების მიგნება და აღმოფხვრა;
- ❖ კომპანიის რესურსების (ადამიანური, ფინანსური, ინტელექტუალური და სხვ.) გამოვლენის, ფინანსური მდგრადობისა და მისი გადახდისუნარიანობის გაუმჯობესების ანალიზი;
- ❖ კომპანიის ფინანსური მაჩვენებლების მონიტორინგის განხილვა, მისი სტრატეგიულ მიზნებთან შედეგების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;
- ❖ კომპანიის ფინანსურ მდგრადობის ცვლილებების გამომწვევი ძირითადი ფაქტორების გამოვლენა;

❖ კომპანიის ფინანსური მდგრადობის ტენდენციების პროგნოზი და სტრატეგიული მაჩვენებლების განსაზღვრა.

ასე, რომ კომპანიის ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლების განმსაზღვრელი პროგრამა მნიშვნელოვანი მხარდაჭერა იქნება არა მარტო ფინანსური მენეჯერებისათვის, რომელთა დასაქმების შესაძლებლობაც მხოლოდ დიდ კომპანიებს გააჩნიათ, არამედ მცირე და საშუალო ბიზნესის მქონე პირთათვისაც. მათ საშუალება ექნებათ ოპერატიულად ნებისმიერი ოპერაციის განხორციელებისას აკონტროლონ თავიანთი ფინანსური მდგომარეობა.

კვლევის მიზანი.

სადისერტაციო ნაშრომში მიზნად დავისახეთ, დავამუშაოთ და შევქმნათ ისეთი პროგრამა, რომელიც დამატებითი ძალისხმევის გარეშე შეძლებს ნებისმიერი საქმიანობის და მასშტაბის მქონე კომპანიის ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებლების გამოთვლას სხვადასხვა მიზნებისთვის.

სამეცნიერო სიახლე.

უნდა ითქვას, რომ ბუღალტრული აღრიცხვის ძალიან ბევრი პროგრამა წარმატებით მუშაობს საქართველოში, რომლებიც გამოიყენება შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვისთვის და საგადასახადო სამსახურებთან ურთიერთობის გამარტივებისთვის.

თუმცა არ არსებობს პროგრამა, რომელიც მოახდენს ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლების ანალიზს. იგი ძალიან რთული პროცესია, ბევრი ნიუანსისგან შემდგარი, რის გამოც აღნიშნული მაჩვენებლების გამოთვლა დიდ გამოცდილებას მოითხოვს. ავტომატიზებული პროგრამის შექმნა კი ბევრად გაამარტივებს ამ პროცესს. ჩვენის აზრით, საჭიროა, მეცნიერულად დამუშავდეს ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლების გამოთვლის პროგრამის ოპტიმალური და ეფექტიანი ვარიანტი.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა.

სისტემამ უნდა უზრუნველყოს კომპანიის შიდა მოხმარებისათვის აუცილებელი მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო

ფინანსური მაჩვენებლების დაანგარიშება დროის ნებისმიერი მონაკვეთისათვის ნებისმიერი მასშტაბის მქონე ბიზნესსუბიექტისათვის.

ამ ამოცანის გადაწყვეტა რეალიზებული იქნება ელექტრონულ სისტემაში გათვალისწინებული ცალკეული მოდულის მეშვეობით. ცხადია, მოდული უზრუნველყოფს დროისა და ფინანსების დაზოგვას.

კვლევის ძირითადი მეთოდებია:

შესასწავლი მოვლენის სისტემური მიდგომა, დედუქციისა და ინდუქციის მეთოდები, საინფორმაციო ბაზის აგების მეთოდები, პერიოდული სამეცნიერო გამოცემების ბეჭდური მასალები და ელექტრონული ფორმები; სოციალურ-ეკონომიკური კვლევების შედეგები; საკვლევო თემის ირგვლივ არსებული სამომსახურებო და საცნობარო ინფორმაცია.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველია:

სახელმწიფო ნორმატიულ-საკანონმდებლო აქტები და სხვა მარეგულირებელი ოფიციალური დოკუმენტები; სამეცნიერო ნაშრომები და კვლევები, როგორც შიდა, ასევე უცხოელი მეცნიერებისა ფინანსური ანალიზის სფეროში. არსებული თეორია და პრაქტიკა, ეკონომიკური და ფინანსური ანალიზი.

კვლევაში გამოსაყენებელი მეთოდოლოგია:

ინტერვიუს, ტესტირების, ინფორმაციის კითხვარებით მოძიების და ელექტრონული ფოსტის საშუალებით გამოკითხვის მეთოდები.

ნაშრომის მოცულობა და მისი სტრუქტურა: დისერტაციის სრული მოცულობაა 114 ნაბეჭდი გვერდი; მოიცავს ნაშრომის რეზიუმეს (ორ ენაზე), სარჩევს, შესავალს, სამ თავს და დასკვნას. ახლავს 4 ნახაზი, 5 სურათი, 4 ცხრილი და 21 გამოყენებული ლიტერატურის სია.

თავი I. ფინანსური შედეგების მაჩვენებელთა სისტემა და ანალიზის მეთოდოლოგია

1.1. ლიტერატურული წყაროების ანალიზი

კომპანიის ნორმალური ფუნქციონირების პირველი დანიშნულების წყაროა ფინანსური რესურსები. ეს რესურსები პირდაპირ, თანაც მინიმალურ დანახარჯებით გარდაისახება შრომით და მატერიალურ რესურსებად.

დღევანდელი საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების ფონზე, კომპანიის მდგრადობას განაპირობებს მისი ფინანსური რესურსების ეფექტიანი მართვა. კომპანია თავისი მოღვაწეობის პროცესში, პირველ რიგში განსაზღვრავს, დასახული მიზნების შესასრულებლად საჭირო აქტივების ოპტიმალურ რაოდენობას, ამ აქტივების წყაროებს და მის ოპტიმალურ სიმრავლეს; ფინანსური ქმედებების მიმდინარე და სამომავლო მართვას, რაც უზრუნველყოფს კომპანიის გადახდისუნარიანობას, ფუნქციონირების ეფექტიანობას და მის ფინანსურ მდგრადობას.

ამ საკითხების გადაწყვეტაში მთავარ როლი ეკუთვნის ფინანსურ ანალიზს, რაც სხვა არაფერია, თუ არა კომპანიის ფინანსური მდგომარეობის და სამომავლო პერსპექტივების ანალიზი.

ფინანსური მდგომარეობა არის კომპანიის ყოველდღიური საოპერაციო-საინვესტიციო ქმედებათა მაჩვენებელების ერთობლიობა, რომელიც გვიჩვენებს კომპანიის რესურსების ფაქტობრივ სიდიდეს, მათ განთავსებასა და გამოყენების ასპექტებს.

სხვადასხვა ეკონომიკურ ნაშრომში შემოთავაზებულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზისათვის გამოსაყენებელი რამდენიმე მეთოდოლოგია. აღნიშნული მეთოდოლოგიის პროცედურული მხარის დეტალიზება გამომდინარეობს დასახული მიზნებიდან, და სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული, როგორცაა ინფორმაციული, ტექნიკური უზრუნველყოფის ფაქტორები.

ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად [1, 2, 3], მიზანშეწონილია გამოვიყენოთ კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და მისი მდგომარეობის ანალიზისათვის შემდეგი მეთოდები:

- კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მეთოდი;
- დარგთაშორისი შედარებითი ანალიზი;
- კომპანიის მაჩვენებელთა დინამიკის შედარების ხერხი;
- გეგმური და ფაქტობრივი მაჩვენებლების შედარება;
- კოეფიციენტთა ანალიზის მეთოდი.

კომპანიის ფინანსურ მდგრალობაზე მრავალი შინაგანი და გარეგანი ფაქტორი ზემოქმედებს. ზოგიერთი ამათგან არის ძირითადი ან მეორე ხარისხოვანი, რთული ან მარტივი, მუდმივიდან დროებითი. როგორც წესი, ანალიზის დროს მეტ ყურადღებას შინაგან ფაქტორებს უთმობენ, რომელიც საწარმოს საქმიანობაზე არის დამოკიდებული.

საყურადღებოა რომ კომპანიის ფინანსურ მდგრალობაზე არანაკლებ ზემოქმედებს ის გარეგანი ფაქტორები, რომელიც გამომდინარეობს საბაზრო მოვლენებიდან ან უფრო სწორად ბაზარზე არსებულ ან შექმნილი სიტუაციებიდან. რა თქმა უნდა, კომპანიას ნაკლებად შეუძლია აღნიშნულ ფაქტორებზე რაიმე ზემოქმედება იქონიოს, თუმცა კომპანია ყოველთვის უნდა იყოს მზად, ასეთ ფორსმაჟორულ სიტუაციას წარმატებით გაართვას თავი.

საქართველოს ხელისუფლებისათვის მისაბამი უნდა იყოს, რომ მსოფლიოში არსებული ეკონომიკური კრიზისის პერიოდში სახელმწიფო ვალდებულებას იღებს მნიშვნელოვანი და სერიოზული დახმარება გაუწიოს კომპანიებს და ფირმებს. მათმა იციან, რომ ნებისმიერი სახელმწიფოს ძლიერებას განაპირობებს კომპანიებისა და ფირმების მდგრალობა და რენტაბელურობა. სწორედ ისინი წარმოადგენენ ქვეყნისთვის მნიშვნელოვან და სასიცოცხლო სექტორს. სახელმწიფო მშველელის როლში უნდა გამოვიდეს და გაატაროს მნიშვნელოვანი ღონისძიებების კომპანიის ფინანსური მდგრალობისათვის, მისი შენარჩუნების და გაძლიერებისკენ. ეს

ნაკლებად დააზარალებს ეროვნულ ეკონომიკას შექმნილი კრიზისებისა და სხვა ექსტრემალური სიტუაციებისგან.

XXI საუკუნის დასაწყისიდან მაღალმწარმოებადი კომპიუტერული და ინფორმაციული ტექნოლოგიების ფართო გავრცელებამ მკვეთრად შეცვალა საინჟინრო სფეროში მოღვაწეობის შინაარსი და პროცესი. მართვის თანამედროვე ელექტრონულ კომპლექსებში განხორციელებული კომპიუტერული მეთოდების გამოყენება შესაძლებლობას იძლევა დიდი სიზუსტით მოხდეს მართვის ობიექტების სხვადასხვა, რთული თვისებების მახასიათებლის კვლევა ისე, რომ არ მივმართოთ ადრე არსებულ მეთოდებს, როგორცაა ძვირადღირებული ფიზიკური მოდელების ანუ ობიექტის პროტოტიპების შექმნას. გარდა ამისა, თავიდან გვაშორებს მართვის ობიექტის სრულმასშტაბიანი კვლევების ხანგრძლივ პროცედურას. თანამედროვე ელექტრონული კომპლექსური სისტემების შექმნის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია მართვის ავტომატიზებული სისტემების დანერგვა, რაც ადამიანი-მანქანურ სისტემადად არის ცნობილი და რეალიზდება ინტერაქტიურ რეჟიმში - ადამიანისა და კომპიუტერის დიალოგში.

ლიტერატურული წყაროდან ირკვევა, რომ ასეთი სისტემების დანერგვას მართვის სხვადასხვა სფეროში დიდი ეფექტი მოაქვს. მაგალითად, 2 – 3 ჯერ მცირდება პროექტირების დრო ხოლო დამპროექტებლების რაოდენობა 60% - ით; წარმოების მომზადების დრო მცირდება 3 – 5 -ჯერ და ამავდროულად ხდება დანახარჯების 50 – 80 % - ის შემცირება, საგრძნობლად იზრდება წარმოებული პროდუქციის ხარისხი და ა.შ [2].

1.2. ფინანსური შედეგების გარე ანალიზი

ფინანსური შედეგების გარე ანალიზის ძირითადი ამოცანებია:

- შემოსავლების, ხარჯებისა და ფინანსური შედეგების უმთავრესი მუხლების დინამიკისა და მათი თანაფარდობის შესწავლა;

- მოგებისა და ზარალის ანგარიშგების ცალკეული შემადგენელი ელემენტების ხვედრითი წონის დადგენა საბოლოო ფინანსური შედეგის ფორმირებაში;
- ფინანსური შედეგების მაჩვენებელთა ცვლილებების გამომწვევი მიზეზების გამოვლენა და საქმიანობის ეფექტიანობაზე მისი ზემოქმედების შეფასება;
- მომავალი პერიოდისათვის ფინანსური შედეგის პროგნოზირება.

ანალიზის მეთოდთა მოიცავს შემდეგ ძირითად ბლოკებს:

- მოგებისა და ზარალის ანგარიშგების საფუძველზე ფინანსური შედეგების მთლიანი ანალიზი;
- ფინანსური შედეგების მაჩვენებელთა სისტემის ანალიზი;
- გაყიდვების რენტაბელობის ანალიზი და ბიზნესის ცალკეული სექტორის კომპანიის საერთო რენტაბელობაზე გავლენის შეფასება.

მოგებისა და ზარალის ანგარიშგების საფუძველზე ფინანსური შედეგების საერთო ანალიზი. ასეთი ანალიზი გულისხმობს შემოსავლების, ხარჯებისა და ფინანსური შედეგების მუხლების დინამიკისა (ჰორიზონტალური ანალიზი) და მათი თანაფარდობის (ვერტიკალური ანუ სტრუქტურული ანალიზი) შესწავლას.

ცხრილის მონაცემების ჰორიზონტალური ანალიზის ჩატარების საფუძველზე უნდა მივიღოთ პასუხების შემდეგ კითხვებზე:

- რა ხვედრითი წონა უკავია შემოსავლებისა და ხარჯების ცალკეულ შემადგენელ ელემენტს ფინანსური შედეგების მაჩვენებელთა ფორმირებაში;
- წინა საანგარიშგებო პერიოდთან შედარებით რა მიზეზებმა გამოიწვიეს ცვლილებები მიმდინარე საანალიზო პერიოდში;
- რამდენად სტაბილურია გაწეული ხარჯები და მიღებული შემოსავლები, რამდენად შესაძლებელია მათი მიღება მომავალში.

მოგება-ზარალის ანგარიშგების ვერტიკალური ანალიზის დროს, ანუ მისი სტრუქტურის ანალიზისას აუცილებელია შევავსოთ ანგარიშგების

ცალკეული შემადგენელი ელემენტის ხვედრითი წონა და გაყიდვებიდან ამონაგების სიდიდეები. ამასთან, დამოუკიდებელი ანალიზური მნიშვნელობები გააჩნიათ შემდეგ უმთავრეს მაჩვენებლებს:

- საერთო მოგების თანაფარდობა ამონაგებთან, რომელიც ახასიათებს გაყიდვების ყოველ ლარზე მიღებული მოგების ხვედრით წონას, რაც შეიძლება მიმართულ იქნეს კომერციული და მმართველობითი ხარჯების დასაფარავად, ასევე გაყიდვებიდან მიღებული მოგების ფორმირებაზე;
- გაყიდვებიდან მიღებული მოგების თანაფარდობა ამონაგებთან, რომელიც გვიჩვენებს გაყიდვების რენტაბელობის რეალურ სინამდვილეს, რადგან აღნიშნული მაჩვენებელი არ განიცდის იმ ელემენტების გავლენას, რომლებიც არ მიეკუთვნება გაყიდვებს და ამდენად, შესაძლებლობას იძლევა, საწარმოს ძირითადი საქმიანობის პროცესში, მაქსიმალურად ზუსტად შეფასდეს გაყიდვების მართვის ეფექტიანობა;
- დაბეგვრამდე მოგების ამონაგებთან თანაფარდობის მაჩვენებელი იმით განსხვავდება წინა მაჩვენებლისგან, რომ მისი სიდიდე იცვლება არა მხოლოდ შემოსავლებისა და ხარჯების ცვლილებით, რაც წარმოიქმნება პროდუქციის წარმოებისა და გაყიდვების პროცესში, არამედ სხვა შემოსავლებითა და ხარჯებით. მოცემული მაჩვენებლისა და წინა მაჩვენებლის დინამიკის შედარება ადგენს სხვადასხვა შემოსავლისა და ხარჯის მუხლების გავლენას ბუღალტრული მოგების ფორმირებაზე. რაც უფრო ძლიერია ასეთი ზეგავლენა, მით უფრო დაბალია მიღებული საბოლოო ფინანსური შედეგის ხარისხი და სტაბილურობა;
- წმინდა მოგების ამონაგებთან თანაფარდობის მაჩვენებლის შედარებით წინა მაჩვენებლთან შეიძლება შევავსოთ საგადასახადო ფაქტორის გავლენა გაყიდვების რენტაბელობაზე. ეს მაჩვენებელი ერთ-ერთი უმთავრესია საწარმოს საქმიანობის რენტაბელობის შეფასებისას.

ზემოთ განხილული მაჩვენებლების დინამიკის ანალიზმა მიიღო შემოსავლიანობის შუალედური დონის ანალიზის სახელწოდება. ასეთი ანალიზის პრაქტიკული სარგებლიანობა ის არის, რომ მაჩვენებელთა დინამიკის შედარების შედეგად, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან მხოლოდ მოგების სიდიდით, შესაძლებლობას იძლევა დამატებითი ძალისხმევის გარეშე დადგინდეს გაყიდვების რენტაბელობის ცვლილებების გამომწვევი მიზეზები.

ანალიზის შემდგომ ეტაპზე აუცილებელია გამოვავლინოთ ფინანსური შედეგების ძირითადი მაჩვენებლების ცვლილებების გამომწვევი მიზეზები. ანალიზის ჩატარების თანმიმდევრობა სქემატურად წარმოდგენილია სქემაზე (3, 152).

საერთო მოგება				
საერთო მოგება	კომერციული ხარჯები	მმართველობითი ხარჯები		
საერთო მოგება	კომერციული ხარჯები	მმართველობითი ხარჯები	სხვადასხვა ხარჯები	
საერთო მოგება	კომერციული ხარჯები	მმართველობითი ხარჯები	სხვადასხვა ხარჯები	მოგების გადასახადი

საერთო მოგება

მოგება გაყიდვებიდან (საოპერაციო მოგება)

მოგება დაბეგვრამდე (ბუღალტრული მოგება)

წმინდა მოგება (მოგება დაბეგვრის შემდეგ)

საერთო მოგების ანალიზი. ანალიზის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საერთო მოგების ცვლილებას, მაჩვენებლის როგორც პროცენტულ მნიშვნელობას, ისე, მის აბსოლუტურ სიდიდეს.

პროდუქციის გაყიდვებიდან ამონაგების ზრდის შემთხვევაში აღნიშნული მაჩვენებლის პროცენტული მნიშვნელობის შემცირების პირობებშიც კი, შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს აუცილებელი საერთო მოგების სიდიდის მიღწევა და პირიქით, -საანალიზო მაჩვენებლის პროცენტული მნიშვნელობის შემცირებამ, გაყიდვების მოცულობის შენარჩუნების პირობებში, შეიძლება გამოიწვიოს პროდუქციის გაყიდვებიდან მიღებული მოგების შემცირება და მისი უკმარისობა მომავალში.

იმისათვის, რომ რაოდენობრივად შევაფასოთ საერთო მოგების სიდიდეზე რა გავლენას ახდენს გაყიდვების მოცულობა და საერთო მოგების მარჟა, იყენებენ ფორმულას:

საერთო მოგების სიდიდე = გაყიდვების მოცულობა

$$\times \frac{\text{საერთო მოგება}}{\text{გაყიდვების მოცულობა}}$$

$$\frac{\text{საერთო მოგება}}{\text{გაყიდვების მოცულობა}}$$

- კოეფიციენტი, რომელიც ახასიათებს საერთო მოგების ამონაგებთან თანაფარდობას (საერთო მოგების მარჟა, ანუ გაყიდვების რენტაბელობა გაანგარიშებული საერთო მოგების მიხედვით).

გაყიდვების რენტაბელობას შეუძლია არსებითი გავლენა მოახდინოს მოგების მაჩვენებლებზე. თუმცა კომპანიის მიხედვით გაყიდვების საერთო რენტაბელობა გასაშუალოებული სიდიდეა, რომელიც არ იძლევა შესაძლებლობას შევაფასოთ მისი ცვლილების გამომწვევი მიზეზები, რენტაბელობის დაცემის რისკები და ასევე, მასზე ზემოქმედების შესაძლებლობები. აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელია ჩავატაროთ გაყიდვების საერთო რენტაბელობაზე ბიზნესის ცალკეული სეგმენტის რენტაბელობის გავლენის დეტალური ანალიზი.

ანალიზის არსი შემდეგია: კომპანიის საერთო რენტაბელობა დამოკიდებულია მისი ცალკეული სეგმენტის რენტაბელობაზე. თუ შეიმჩნევა უფრო რენტაბეული სეგმენტის ხვედრითი წონის ზრდის ტენდენცია, მაშინ მოსალოდნელია კომპანიაში გაყიდვების საერთო რენტაბელობის ზრდა. და პირიქით, უფრო ნაკლებად რენტაბეული

პროდუქციის ხვედრითი წონის ზრდა გამოიწვევს საერთო რენტაბელობის დაცემას.

ანალიზი ტარდება შემდეგი თანმიმდევრობით:

- გაიანგარიშებენ ბიზნესის ყოველი სეგმენტის (პროდუქციის ყოველი სახეობის) ხვედრით წონას გაყიდვების საერთო მოცულობაში;
- გაიანგარიშებენ რენტაბელობის დონეს ბიზნესის ცალკეული სეგმენტის (პროდუქციის სახეობების) მიხედვით;
- განსაზღვრავენ ბიზნესის ცალკეული სეგმენტის (პროდუქციის ცალკეული სახეობის) რენტაბელობის გავლენას საერთო სიდიდეზე, გაანგარიშებულს გაყიდვების მთლიანი მოცულობის მიხედვით. ამ მიზნით ცალკეული სეგმენტის მიხედვით რენტაბელობის დონეს ამრავლებენ სეგმენტის ხვედრით წონაზე გაყიდვების საერთო მოცულობაში. გაყიდვების რენტაბელობა განისაზღვრება ფორმულით:

$$\text{გაყიდვების რენტაბელობა} = \sum_{i=1}^n R_i q_i$$

სადაც R_i - ური სეგმენტის (პროდუქციის სახეობის) რენტაბელობაა;

Q_i - ური სეგმენტის (პროდუქციის სახეობის) ხვედრითი წონა გაყიდვების საერთო მოცულობაში;

n - სეგმენტების (პროდუქციის სახეობების) რაოდენობა (3, 154)

გაყიდვებიდან მიღებული მოგების ანალიზი მოიცავს უკვე განხილულ საერთო მოგების ანალიზს და ასევე, კომერციული და მმართველობითი ხარჯების ანალიზს.

კომერციულს მიეკუთნება ის ხარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია პროდუქციის გასაღებასთან, როგორცაა: რეკლამის, პროდუქციის შენახვის, შეფუთვის, გადაზიდვის და სხვა ხარჯები.

მმართველობითი ხარჯები ახასიათებს ფირმის საერთო ადმინისტრაციული ხარჯების სიდიდეს. ამ ხარჯების შემადგენლობაში აღირიცხება ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი, საოფისე მოწყობილობების ამორტიზაცია, მივლინების ხარჯები და სხვა.

ანალიზის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კომერციული და მმართველობითი ხარჯების თანაფარდობას ამონაგებთან. მათი დინამიკის ანალიზი შესაძლებლობას იძლევა დროულად გამოვავლინოთ აღნიშნული ხარჯების მართვაში წარმოქმნილი პრობლემები. ამ ანალიზის შედეგები წარმოადგენს გაყიდვების რენტაბელობის ანალიზის განუყოფელ ნაწილს, გაანგარიშებულს, როგორც გაყიდვებიდან მიღებული მოგების თანაფარდობა ამონაგებთან.

$$\frac{\text{გაყიდვებიდან მიღებული მოგება}}{\text{ამონაგები}} = \frac{\text{საერთო მოგება}}{\text{ამონაგები}} - \frac{\text{კომერციული ხარჯები}}{\text{ამონაგები}} -$$

მმართველობითი ხარჯები
ამონაგები

ე.ი. საერთო მოგების მიხედვით გაყიდვების რენტაბელობის ანალიზს ემატება კომერციული და მმართველობითი ხარჯების ცვლილების გამომწვევი მიზეზები.

გაყიდვებიდან მიღებული მოგების სიდიდეზე უშუალო გავლენას ახდენს საბრუნავი აქტივების მართვის ეფექტიანობა. ანალიზისთვის მიზანშეწონილია გამოვიყენოთ ფორმულა:

$$\text{მოგება გაყიდვებიდან} = \frac{\text{მოგება გაყიდვებიდან}}{\text{ამონაგები}} \times \frac{\text{ამონაგები}}{\text{საბრუნავი აქტივები}} \times \text{საბრუნავი}$$

აქტივები

მაშასადამე, გაყიდვიდან მიღებული მოგების სიდიდეზე გავლენას ახდენს გაყიდვების რენტაბელობა, საბრუნავი აქტივების ბრუნვის სიჩქარე და კაპიტალის სიდიდე, რომელიც დაბანდებული იყო საბრუნავ აქტივებში.

დაბეგვრამდე მოგების ანალიზი მოიცავს გაყიდვებიდან მიღებული მოგების ანალიზის ადრე განხილულ საკითხებს და ასევე, სხვადასხვა შემოსავლისა და ხარჯების შემადგენლობისა და სტრუქტურის ანალიზს.

სხვადასხვა შემოსავლებისა და ხარჯების შემადგენლობაში რიცხული არსებითი თანხების არსებობა აუცილებელს ხდის გავარკვიოთ მათი წარმოქმნის მიზეზები.

დაბეგვრამდე მოგების თანაფარდობა ამონაგებთან ასახავს გაყიდვების რენტაბელობაზე მთლიანი შემოსავლისა და ხარჯების გავლენას (3, 157).

$$\frac{\text{მოგება დაბეგვრამდე}}{\text{ამონაგები}} = \frac{\text{მოგება გაყიდვებიდან}}{\text{ამონაგები}} + \frac{\text{სხვადასხვა შემოსავალი}}{\text{ამონაგები}} - \frac{\text{სხვადასხვა ხარჯი}}{\text{ამონაგები}}$$

მოგების ანალიზი დაბეგვრის შემდეგ (წმინდა მოგება). ზემოთ განხილული მოგების ანალიზის ბლოკების გარდა, რომელიც მოიცავდა გაყიდვებიდან მიღებული მოგების ანალიზს, სხვადასხვა შემოსავლების და ხარჯების ანალიზს, მოგების ანალიზი ითვალისწინებს დაბეგვრის ფაქტორების გავლენის შეფასებასაც საბოლოო ფინანსურ შედეგზე. გარე ანალიზის ჩატარებისას, როგორც წესი, იგი გულისხმობს გადახდილი გადასახადის დინამიკის შესწავლას, დაბეგვრის განაკვეთის ეფექტიანობის შეფასებას და დახასიათებას იმისა, თუ რა გავლენას ახდენს საგადასახადო ფაქტორი წმინდა მოგებასა და გაყიდვების რენტაბელობაზე, რომელიც გაანგარიშებულია წმინდა მოგების მიხედვით.

ფინანსური შედეგების გარე ანალიზმა უნდა მოიცვას ორი ძირითადი ეტაპი: პირველ ეტაპზე ანალიტიკოსს უნდა ჩამოუყალიბდეს მკაფიო წარმოდგენა საწარმოში შემოსავლებისა და ხარჯების ფორმირების პრინციპზე; მეორე ეტაპზე კი ტარდება უშუალოდ მოგებისა და ზარალის ანგარიშგების ანალიზი ზემოთ განხილული მეთოდის შესაბამისად.

1.3. ფინანსური შედეგების შიდა ანალიზი

შიდა ანალიზი წარმოადგენს წარმოებაში გადასახადების დაგეგმვისა და მართვის პროცესის ერთ-ერთ შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს, იგი ითვალისწინებს საწარმოს სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისა და საგადასახადო კანონმდებლობის ანალიზს, მიმდინარე საგადასახადო დატვირთვის განსაზღვრას, საწარმოს საგადასახადო-სააღრიცხვო

პოლიტიკის ფორმირებას და ასევე, მის მიერ დადებული და დასადები ხელშეკრულებების ეკონომიკურ-სამართლებრივ ანალიზს.

ფინანსური შედეგების შიგა ანალიზი მიზანშეწონილია ჩატარდეს სამ ეტაპად:

პირველ ეტაპზე ფასდება საწარმოში მოქმედი სააღრიცხვო პრინციპები რა გავლენას ახდენს აქტივების, შემოსავლებისა და ხარჯების მუხლების შეფასებაზე; ირკვევა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ფაქტები და მისი გავლენა ანალიზის შედეგებზე.

მეორე ეტაპზე ტარდება სიღრმისეული ანალიზი, ვლინდება საბოლოო ფინანსური შედეგის ცვლილების გამომწვევი მიზეზები და მმართველობითი აღრიცხვის ინფორმაციის მოზიდვით გამოიყოფა სტაბილური და შემთხვევითი ფაქტორები, რომლებიც პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით გამოააშკარავენ ინფორმაციას შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ.

პასუხისმგებლობის ცენტრების ჭრილით და მთლიანად კომპანიის მიხედვით მესამე ეტაპზე ტარდება ფინანსური შედეგების პროგნოზული ანალიზი.

ანალიზური პროცედურები შინაარსობრივი თვალსაზრისით შეიძლება ჩატარდეს შემდეგი თანმიმდევრობით:

- მოგებისა და ზარალის შესახებ მმართველობითი ანგარიშების ანალიზი პასუხისმგებლობის ცენტრების ჭრილით;
- მიღებული ფინანსური შედეგის ხარისხობრივი შეფასება და მომავალში შედეგების პროგნოზირება;
- შემოსავლიანობის ანალიზი;

ფინანსური შედეგების შიგა ანალიზის ყველაზე არსებითი ბლოკია შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზი ძირითადი საქმიანობიდან.

შემოსავლების ანალიზი ძირითადი საქმიანობიდან. გაყიდვების ანალიზი.


გაყიდვების ანალიზი შესაძლებლობას იძლევა:

- ვაკონტროლოთ სიტუაცია ბაზარზე გაყიდვების ფაქტობრივი მოცულობის, ფასებისა და მოცულობის გეგმიდან გადახრების შესახებ ინფორმაციის თავისდროული ფორმირების გზით;
- გამოვავლინოთ საწყობებში მზა პროდუქციის შემცირების ან გაზრდის მიზეზები და ამით ვმართოთ ლიკვიდობა და დაფინანსების წყაროებზე მოთხოვნა;
- დავასაბუთოთ მარაგების აუცილებელი, მინიმალური დონე და დავგეგმოთ წარმოება;
- ვმართოთ გაყიდვების რენტაბელობა;
- შევავასოთ მყიდველები, უფრო სწორად, ხელი შევუწყოთ საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებასა და მის გაუმჯობესებას, ასევე, ფულადი ნაკადების მართვის სრულყოფას.

გაყიდვების ანალიზის ამოცანების მრავალგვარობის მიუხედავად, მასში შეიძლება გამოვყოთ გაყიდვების გარემო პირობების ანალიზი და შიგასამეურნეო ანალიზი. (სქემა 1) (3, 164).

სქემაში ნაჩვენებია გარემო პირობების ანალიზის ძირითადი ბლოკები. ამ ანალიზის პროცესში დადგენილ უნდა იქნეს:

- მოთხოვნა რამდენად დამოკიდებულია პროდუქციის ფასებზე (მოთხოვნის ელასტიურობა);




სურ. 1. გარემო პირობების ანალიზი

- არსებობს თუ არა იმის შესაძლებლობა, რომ საწარმო შეეგუოს ბაზარზე მოთხოვნის ცვლილებას გამოსაშვები პროდუქციის, მოდიფიკაციის ან ბაზარზე ახალი საქონლის გამოტანის გზით;
- როგორია მყიდველთა კონცენტრაციის ხარისხი, რამდენად დიდია დამოკიდებულება ძირითად მყიდველებზე;
- როგორია პროდუქციის დივერსიფიკაცია გასაღების გეოგრაფიული ბაზრების მიხედვით.

კომპანიის მუშაობის შედეგების შედარებითმა ანალიზმა წარმატებული კონკურენტების შედეგების მიმართ მიიღო **ბენჩმარკინგის** სახელწოდება. ბენჩმარკინგის შედეგს წარმოადგენს ბიზნესის წარმართვის ყველაზე ოპტიმალური ხერხის არჩევა. ბენჩმარკინგის ყველაზე ხშირად გამოყენებულ ხერხს წარმოადგენს კომპანიის გაყიდვების მოცულობის შედარება უახლოესი კონკურენტების ანალოგიურ მაჩვენებლებთან. ამ მეთოდის არსია ის, რომ გავიგოთ, თუ რა მაჩვენებლების გზით მიიღწევა წარმოების უფრო დიდი მოცულობა, რომელი პროცესებია კონკურენტებთან შედარებით უკეთესად აწყობილი. ასეთი ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება კომპანიის კონკურენტუნარიანობის სუსტი და ძლიერი მხარეები.

გაყიდვების შიგასამეურნეო ანალიზი, მის წინაშე მდგარი ამოცანებიდან გამომდინარე, შეიძლება ჩატარდეს სქემაში ნაჩვენები შემდეგი ფორმატის მიხედვით (სქემა 2)(3, 165).



სურ. 2. გაყიდვების შიგასამეურნეო ანალიზი

გაყიდვების ანალიზის სხვა უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს შეკვეთების რაოდენობისა და სტრუქტურის რაციონალურობის შეფასება. მოგების დანაკარგები, გაყიდვების მოცულობის ზრდის პირობებში, შეიძლება წარმოიქმნას შეკვეთების არარაციონალური სტრუქტურის შედეგად. მცირერიცხოვანი შეკვეთების რაოდენობის ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს კომერციული და საერთო სამეურნეო ხარჯების ზრდა. ამასთან, მცირერიცხოვანი შეკვეთების დიდი რაოდენობა იწვევს წარმოების სფეროში დამატებით ხარჯებს, რაც დაკავშირებულია მოწყობილობების აწყობა-გამართვასთან, იძულებით მოცდენებთან და შესაბამისად, დამატებით დანაკარგებთან.

თუ აღნიშნულ პრობლემას დავტოვებთ ყურადღების გარეშე, საწარმოს ხარჯები გაიზრდება, ამასთან ეს ზრდა ხშირად გაუმართლებელია, რამდენადაც მცირე შეკვეთები, როგორც წესი, უზრუნველყოფს მინიმალური მარაგის მიღებას.

მაშასადამე, საწარმოს სიდიდესა და შეკვეთების საშუალო მოცულობას შორის დაცული უნდა იქნეს გონივრული პრიორიტეტები. თუ ეს თანაფარდობა დაბალანსებული არ არის, მაშინ საწარმოს წარმოიქმნება პრობლემები გასაღების სფეროსა და ხარჯების მართვაში.

მანამ, სანამ შევუდგებით შეკვეთების სტრუქტურის გაუმჯობესებას, აუცილებელია ჩავატაროთ მისი ანალიზი. ამისათვის შეკვეთების კლასიფიკაციას ახდენენ ჯგუფების მიხედვით, მათი ღირებულებიდან გამომდინარე. ასეთი ინფორმაციის საფუძველზე გაიანგარიშებენ მაჩვენებელს, რომელიც ახასიათებს ერთი შეკვეთის საშუალო ღირებულებას.

ძირითად საქმიანობაზე დანახარჯების ანალიზი. ამისათვის, რომ საწარმომ მიიღოს მოგება ძირითადი საქმიანობიდან, მოხმარებული ნედლეულისა და მასალების ღირებულებას, პირდაპირი შრომით ხარჯებს, ზედნადებ ხარჯებს უნდა ჰქონდეთ განსაზღვრული თანაფარდობა გასაყიდ ფასთან. ამონაგების თანაფარდობა ხარჯებთან ახასიათებს ყოველი მიღებული ლარის განაწილებას მასალების დანახარჯების, შრომის ანაზღაურების, ზედნადები ხარჯების დასაფარავად და ასევე, განსაზღვრავს დარჩენილ სხვაობას, რომელიც წარმოადგენს მოგების წყაროს.

საწარმოს მმართველობითი აპარატი უნდა ფლობდეს ხარჯებისა და ამონაგების თანაფარდობის გაანგარიშების შესაბამის მეთოდებს, რომლის პირობებშიც უზრუნველყოფილი იქნება გამოყენებული კაპიტალის დამაკმაყოფილებელი უკუგება.

წინასწარი ინფორმაცია ხარჯებისა და მისი დინამიკის შესახებ შეიძლება მიღებულ იქნეს ისეთი თანაფარდობების ანალიზისას, როგორცაა: თვითღირებულება - ამონაგები; კომერციული ხარჯები - ამონაგები; მმართველობითი ხარჯები - ამონაგები. ასეთი თანაფარდობების დინამიკა შესაძლებლობას იძლევა გავაკეთოთ შესაბამისი დასკვნები იმის შესახებ, თუ რამდენად აქცევს ყურადღებას საწარმო მართვის სხვადასხვა ფუნქციას, როგორცაა: ადმინისტრაციულ-მმართველობითი, კომერციულ-გასაღებითი, ასევე, თუ რა უნარი გააჩნია საწარმოს, მართოს თანაფარდობა „დანახარჯები-შემოსავლები“.

ანალიზის გაღრმავების მიზნით ხორციელდება ხარჯების დაჯგუფება განსაზღვრული პრინციპების მიხედვით. პრაქტიკაში ყველაზე მეტი

გავრცელება ჰპოვა დანახარჯების დაჯგუფებამ შემდეგი ნიშნების მიხედვით:

- ეკონომიკური ელემენტები;
- დანახარჯთა საკალკულაციო მუხლები;
- დანახარჯთა წარმოქმნის ადგილი;
- პროცესების მიხედვით.

დანახარჯთა ანალიზი ეკონომიკური ელემენტების მიხედვით გვიჩვენებს რომელი საწარმოო რესურსები დაიხარჯა და რა პროპორციით მოხდა მათი მოხმარება წარმოების პროცესში.

ასეთი ანალიზი ასახავს გაწეული დანახარჯების თანაფარდობას შექმნილ ღირებულებასთან. იგი შესაძლებლობას იძლევა გამოვყოთ გადატანილი და ახლადშექმნილი (დამატებული) ღირებულება. დანახარჯთა სტრუქტურის ანალიზი კი საშუალებას გვაძლევს, შევაფასოთ წარმოების მასალატევადობა, ენერგოტევადობა, ხელფასტევადობა. დანახარჯების შემსახებ ინფორმაციის მისაღებად ჩვეულებრივი საქმიანობიდან გამოყოფენ შემდეგ ელემენტებს:

- მატერიალური დანახარჯები;
- დანახარჯები შრომის ანაზღაურებაზე;
- ამორტიზაცია;
- დანარჩენი ხარჯები.

დანახარჯთა მუხლობრივი ანალიზი ახასიათებს პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლების კავშირს მის წარმოებასა და გასაღებაზე გაწეულ შესაბამის ხარჯებთან.

ხარჯების დაჯგუფება ეკონომიკური ელემენტებისა და საკალკულაციო მუხლების მიხედვით განსხვავდება ერთმანეთისგან რაოდენობრივი შედეგით. პირველი მოიცავს პერიოდის განმავლობაში გაწეულ ყველა დანახარჯს - ეს არის მოხმარებული რესურსების ღირებულება, ხოლო მეორე ასახავს მხოლოდ იმ ხარჯებს რაც

დაკავშირებულია პროდუქციის წარმოებასა და გასაღებასთან. მათ შორის სხვაობით განისაზღვრება დაუმთავრებელი წარმოების ნაშთები.

დანახარჯთა საკალკულაციო მუხლებია:

1. პირდაპირი მასალის ხარჯი;
2. პირდაპირი შრომითი ხარჯი;
3. საწარმოო ზედნადები ხარჯები;
4. მარკეტინგის ხარჯები;
5. საერთო-ადმინისტრაციული ხარჯი.

დანახარჯთა საკალკულაციო მუხლების მიხედვით ანალიზი შესაძლებლობას იძლევა, ცალკეული მუხლების ცვლილებიდან გამომდინარე, გამოვლინდეს ფინანსური შედეგის ცვლილების გამომწვევი მიზეზები, რაც უზრუნველყოფს მენეჯმენტს მნიშვნელოვანი ინფორმაციით დანახარჯების შემცირებისა და შესაბამისად მოგების ზრდის რეზერვების შესახებ. ამისათვის აუცილებელია გამოვყოთ:

- დანახარჯთა ყველაზე არსებითი მუხლები;
- დანახარჯთა მუხლები, რომელთა ზრდის ტემპი უსწრებს ამონაგების ზრდის ტემპს;
- დანახარჯთა მუხლები, რომელთა მნიშვნელოვანი ზრდაა მოსალოდნელი მომავალში.

დანახარჯების დაჯგუფება წარმოქმნის ადგილის მიხედვით. ამ მიზნით დანახარჯების ანალიზი ხორციელდება ცალკეული ქვედანაყოფის ფუნქციონირების ეფექტიანობის შესაფასებლად - როგორც წესი, ასეთი დაჯგუფება წარმოებს კომპანიის ფინანსურ სტრუქტურასთან შესაბამისობით.

საწარმოო კომპანიაში დანახარჯების წარმოქმნის ადგილი შეიძლება იყოს ძირითადი და დამხმარე წარმოების ქვედანაყოფები, კომერციული და ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამსახური. სავაჭრო კომპანიაში დანახარჯებს ჩვეულებრივ გამოყოფენ კომერციული, დამხმარე და საერთო-სამეურნეო ხარჯების ჭრილით.

დანახარჯების დაჯგუფება პროცესების მიხედვით შესაძლებლობას იძლევა შევავასოთ კომპანიის ბიზნეს-პროცესები.

ჩვეულებრივ გამოყოფენ ძირითად და დამხმარე ბიზნეს-პროცესებს. ძირითად პროცესებს, როგორც წესი, მიეკუთვნება შესყიდვა, შენახვა, წარმოება, გასაღება, ხოლო დამხმარე პროცესებს - მარკეტინგი, ხარისხის უზრუნველყოფა, პერსონალისა და ინფორმაციის მართვა და სხვ.

პრაქტიკაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს დანახარჯთა დაჯგუფების გარკვეული კომბინაციაც. მაგალითად, დანახარჯების გაერთიანება სახეობებისა და გამოყენების მიმართულების მიხედვით.

პირველი თავის დასკვნა

დღეს უკვე ცხადი გახდა, რომ სოციუმისა და საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე მოთხოვნები შესაბამისად მართვის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ინფორმაციული და კომპიუტერული ტექნოლოგიების მეშვეობით.

ასეთი მიდგომა თავიდან გვაშორებს მართვის ობიექტის სრულმასშტაბიანი კვლევების ხანგრძლივ პროცედურას. თანამედროვე ელექტრონული კომპლექსური სისტემების შექმნის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია მართვის ავტომატიზებული სისტემების დანერგვა, რაც ადამიანი-მანქანურ სისტემებად არის ცნობილი და რეალიზდება ინტერაქტიურ რეჟიმში - ადამიანისა და კომპიუტერის დიალოგში.

ჩვენ მიერ მოძიებული ლიტერატურის დამუშავებამ - კომპანიის ფინანსური მდგრადობის შესახებ, მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ჩაგვეტარებინა ფინანსური მდგრადობის შემდეგი ძირითადი ამოცანების ანალიზი:

- შემოსავლების, ხარჯებისა და ფინანსური შედეგების უმთავრესი მუხლების დინამიკისა და მათი თანაფარდობის შესწავლა;

- მოგებისა და ზარალის ანგარიშების ცალკეული შემადგენელი ელემენტების ხვედრითი წონის დადგენა საბოლოო ფინანსური შედეგის ფორმირებაში;
- ფინანსური შედეგების მაჩვენებელთა ცვლილებების გამომწვევი მიზეზების გამოვლენა და საქმიანობის ეფექტიანობაზე მისი ზემოქმედების შეფასება;
- ფინანსური შედეგის პროგნოზირება.

კომპანიის მოგებისა და ზარალის ანგარიშების საფუძველზე ფინანსური შედეგების საერთო ანალიზი გულისხმობს შემოსავლების, ხარჯებისა და ფინანსური შედეგების მუხლების დინამიკისა (ჰორიზონტალური ანალიზი) და მათი თანაფარდობის (ვერტიკალური ანუ სტრუქტურული ანალიზი) შესწავლას.

ანალიზის ჩატარების ძირითადი მიზანია მივიღოთ პასუხების შემდეგ კითხვებზე:

- რა ხვედრითი წონა უკავია შემოსავლებისა და ხარჯების ცალკეულ შემადგენელ ელემენტს ფინანსური შედეგების მაჩვენებელთა ფორმირებაში;
- წინა საანგარიშგებო პერიოდთან შედარებით რა მიზეზებმა გამოიწვიეს ცვლილებები მიმდინარე საანალიზო პერიოდში;
- რამდენად სტაბილურია გაწეული ხარჯები და მიღებული შემოსავლები, რამდენად შესაძლებელია მათი მიღება მომავალში.
- მოგება-ზარალის ანგარიშების ვერტიკალური ანალიზის დროს, ანუ მისი სტრუქტურის ანალიზისას აუცილებელია შევავსოთ ანგარიშების ცალკეული შემადგენელი ელემენტის ხვედრითი წონა და გაყიდვებიდან ამონაგების სიდიდეები.

ანალიზის დროს საჭიროა მხედველობაში იყოს მიღებული შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები:

- საერთო მოგების თანაფარდობა ამონაგებთან, რომელიც ახასიათებს გაყიდვების ყოველ ლარზე მიღებული მოგების ხვედრით წონას, რაც

შეიძლება მიმართულ იქნეს კომერციული და მმართველობითი ხარჯების დასაფარავად, ასევე გაყიდვებიდან მიღებული მოგების ფორმირებაზე;

- გაყიდვებიდან მიღებული მოგების თანაფარდობა ამონაგებთან, რომელიც გვიჩვენებს გაყიდვების რენტაბელობის რეალურ სინამდვილეს, რადგან აღნიშნული მაჩვენებელი არ განიცდის იმ ელემენტების გავლენას, რომლებიც არ მიეკუთვნება გაყიდვებს და ამდენად, შესაძლებლობას იძლევა, საწარმოს ძირითადი საქმიანობის პროცესში, მაქსიმალურად ზუსტად შეფასდეს გაყიდვების მართვის ეფექტიანობა;
- დაბეგვრამდე მოგების ამონაგებთან თანაფარდობის მაჩვენებელი იმით განსხვავდება წინა მაჩვენებლისგან, რომ მისი სიდიდე იცვლება არა მხოლოდ შემოსავლებისა და ხარჯების ცვლილებით, რაც წარმოიქმნება პროდუქციის წარმოებისა და გაყიდვების პროცესში, არამედ სხვა შემოსავლებითა და ხარჯებით.

ფინანსური ანალიზის შიდა ანალიზი წარმოადგენს წარმოებაში გადასახადების დაგეგმვისა და მართვის პროცესის ერთ-ერთ შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს, იგი ითვალისწინებს საწარმოს სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისა და საგადასახადო კანონმდებლობის ანალიზს, მიმდინარე საგადასახადო დატვირთვის განსაზღვრას, საწარმოს საგადასახადო-სააღრიცხვო პოლიტიკის ფორმირებას და ასევე, მის მიერ დადებული და დასადები ხელშეკრულებების ეკონომიკურ-სამართლებრივ ანალიზს.

ანალიზური პროცედურები შინაარსობრივი თვალსაზრისით შეიძლება ჩატარდეს შემდეგი თანმიმდევრობით:

- მოგებისა და ზარალის შესახებ მმართველობითი ანგარიშგების ანალიზი პასუხისმგებლობის ცენტრების ჭრილით;
- მიღებული ფინანსური შედეგის ხარისხობრივი შეფასება და მომავალში შედეგების პროგნოზირება;
- შემოსავლიანობის ანალიზი.

თავი II. კომპანიის კაპიტალდაბანდებებისა და საქმიანობის ეფექტიანობის ანალიზი

2.1. კაპიტალდაბანდებების ბიუჯეტირება

კომპანიის მენეჯმენტმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება (თუ ამის საფუძველი არსებობს) კაპიტალდაბანდების ანუ გრძელვადიან აქტივებში ინვესტიციის განხორციელების შესახებ.

გრძელვადიან აქტივებთან ასოცირებული ხარჯის გალების ვალდებულება ქმნის გარკვეულ რისკს ორგანიზაციისათვის, რადგან ეს აქტივები რჩება მათი საშუალებით გათვალისწინებული სარგებლის მიღების მიუხედავად. ამ თვალსაზრისით, გრძელვადიანი აქტივები ამცირებს ორგანიზაციის მოქნილობას. აქედან გამომდინარე, ორგანიზაციის მიდგომა გრძელვადიან აქტივებში ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებით წარმოადგენს არსებითი ზრუნვის საგანს.

ორგანიზაციებს შემუშავებული აქვთ სპეციალური ინსტრუმენტები შესყიდვის კონტროლისა და გრძელვადიანი აქტივების გამოყენების სამი მიზეზის გამო:

1. ცვალებადი რესურსებისგან განსხვავებით, რომელთა დონის სწრაფი შეცვლა შესაძლებელია მოთხოვნაზე ცვლილების საპასუხოდ, ორგანიზაციები იტოვებენ გრძელვადიან აქტივებს ხანგრძლივი დროის მანძილზე. აღნიშნული სახის ვალდებულება წარმოშობს ჭარბი ან მწირი სიმძლავრის პოტენციალს, რაც თავის მხრივ განაპირობებს გამოუყენებელი სიმძლავრის ხარჯებს ან დაკარგული შესაძლებლობების არსებობას.
2. კაპიტალური აქტივების შეძენისათვის გაწეული ხარჯის რაოდენობა ჩვეულებრივ ძალიან დიდია, შესაბამისად, გრძელვადიანი აქტივების შექმნა წარმოშობს მნიშვნელოვან ფინანსურ რისკს ორგანიზაციისათვის.
3. კაპიტალური აქტივების გრძელვადიანი ბუნება ქმნის ორგანიზაციისათვის ტექნიკური ხასიათის რისკს.

ინვესტიციების შეფასებისათვის სისტემური მიდგომა არის კაპიტალდაბანდებები ბიუჯეტირება, რომელიც წარმოდგენილია გრძელვადიანი ან კაპიტალური აქტივების სახით.

გრძელვადიანი აქტივის შეძენა და მასში თანხის გადახდა ხდება წინასწარ, სარგებლის მიღებამდე. ფუნდამენტური საკითხი გრძელვადიანი აქტივების შეფასებისას არის ის, თუ რამდენად გაამართლებს საწყისი ხარჯი მის მომავალ ღირებულებას.

ინვესტიცია არის აქტივების ფულადი ღირებულება, რომელსაც ორგანიზაცია გასცემს გრძელვადიანი აქტივების შეძენის მიზნით. უკუგება არის მომავალი ნაღდი ფულის შემოდინება, რომელიც დაკავშირებულია გრძელვადიან აქტივებთან. ინვესტირება და უკუგება წარმოადგენს კაპიტალდაბანდების ბიუჯეტირების ანალიზის საფუძველს, რომელიც აქცენტს აკეთებს იმაზე, თუ რამდენად ამართლებს გაზრდილი ნაღდი ფულის ნაკადი, რომელსაც ორგანიზაცია მოელის გრძელვადიანი აქტივებიდან, ამ აქტივებში ჩადებულ ინვესტიციას.

ცენტრალური ადგილი კაპიტალდაბანდებების ბიუჯეტირებაში უჭირავს ფულის ღირებულებას დროში, რადგან ფულს შეუძლია ინვესტიციიდან უკუგების მიღება, მისი მიღება დამოკიდებულია ფულის მიღების დროზე. ფულს გააჩნია ღირებულება დროში და მნიშვნელოვანი საკითხი რომელიც საფუძველად უდევს კაპიტალდაბანდებების ბიუჯეტირებას არის ის, რომ სხვადასხვა პერიოდში მიღებული ფულის რაოდენობა უნდა გარდაიქმნას ერთიდაიმავე დროში, მის ღირებულებად შედარების მოხდენის მიზნით (6, 528).

კაპიტალდაბანდებების ბიუჯეტირება არის მიდგომა, რომელსაც მგეგმავები იყენებენ გრძელვადიანი აქტივების შეძენის შეფასებისას. ორგანიზაციებმა შეიმუშავეს მრავალი მიდგომა კაპიტალდაბანდების ბიუჯეტირებასთან დაკავშირებით. ესენია:

- გამოსყიდვა;
- ბუღალტრული უკუგების განაკვეთი;

- წმინდა მიმდინარე ღირებულება;
- უკუგების შიდა განაკვეთი;
- მომგებიანობის ინდექსი;
- ეკონომიკური ღირებულება.

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ მუშაობს ეს მეთოდები და ალტერნატიული პერსპექტივები, თითოეული მათგანი განხილული იქნება ქვემოთ მოცემული საინვესტიციო წინადადების კონტექსტში.

კომპანიას სურს ახალი ავტომატური საცხობის შესყიდვა, რომლის ღირებულებაც 70000 ლარი და გამძლეობა 5 წელი. მისი შემენა გააძლიერებს სიმძლავრეს, შეამცირებს ოპერატიულ ხარჯებს და შესაბამისად, საშუალებას მისცემს კომპანიას გაზარდოს მოგება 20000 ლარით წელიწადში. კომპანიის კაპიტალის ღირებულებაა 10%, ახალი საწყობი მე-5 წლის ბოლოს გაიყიდება 10000 ლარად. ინვესტიციის მიზანშეწონილობა შევაფასოთ ზემოთ მოცემული 6 მიდგომის მიხედვით.

გამოსყიდვის მეთოდი. გამოსყიდვის მეთოდი ითვლის პროექტის საწყისი ინვესტიციის აღდგენისათვის საჭირო პერიოდების რაოდენობას. კომპანიის საწყისი ინვესტიცია 70000 ლარის ოდენობით აღდგება მესამე და მეოთხე წლებს შორის:

$$\text{გამოსყიდვის პერიოდი} = \frac{70000}{20000} = 3,5$$

ბევრი იყენებს გამოსყიდვის მეთოდს, როგორც პროექტის რისკის საზომს, რადგან ორგანიზაციას გააჩნია დაუფარავი ინვესტიცია გამოსყიდვის პერიოდში. რაც უფრო გრძელია ეს პერიოდი, მით უფრო მაღალია რისკი. ორგანიზაციები პროექტის გამოსყიდვის პერიოდის შედარებას ახდენენ კრიტერიუმთან ან სამიზნესთან, რომელიც ასახავს, რომ ის, რაზეც ორგანიზაციები ფიქრობენ არის რისკის შესაბამისი დონე.

გამოსყიდვის მეთოდს გააჩნია ორი ნაკლი:

- ის არ ითვალისწინებს ფულის ღირებულებას დროში;
- ის იგნორირებას უკეთებს ნაღდი ფულის გადინებას, რომელიც წარმოიქმნება გამოსყიდვის პერიოდის შემდეგ.

ბუღალტრული უკუგების განაკვეთის კრიტერიუმი. ანალიტიკოსები ითვლიან ბუღალტრული უკუგების განაკვეთის პროექტის საშუალო ბუღალტრული შემოსავლიანობის გაყოფით ინვესტიციის საშუალო დონეზე. ანალიტიკოსები იყენებენ ბუღალტრული უკუგების განაკვეთს, რომ დაუახლოვონ ინვესტიცია ამონაგებს, რომელიც ინვესტიციიდან საშუალო შემოსავლის გაყოფით ინვესტიციის საშუალო დონეზე.

ბუღალტრული უკუგების განაკვეთის გამოსათვლელად, პირველად უნდა დაითვალოს ბუღალტრული შემოსავალი. დავუშვათ, რომ კომპანიამ გადაწყვიტა შეამციროს საცხოვრის ღირებულება ისე, რომ შემცირების მთლიანი ხარჯი უტოლდებოდეს საცხოვრის საწყის ღირებულებას გამოკლებული სალიკვიდაციო ღირებულება. გამოვიყენოთ პირდაპირი მეთოდი, რომელიც ცნობს თანაბარ დაკლებას ყოველწლიურად და წლიური დაკლება არის 12000 ლარი:

$$\text{წლიური ამორტიზაცია} = \frac{\text{პირვანდელი ღირებულება} - \text{ნარჩენი ღირებულება}}{\text{აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა}} = \frac{70000 - 10000}{5} = 12000$$

აქედან გამომდინარე, ახალ საცხოვრის დაკავშირებული გაზრდილი წლიური შემოსავალი იქნება 8000 ლარი (20000-12000), რადგან ყველა წლიური შემოსავალი თანაბარია ამ მაგალითის მიხედვით, სადაც საშუალო შემოსავალი წლიური შემოსავლის ტოლია.

საცხოვრის საშუალო ინვესტიცია იქნება 40000 ლარი:

$$\text{საშუალო ინვესტიცია} = \frac{\text{საწყისი ფასი} + \text{ნარჩენი ღირებულება}}{2} = \frac{70000 + 10000}{2} = 40000$$

ახლა შეგვიძლია გამოვითვალოთ ბუღალტრული უკუგების განაკვეთი საცხოვრის ინვესტიციისთვის, რომელიც შემდეგია:

$$\text{ბუღალტრული უკუგების განაკვეთი} = \frac{8000}{40000} = 20\%$$

თუ ბუღალტრული უკუგების განაკვეთი აჭარბებს კრიტერიუმს ან სამიზნე უკუგების განაკვეთს პროექტი მისაღებია. გამოსყიდვის მეთოდის მსგავსად, ბუღალტრული უკუგების განაკვეთის მეთოდს გააჩნია თავისი ნაკლი: საშუალოს გამოთვლის დროს, ის არ ითვალისწინებს ნაღდი ფულის

ნაკადის დროში განაწილებას. თუმცა აღნიშნული მეთოდი გამოსყიდვის მეთოდის გაუმჯობესებულ ვარიანტს წარმოადგენს, რადგან ის მხედველობაში იღებს ნაღდი ფულის ნაკადს ყველა პერიოდში.

წმინდა მიმდინარე ღირებულება. პროექტის წმინდა მიმდინარე ღირებულება არის ყველა ნაღდი ფულის გადინებისა და შემოდინების მიმდინარე ღირებულების ჯამი. ეს მიდგომა უკვე მოიცავს ფულის დროში ღირებულების კონცეფციას. წმინდა მიმდინარე ღირებულების გამოსაანგარიშებლად გამოიყენება შემდეგი ნაბიჯები:

ნაბიჯი 1. შესაბამისი პერიოდის არჩევა ინვესტიციის წინადადების შეფასებისათვის. აღნიშნული პერიოდის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ინვესტიციის ნაღდი ფულის ნაკადის პერიოდულობაზე. ყველაზე ზოგადი პრაქტიკაში გამოყენებული პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს შეადგენს, მიუხედავად ამისა, ანალიტიკოსები იყენებენ კვარტალურ ან ნახევარი წლის პერიოდის ხანგრძლივობასაც.

ჩვენს მაგალითში, პერიოდის ხანგრძლივობა არის 1 წელი, რადგან ყველა ნაღდი ფულის ნაკადი დგინდება წლიურად.

ნაბიჯი 2. ორგანიზაციის კაპიტალის ღირებულების დადგენა და მისი ასახვა შესაბამის უკუგების განაკვეთის მაჩვენებელში პირველ ნაბიჯში არჩეული პერიოდის ხანგრძლივობის მანძილზე.

ჩვენ შემთხვევაში, კომპანიის კაპიტალის წლიური ღირებულებაა 10%. რადგან პირველ ნაბიჯში შერჩეული პერიოდი არის წლიური, უკუგების განაკვეთის მაჩვენებლის რეგულირება აუცილებელი არ არის.

ნაბიჯი 3. ზრდადი ნაღდი ფულის ნაკადის განსაზღვრა პროექტის არსებობის ცალკეული პერიოდისათვის.

ჩვენი მაგალითისათვის, ზრდადი ნაღდი ფულის ნაკადი არის 70000 ლარის ოდენობის გასავალი მაშინვე, 20000 ლარის შემოდინება ყოველი წლის ბოლოს ხუთი წლის მანძილზე და 10000 ლარის კომპენსაცია მეხუთე წლის ბოლოს.

ნაბიჯი 4. ცალკეული პერიოდის ნაღდი ფულის შემოდინების მიმდინარე ღირებულების დადგენა ორგანიზაციის კაპიტალის ღირებულებსი გამოყენებით.

ჩვენი მაგალითისათვის, 20000 ლარის 5-წლიანი ანიუიტეტის მიმდინარე ღირებულება, როცა ორგანიზაციის კაპიტალის ღირებულება 10%-ია, შეადგენს 75816 ლარს.

$$PV = a \times \text{ანიუიტეტის მიმდინარე ღირებულების კოეფიციენტი } 10\%, 5$$

პერიოდი

$$PV = 20000 \times 3,7908 = 75816$$

10000 ლარის კომპენსაციის მიმდინარე ღირებულება ხუთ წელში, როცა კომპანიის კაპიტალის ღირებულება 10%-ია არის 6209 ლარი.

$$PV = FV \times \text{მიმდინარე ღირებულების კოეფიციენტი } 10\%, 5 \text{ პერიოდი}$$

$$PV = 10000 \times 0,6209 = 6209$$

ნაბიჯი 5. ყველა პერიოდული ნაღდი ფულის გადინებისა და შემოდინების მიმდინარე ღირებულების შეჯამება ინვესტიციის პროექტის წმინდა მიმდინარე ღირებულების დასადგენად.

ჩვენს შემთხვევაში, ინვესტიციაზე ნაღდი ფულის შემოდინების მიმდინარე ღირებულება არის 82025 ლარი (75816+6209), რადგან 70000 ლარის ოდენობის ინვესტიცია ხორციელდება ათვლის წერტილში, მთლიანი გადინების მიმდინარე ღირებულება შეადგენს 70000 დოლარს. ინვესტიციის პროექტის წმინდა მიმდინარე ღირებულება ან ნარჩენი შემოსავალი არის 12,025 ლარი (82025-70000).

ნაბიჯი 6. თუ პროექტის წმინდა მიმდინარე ღირებულება ან ნარჩენი შემოსავალი დადებითია, პროექტი მისაღებია ეკონომიკური პერსპექტივის თვალსაზრისით.

ჩვენს მაგალითში, რადგან პროექტის წმინდა მიმდინარე ღირებულება დადებითია, კომპანიამ უნდა შეისყიდოს საცხობი, რადგან ის ეკონომიკურად მისაღებია.

მომგებიანობის ინდექსი. მომგებიანობის ინდექსი არის წმინდა მიმდინარე ღირებულების მეთოდის სახესხვაობა. ის გამოიყენება სხვადასხვა ზომის მქონე ერთობლივი მაღალი კლასის პროექტების შესადარებლად და გამოითვლება ნაღდი ფულის შემოდინების მიმდინარე ღირებულების გაყოფით ნაღდი ფულის გადინების მიმდინარე ღირებულებაზე. მომგებიანობის ინდექსი უნდა უდრიდეს 1-ს ან მეტს, იმისათვის, რომ პროექტი მისაღებად ჩაითვალოს. განვიხილოთ ორი ინვესტიცია, რომელთა შესახება ინფორმაცია მოცემული ცხრილში:

	PV ნაღდი ფულის შემოდინება	PV ნაღდი ფულის გადინება	მომგებიანობის ინდექსი
A პროექტი	50000	40000	1,25
B პროექტი	60000	50000	1,20

მომგებიანობის ინდექსის მომხრეები აცხადებენ, რომ პროექტი A უკეთესი ინვესტიციაა, რადგან მას აქვს უფრო მაღალი მომგებიანობის ინდექსი. ეს ნიშნავს, რომ პროექტი A-ს მოაქვს უფრო მაღალი ლევერიჯი ინვესტიციისათვის ლარში, ვიდრე პროექტი B-ს, თუმცა, წმინდა მიმდინარე ღირებულების მეთოდის დამცველები კამათობენ, რომ პროექტი B უკეთესია, რადგან ის უზრუნველყოფს სიმდიდრის მეტ ზრდას პროექტის მფლობელებისათვის, ვიდრე პროექტი A. მომგებიანობის ინდექსს შეუძლია მოგვცეს სასარგებლო დაკვირვების საშუალება, როცა ორგანიზაციას საკმარისი ფინანსური სახსრები არ გააჩნია განახორციელოს ყველა პროექტის ინვესტირება, რომელსაც გააჩნია დადებითი წმინდა მიმდინარე ღირებულება. წმინდა მიმდინარე ღირებულების კრიტერიუმი შესაფერისია, როცა ორგანიზაციას აქვს საკმარისი სახსრები ყველა დადებითი წმინდა მიმდინარე ღირებულების მქონე პროექტის ინვესტირებისათვის.

დავუბრუნდეთ ჩვენს მაგალითს და წმინდა მიმდინარე ღირებულების კრიტერიუმს, გავიხსენოთ, რომ ნაღდი ფულის შემოდინების წმინდა მიმდინარე ღირებულება იყო 82025 და ნაღდი ფულის გადინების წმინდა მიმდინარე ღირებულება 70000. აქედან გამომდინარე, პროექტის მომგებიანობის ინდექსი შეადგენს 1,17-ს (82025/70000).

დამატებითი ეკონომიკური ღირებულება. ბოლო პერიოდში ანალიტიკოსები და კონსულტანტები გვთავაზობენ დამატებითი ეკონომიკური ღირებულების კრიტერიუმის გამოყენებას, როგორც ორგანიზაციის საქმიანობის შეფასების საშუალებას.

დამატებითი ეკონომიკური ღირებულების კრიტერიუმის დათვლა იწყება ბუღალტრული შემოსავლის გამოყენებით, რომეის გამოთვლილია საზოგადოდ აღიარებული აღრიცხვის პრინციპებით. ანალიტიკოსები ახდენენ აღრიცხული შემოსავლის დაზუსტებას, რაც დამატებითი ეკონომიკური ღირებულების დამცველების აზრით წარმოადგენს მისი გამოთვლის საფუძველს.

ანალიტიკოსები შემდეგ ითვლიან ინვესტიციის რაოდენობას ორგანიზაციაში და გამოჰყავთ დამატებითი ეკონომიკური ღირებულება, რომელიც შემდეგნაირად გამოითვლება:

დამატებითი ეკონომიკური ღირებულება = რეგულირებული

ბუღალტრული შემოსავალი - (კაპიტალის ღირებულება × ინვესტიციის დონე)

დამატებითი ეკონომიკური ღირებულების გამოსათლელი ფორმულა მჭიდროდ არის დაკავშირებული წმინდა მიმდინარე ღირებულების კრიტერიუმთან. ძირითადი სხვაობა ამ ორ კრიტერიუმს შორის არის ის, რომ დამატებითი ეკონომიკური ღირებულება წმინდა მიმდინარე ღირებულებისაგან განსხვავებით, რომელიც თავის მხრივ მოიცავს დარიცხვებს და განაწილებას. ამიტომაც, დამატებითი ეკონომიკური ღირებულება უფრო მეტად შესაფერისია მიმდინარე ინვესტიციის

შეფასებისათვის, მაგალითად, კონკრეტული პროდუქტის ან განყოფილების შემთხვევაში, ვიდრე ახალი ინვესტიციების შესაფასებლად.

გრძელვადიანი აქტივების შეძენასთან დაკავშირებული საერთო სარგებელი იგნორირებას უკეთებს აქტივების სტრატეგიულ სარგებელს, როგორცაა, გაუმჯობესებული პროდუქტის ხარისხი, გაუმჯობესებული მომსახურება, ან გაუმჯობესებული მწარმოებლურობის ფუნქცია, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა გააჩნიათ მზარდი კონკურენციის მქონე გლობალურ ბაზარზე. სტრატეგიული სარგებელი კაპიტალდაბანდებების ბიუჯეტირების მაგალითის შემთხვევაში საკამათო საკითხია, რადგან მსგავსი სარგებლის შეფასება ძალიან რთულია და შესაბამისად რისკს შეიცავს. თუმცა, სტრატეგიული სარგებელი სავარაუდოდ არის უფრო რთული შეფასების მხრივ, ვიდრე მოსალოდნელი გაყიდვებიდან მიღებული მოგება ან მოსალოდნელი თვითღირებულების შემცირება.

სტრატეგიული სარგებელი ასახავს გაზრდილ შემოსავალსა და პოტენციურ მოგებას, რომელიც თან ახლავს გრძელვადიან აქტივებს. ჩვეულებისამებრ, გრძელვადიან აქტივებს გააჩნიათ შემდეგი სტრატეგიული სარგებელი:

- ის საშუალებას აძლევს ორგანიზაციას აწარმოოს პროდუქცია ან გასწიოს მომსახურება, რომელიც კონკურენტებს არ შეუძლიათ.
- ის ხელს უწყობს პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესებას შეცდომების შემცირების გზით.
- ის ხელს უწყობს პროდუქტის წარმოებისათვის საჭირო ციკლის დროის შემცირებას.

ჩვენს მაგალითში, კომპანიას შეუძლია განიხილოს ახალი საცხოვრის ინვესტიციის საკითხი, რომელსაც აქვს სენსორი პროდუქციის ცხოვრის დასრულებისას, რომ პროდუქცია მზად არის და გამოაგდოს ავტომატურად ღუმელიდან. მსგავს საცხოვრის გააჩნია შემდეგი სარგებელი:

- ის საშუალებას აძლევს კომპანიას დაიქირავოს ნაკლებკვალიფიციური და დაბალანაზღაურებადი თანამშრომლები;

- გარეგანი ფაქტორების კომპენსაციით, როგორცაა, გრეგანი ტემპერატურა და ტენიანობა, საცხოვრებელი შეიძლება გააუმჯობესოს ცხოვრების თანმიმდევრობა და შესაბამისად, პროდუქტის ხარისხის.

გრძელვადიანი აქტივების შეძენის გადაწყვეტილება აუცილებლად საჭიროებს გადახედვას რადგანაც ის როგორც წესი, სუბიექტურ ფაქტორებს ეფუძნება. გადახედვის პროცესს კაპიტალდაბანდების ბიუჯეტირების განხორციელების შემდგომი აუდიტი და არის ძალიან ფასეული ანალიზი გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის.

კაპიტალდაბანდების ბიუჯეტირების მოდელის გამოყენებით მიღწეული გადაწყვეტილება დიდწილად ეყრდნობა შეფასებებს, განსაკუთრებით ისეთს, რომელიც დაკავშირებულია პროექტის ნაღდი ფულის ნაკადთან და მის ხანგრძლივობასთან. აღნიშნული შეფასებები შეიძლება შეგროვდეს ბევრი წყაროდან: წარსული გამოცდილება, განსჯა, ან სხვების გამოცდილება, როგორცაა კონკურენტები. როდესაც ხდება შეფასებების გამოყენება მოწოდებული გეგმის მხარდასაჭერად, გასათვალისწინებელია ქცევითი ასპექტი, რომელიც დევს ამ გეგმის უკან და რაც ძალიან მნიშვნელოვანია. მაგალითად, წარმოების ზედამხედველი, რომელიც გახარებულია იმით, რომ გააჩნია ყველაზე ბოლო გამოშვების წარმოების დანადგარები, შეიძლება განწყობილი იყოს ოპტიმისტურად და რეალურად არ დაფიქრდეს სარგებელზე, რომელიც მოაქვს ხარჯის შემცირებასთან და ხარისხისა და პროდუქციის დროის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული აღჭურვილობის შესყიდვას. აღნიშნული ქცევა შემცირებული სახითაა გამოხატული, როცა ადამიანი გაგებით ეკიდება იმას, რომ აღჭურვილობის შესყიდვისას კომპანია ადარებს აღჭურვილობის შესყიდვის სასარგებლო შედეგებს მაღალ ხარჯებს ცვეთის ჩათვლით, რაც შემდეგში გადანაწილდება წარმოებულ პროდუქტზე აქტივის შესყიდვის გამო.

ორგანიზაციები ასევე შეიმუშავენ დისკრეციული ხარჯების გეგმას, რაც არ არის კაპიტალდაბანდების ბიუჯეტირებით გათვალისწინებული,

როგორცაა კვლევა და განვითარება, რეკლამირება და ტრენინგი. მსგავს საკითხებს მოაქვს სარგებელი, რომლის რეალიზაცია ხდება მომავალში დიდი პერიოდის მანძილზე. თუმცა, საზოგადოდ აღიარებული აღრიცხვის პრინციპები მოითხოვს, რომ დისკრეციული ხარჯები, რომელიც არ არის დაკავშირებული კაპიტალდაბანდებასთან, აღრიცხული უნდა იქნეს ხარჯებში შესაბამის პერიოდებში მათი მომავალი სარგებლის მოტანის მიუხედავად.

დისკრეციულ ხარჯებთან ფინანსური აღრიცხვის დამოკიდებულების მიუხედავად, დისკრეციული ხარჯების სიდიდიდან გამომდინარე უნდა მოხდეს მათი შეფასება კაპიტალურ ხარჯების მქონე პროექტების მსგავსად შესაძლებლობის შემთხვევაში. დისკრეციული ხარჯების ანალიზის ეს მიდგომა იმ გამოყენების იდენტურია, რომელიც კაპიტალის ინვესტიციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას უკავშირდება. მგეგმავებმა უნდა გაითვალისწინონ დისკონტირებული ნაღდი ფულის შემოდინება (სარგებელი) და დისკონტირებული ნაღდი ფულის გადინება (ხარჯები), რომელიც ასოცირდება კაპიტალური ხარჯების პროექტებთან და მიიღოს პროექტი, იმ შემთხვევაში, როცა დისკონტირებული ნაღდი ფულის ნაკადის წმინდა მიმდინარე ღირებულება დადებითია.

2.2. კაპიტალდაბანდებების ეფექტიანობის ანალიზი

ფინანსური ანალიზის თეორიასა და პრაქტიკაში კომპანიის ეფექტიანობის შესაფასებლად შემოსავლიანობის სხვადასხვაგვარი მაჩვენებელი გამოიყენება, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც გამოყენების მიზნებით, ისე გაანგარიშების მეთოდოლოგია და ინტერპრეტაციით. აღნიშნულის შედეგად იქმნება მათი ერთმანეთთან დაკავშირების პრობლემა და რაც მთავარია, იმის დასაბუთება, თუ რომელი მათგანი უნდა იქნეს გამოყენებული ეფექტიანობის განმაზოგადებელ მაჩვენებლად. ამასთან, ასეთი კრიტერიუმის არსებობა შესაძლებლობას

იძლევა კომპანიის ფუნქციონირების ეფექტიანობაზე წარმოვადგინოთ კომპლექსური სურათი.

ამოცანა ის არის, რომ დავასაბუთოთ და ავირჩიოთ უმთავრესი მაჩვენებლები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც წარმატებული საქმიანობის კრიტერიუმები. ასეთ პირობებში სხვა დანარჩენი მაჩვენებლების ცვლილება განხილული იქნება უმთავრეს მაჩვენებლებზე მათი გავლენის პოზიციიდან, ამასთან უზრუნველყოფილი ხდება სხვადასხვა მაჩვენებელს შორის ურთიერთკავშირიც, რაც ახასიათებს კომპანიის საქმიანობის ეფექტიანობას.

ის მაჩვენებლები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ეფექტიანობის კრიტერიუმები, შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: კერძო და განმაზოგადებელი მაჩვენებლები. თავად სახელწოდება მიგვანიშნებს მათ მნიშვნელობასა და პრიორიტეტზე ეფექტიანობის შეფასებისას.

კერძო მაჩვენებლებს შეიძლება მივაკუთვნოთ ისეთი მაჩვენებლები როგორცაა: გაყიდვების რენტაბელობა ან დანახარჯების რენტაბელობა. რაც შეეხება განმაზოგადებელ მაჩვენებლებს -მათ კაპიტალდაბანდების მაჩვენებლები მიეკუთვნება.

გაყიდვების რენტაბელობის სიდიდე შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სხვადასხვა ვარიაციის, რაც დამოკიდებულია საწარმოს საქმიანობის სფეროზე. ეს იმით აიხსნება, რომ განსხვავებულია საშუალებათა ბრუნვის სიჩქარე, დაკრედიტების ვადები, სასაწყობო მარაგების სიდიდე და ა.შ. კაპიტალის ხანგრძლივი ბრუნვა აუცილებელს ხდის მივიღოთ დიდი მოგება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს დამაკმაყოფილებელი შედეგი. კაპიტალის სწრაფი ბრუნვაც იგივე შედეგს იძლევა, მოგების შედარებით ნაკლები სტრატეგიის პირობებში, გაყიდვების მოცულობიდან გამომდინარე. ერთი დარგის ფარგლებში გაყიდვების რენტაბელობის მნიშვნელობის სხვადასხვაობა უშუალოდ განისაზღვრება კონკრეტულ საწარმოში მართვის ეფექტიანობით.

ასევე მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ხარჯებისა და შემოსავლიანობის თანაფარდობის დინამიკა დამოკიდებულია არა მარტო რესურსების გამოყენების ეფექტიანობაზე, არამედ საწარმოში გამოყენებული აღრიცხვის წარმოების პრინციპებზე. სააღრიცხვო პოლიტიკის საკითხებს, რომლებზეც დამოკიდებულია საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგი სიდიდე, პირველ რიგში მიეკუთვნება:

- ძირითად საშუალებებზე ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდის არჩევა;
- მასალების შეფასების მეთოდის არჩევა;
- ბრუნვისგარეშე აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადის დადგენა;
- გაყიდული პროდუქციის თვითღირებულებაზე ცალკეული სახეობის ხარჯების მიკუთვნების წესის არჩევა;
- დანახარჯთა შემადგენლობის განსაზღვრა, რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება კონკრეტული სახეობის პროდუქციის თვითღირებულებას;
- არაპირდაპირი ხარჯების შემადგენლობის განსაზღვრა, მათი განაწილების მეთოდები და სხვ.

კაპიტალდაზღვევის ეფექტიანობის მაჩვენებლები. ამ ჯგუფის მაჩვენებლები განისაზღვრება, როგორც განმაზოგადებელი მაჩვენებლები - ინდიკატორები. მათ ჩვეულებრივ ირჩევენ და იყენებენ როგორც საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების უმთავრეს მაჩვენებელს. ამ ჯგუფში შედის შემდეგი მაჩვენებლები: აქტივების რენტაბელობა (ROA), ინვესტიციების რენტაბელობა (ROI), გამოყენებული კაპიტალის რენტაბელობა (ROE) და სხვა მაჩვენებლები, რომლებიც აღნიშნულების მოდიფიკაციაა.

ზემოაღნიშნული მაჩვენებლები განვიხილოთ უფრო დეტალურად.

აქტივების რენტაბელობა (ROA). შემოსავლიანობის რაოდენობრივი დახასიათებისათვის განმაზოგადებელ მაჩვენებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს კოეფიციენტი, რომლის სახელწოდებაცაა აქტივების რენტაბელობა (ROA). მაჩვენებლის ეკონომიკურ შინაარსი იმაში

მდგომარეობს, რომ იგი ახასიათებს კომპანიის აქტივებში დაბანდებული ყოველი ლარიდან მიღებულ უკუგებას:

$$ROA = \frac{\text{მოგება}}{\text{აქტივების საშუალო სიდიდე}} \times 100$$

არსებობს ურთიერთკავშირი აქტივების რენტაბელობის, აქტივების ბრუნვადობისა და გაყიდვების რენტაბელობის მაჩვენებლებს შორის, რაც გამოისახება ფორმულით:

აქტივების რენტაბელობა = აქტივების ბრუნვადობა × გაყიდვების რენტაბელობა

მართლაც:

$$\frac{\text{მოგება}}{\text{აქტივების საშუალო სიდიდე}} = \frac{\text{ამონაგები}}{\text{აქტივების საშუალო სიდიდე}} \times$$

$\frac{\text{მოგება}}{\text{ამონაგები}}$

მაშასადამე, საწარმოში მიღებული მოგება აქტივებში დაბანდებული ყოველი ლარიდან, დამოკიდებულია საშუალებათა ბრუნვის სიჩქარესა და მოგების ხვედრით წონაზე გაყიდვებიდან მიღებულ მთლიან ამონაგებში. (3, 175).

აღნიშნული შესაძლებლობას იძლევა გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები: ერთი მხრივ, გაყიდვების რენტაბელობის მაღალი დონე ჯერ კიდევ არ ნიშნავს კომპანიაში მთლიანად გამოყენებული კაპიტალის უკუგებას; მეორე მხრივ, გაყიდვებიდან მიღებულ მთლიან ამონაგებში წმინდა მოგების უმნიშვნელო ხვედრითი წონა არ მიგვანიშნებს საწარმოს აქტივებში დაბანდებების დაბალ რენტაბელობაზე.

ინვესტიციების რენტაბელობა (ROI). აღნიშნული მაჩვენებელი განხილება როგორც ინვესტიციების ეფექტიანობის შეფასების ტრადიციული ხერხი. ROI-ის გასაანგარიშებლად გამოიყენება ფორმულა:

$$ROI = \frac{\text{საოპერაციო მოგება (NOPAT)}}{\text{აქტივები}} \times 100\%$$

პრაქტიკაში ROI-ის მაჩვენებლის გაანგარიშების სხვადასხვა ხერხი გამოიყენება. განსხვავება პირველ რიგში ეხება ინვესტირებული კაპიტალის სიდიდის დადგენას, რომელიც შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს შემდეგნაირად:

1. როგორც გრძელვადიანი (ბრუნვისგარეშე) აქტივების (ნარჩენი ღირებულებით) და საბრუნავი აქტივების ჯამი, ე.ი. ბალანსის აქტივის პირველი და მეორე განაყოფის ჯამი, დამფუძნებლებთან ანგარიშსწორების მუხლის გამორიცხვით (შენატანებით საწესდებო კაპიტალში);
2. როგორც გრძელვადიანი (ბრუნვისგარეშე) აქტივების (ნარჩენი ღირებულებით) და საბრუნავი აქტივების ჯამი, ე.ი. ბალანსის აქტივის პირველი და მეორე განაყოფის ჯამი, დამფუძნებლებთან ანგარიშსწორების მუხლის გარეშე (შენატანები საწესდებო კაპიტალში) და ასევე, კრედიტორული დავალიანების გამორიცხვით.

მე-2 შემთხვევაში ROI-ის ფორმულა შემდეგნაირად გამოისახება:

$$ROI = \frac{\text{საოპერაციო მოგება (NOPAT)}}{\text{აქტივები - კრედიტორული დავალიანებები}} \times 100\%$$

მეორე ფორმულა იმით განსხვავდება პირველისგან, რომ მნიშვნელი კორექტირებულია კრედიტორული დავალიანების სიდიდით: მომწოდებლების, ბიუჯეტის, პერსონალის და სხვების წინაშე (მაგრამ არა ბანკების).

ROI-ის მაჩვენებლის გაანგარიშების სხვა ხერხს წარმოადგენს:

$$ROI = \frac{\text{წმინდა მოგება} + \text{ნასესხებ საშუალებებზე პროცენტის თანხა} \times (1-t)}{\text{აქტივები - კრედიტორული დავალიანებები}}$$

ამ უკანასკნელ ფორმულას ყველაზე ხშირად იყენებენ ფინანსური ანგარიშგების გარე მომხმარებლები, რომლებსაც არ გააჩნიათ საკმარისი ინფორმაცია NOPAT-ის მაჩვენებლის გასაანგარიშებლად. ამასთან ყველა გაანგარიშებისას მიზანშეწონილია პერიოდის განმავლობაში ინვესტირებული კაპიტალის საშუალო სიდიდის გამოყენება.

წარმოდგენილი ფორმულის მნიშვნელში, ადრე განხილული გაანგარიშებისგან განსხვავებით, გამოირიცხება მოკლევადიანი ვალდებულებების მთლიანი სიდიდე (3, 178).

საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა (ROE). კაპიტალის ინვესტორები (აქციონერები) საშუალებებს აბანდებენ საწარმოში იმ მიზნით, რომ მიიღონ მოგება ინვესტიციებზე, ამიტომ აქციონერების თვალსაზრისით, დაბანდებული საშუალებების ეფექტიანობის შესაფასებლად უმთავრესია მოგების მიღება დაბანდებულ კაპიტალში. მოგების მაჩვენებელს აქციონერების მიერ დაბანდებული კაპიტალზე საკუთარი კაპიტალის რენტაბელობას (ROE) უწოდებენ, რომელიც განისაზღვრება ფორმულით:

$$ROE = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{საკუთარი კაპიტალი}} \times 100\%$$

ფორმულის მრიცხველი წარმოადგენს იმ საბოლოო ფინანსურ შედეგს, რომელიც რჩება მესაკუთრეთა განკარგულებაში, ხოლო მნიშვნელში აისახება პერიოდის განმავლობაში საკუთარი კაპიტალის სიდიდე.

აღნიშული მაჩვენებლის ანალიზის პრაქტიკაში მიღებულია გამოვყოთ შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

$$ROE = \frac{\text{მოგება}}{\text{ამონაგები}} \times \frac{\text{ამონაგები}}{\text{აქტივები}} \times \frac{\text{აქტივები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$$

განხილული ფაქტორებიდან პირველი ორის ნამრავლი ახასიათებს აქტივების რენტაბელობის სიდიდეს, ხოლო მე-3 ფაქტორი კი ითვალისწინებს დაფინანსების წყაროების სტრუქტურას.

მაჩვენებელთა შორის ურთიერთკავშირის უზრუნველსაყოფად, ანალიზური დასკვნების ჩამოყალიბების მიზნით, აუცილებელია შენარჩუნებულ იქნეს საკუთარი კაპიტალის სიდიდის გაანგარიშების მეთოდის ერთიანობა კაპიტალის სტრუქტურის ანალიზისას და ასევე, მისი ცალკეული შემადგენელი ელემენტის რენტაბელობის შეფასებისას. (3, 179)

აქციონერული საზოგადოების საწარმოებში წარმოიქმნება აუცილებლობა განახორციელონ საწესდებო კაპიტალის დიფერენციაცია მონაწილეთა შენატანებზე ჩვეულებრივი და პრივილეგირებულია აქციების მიხედვით. ამის შესაბამისად, უნდა განვასხვაოთ მოგება, რომელიც მიიღება მთლიან სააქციო კაპიტალზე და მოგება, რომელიც გადაიხდება ჩვეულებრივ აქციებზე.

ამ უკანასკნელი მაჩვენებლის გაანგარიშებისას აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ პრივილეგირებული აქციების გამოშვების კონკრეტული პირობები. როგორც წესი, მათი მფლობელები მონაწილეობენ კაპიტალში, რომელიც შეესაბამება პრივილეგირებული აქციების ნომინალურ ღირებულებას, ხოლო მოგებას ისინი ფიქსირებული პროცენტის შესაბამისად ღებულობენ. ასეთ შემთხვევაში მოგების დარჩენილი ნაწილი ეკუთვნის ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს.

თუმცა, ცალკეულ შემთხვევაში, პრივილეგირებული აქციების მფლობელებს შეიძლება ჰქონდეთ უფლება, გარდა ფიქსირებული პროცენტისა, მიიღონ სხვა მოგებაც. აქედან გამომდინარე, ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში მხედველობაში უნდა ვიქონიოთ პრივილეგირებული აქციების ემისიის პირობები.

ჩვეულებრივი აქციების მფლობელების კუთვნილი მოგების განსაზღვრისათვის, პირველ რიგში აუცილებელია, საკუთარი კაპიტალის მთლიანი სიდიდიდან გამოვრიცხოთ პრივილეგირებული აქციების ოდენობა, ხოლო შემდგომ, წმინდა მოგების მთლიანი სიდიდე შევამციროთ პრივილეგირებული აქციებიდან მიღებული შემოსავლის სიდიდით. ამით შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს ჩვეულებრივი აქციების მფლობელთა შემოსავლიანობას:

$$P_{ck} = \frac{M_{CA}}{CK - K_{PA}} \times 100\% ,$$

სადაც, M_{CA} - მოგება, რომელიც ერგება ჩვეულებრივი აქციის მფლობელებს;

CK - საკუთარი კაპიტალი

K_{PA} - პრივილეგირებული აქციის მფლობელთა შენატანები.

თუ ROE-ს მაჩვენებელი ახასიათებს მოგების დონეს, რომელიც მიღება მესაკუთრეთა ერთობლივი კაპიტალით, მაჩვენებელი P_{CK} გვიჩვენებს საშუალებათა უკუგების ნორმას, რომელიც მიიღება იმ მესაკუთრეთა შენატანების საფუძველზე, რომელთაც მთლიანად აწევთ მეწარმეობრივი რისკი.

საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის მაჩვენებელი, წარმოადგენს რა განმაზოგადებელ მაჩვენებელს, რომელიც კომპლექსურად ახასიათებს კომპანიის საქმიანობის ეფექტიანობას, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია დაფინანსების არჩეულ სტრუქტურაზე და ასევე, მისი ცალკეული შემადგენელი ელემენტების ღირებულებაზე.

ROE-ს, მოზიდული ნასესხები საშუალებების ღირებულებასა და ინვესტირების რენტაბელობის მაჩვენებლებს შორის ურთიერთკავშირი აისახება შემდეგ ცნობილ თანაფარდობაში:

$$ROE = ROI + \frac{D}{E}(ROI - r_a)$$

სადაც, ROE - საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა;

E - საკუთარი კაპიტალის სიდიდე;

D - ნასესხები კაპიტალის სიდიდე;

r_a - ნასესხები კაპიტალის მიზიდვის განაკვეთი.

აღნიშნული თანაფარდობა განსაზღვრავს ნასესხები საშუალებების მოზიდვის ეკონომიკური მიზანშეწონილობის ზღვარს. მოცემული თანაფარდობის არსია ის, რომ მანამ, სანამ ROI-ის მაჩვენებლის სიდიდე მაღალია ნასესხები საშუალებების მოზიდვის განაკვეთზე, საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა გაიზრდება უფრო სწრაფად, რაც უფრო მაღალია ნასესხები კაპიტალის ხვედრითი წონა. თუმცა, ნასესხები საშუალებების ხვედრითი წონის ზრდის შესაბამისად მოგების უფრო მეტი ნაწილი მიიმართება პროცენტის ასანაზღაურებლად. მაგრამ ყოველივე ამან, არახელსაყრელი კონიუნქტურის შემთხვევაში შეიძლება გამოიწვიოს ROI-ის

დაცემა, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის დაცემას (3, 180).

2.3. სამეწარმეო საქმიანობის ეფექტიანობის ანალიზი

სამრეწველო საწარმოს მაღალეფექტიანი ფუნქციონირება იმას ნიშნავს, რომ საწარმო უნდა ახორციელებდეს მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებას, შრომის მინიმალური დანახარჯებით, ამას იგი უნდა აღწევდეს იმგვარად, რომ თავის განკარგულებაში ჰქონდეს ძირითადი საწარმოო ფონდებისა და საბრუნავი სახსრების მიზანშეწონილი მინიმუმი. მიზანშეწონილი მინიმუმი ეწოდება ამ ფონდების იმ ოდენობას, რომელიც აუცილებელია და საკმარისი წარმოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის. სამრეწველო საწარმო მოწოდებულია მკაცრად დაიცვას ეს მინიმუმი ორმხრივდ, ე.ი. თავის განკარგულებაში არ ჰქონდეს ფონდების არც მეტი და არც ნაკლები რაოდენობა. ნაკლები ფონდები მოასწავებს წარმოების მოშლას, ზედმეტი კი მისი ეფექტიანობის დაცემას.

ამ გარემოებათა გამო საწარმოს მუშაობის ეფექტიანობის გაზომვა ძირითადად ხორციელდება მაჩვენებელთა შემდეგი სისტემით:

- პროდუქციის ხარისხით;
- შრომისნაყოფიერებით;
- პროდუქციის თვითღირებულებით;
- მოგების მასით;
- საწარმოს რენტაბელობით.

რაც უფრო მაღალია პროდუქციის ხარისხი მით უფრო სწრაფად და გაზრდილი მასშტაბით ხორციელდება პროდუქციის რეალიზაცია, რაც პროდუქციის ერთეულზე, მოგების უცვლელობის პირობებშიც კი, უზრუნველყოფს მოგების მასის გადიდებას, ამასთანავე ეს პროდუქცია უფრო მეტად პოულობს საზოგადოებრივ ცნობას და უპასუხებს საზოგადოების მატერიალურ-კულტურულ და სულიერ მოთხოვნებს. ამის გარეშე წარმოება საერთოდ დაკარგავდა ყოველგვარ აზრს.

მაღალხარისხოვანი პროდუქცია უფრო მაღალ ფასებში იყიდება, ვინაიდან იგი ხშირად ენაცვლება დაბალხარისხოვანი პროდუქციის მეტ რაოდენობას.

მთელ გამომუშავებულ პროდუქციაში მაღალხარისხოვანი სორტების გადიდება დაბალხარისხოვანი სორტების შემცირების ხარჯზე იწვევს პროდუქციის ერთეულზე მოგების გადიდებით მისი მასის ზრდას.

თუ უფრო მაღალია შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი, ვიდრე საშუალო ხელფასისა, მაშინ იგი პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას იწვევს კალკულაციის ისეთი მუხლის მიხედვით, როგორცაა ძირითადი წარმოების მუშების ხელფასი. თვითღირებულების ასეთი შემცირებით შრომის ნაყოფიერების ზრდა პროდუქციის მოგების გადიდების ფაქტორის როლში გვევლინება. გარდა ამისა, წარმოებისათვის ან სახალხო მეურნეობის სხვა უბნებზე გამოსაყენებლად. ე.ი. გვევლინება შრომითი რესურსების დეფიციტის დაფარვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ. ამიტომ, პროდუქციის ხარისხი და შრომის ნაყოფიერება ორმხრივად განსაზღვრავს წარმოების ეფექტიანობას. ორივე მოგების ზრდის ფაქტორია. ამასთან ერთად პირველი მათგანი უზრუნველყოფს პროდუქციის თვისებებისადმი საზოგადოების მომთხოვნელობის დაკმაყოფილებას, მეორე კი შრომითი რესურსების ნაკლებობის ლიკვიდაციას. აი რატომაა ისინი წარმოების ეფექტიანობის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები. მაგრამ მოცემული საწარმოს მუშაობის მაღალეფექტიანობა მართო ამ ორი მაჩვენებლის მაღალი დონით როდი განისაზღვრება, აქ უადრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოგების მასა და საწარმოს რემნტაბელობა. მოგების მასის, გარდა ზეექმოაღნიშნულისა, დამოკიდებულია პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე, პროდუქციის თვითღირებულებაში კი აკუმულირებულია პროდუქციის წარმოებაზე გაწეული როგორც განივთებული, ასევე ცოცხალი შრომის ყველა ხარჯი.

მოგების მასა აბსოლუტური თანხის სახით გვევლინება, იგი

წარმოადგენს გაწეულ ხარჯებს ზევით შექმნილ ღირებულებას, რომლის მატერიალური საფუძველია პროდუქცია საზოგადოებისათვის.

სოციალისტურ საწარმოში მოგების ზრდა უნდა ხორციელდებოდეს წარმოების ფუნქციონირების გაუმჯობესებით და არა ერთი საწარმოს მიერ მეორისათვის მუშაობის პირობების გაუარესების ხარჯზე. მოგების მასის ზრდა აქ განპირობებული უნდა იყოს მისი მატერიალური შინაარსის გამდიდრებით, ე.ი. მეტი პროდუქციით საზოგადოებისათვის როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხის მიხედვით.

სამეწარმეო ეფექტიანობა პირდაპირ კავშირშია საწარმოო სიმძლავრეების დადგენასა და მისი ათვისების დონესთან.

აღსანიშნავია, რომ საწარმოო სიმძლავრე სხავდასხვა დარგის მიხედვით განსხვავდება. მაგალითად, ზოგიერთი ნედლეულის მალფუჭებადი ხასიათი ზღუდავს მისი ტრანსპორტირების რადიუსს, შეუძლებელს ხდის მის შენახვასა და მარაგის შექმნას და მოითხოვს დაუყოვნებელ გადამუშავებას, ამიტომ ამ ტიპის საწარმოს სიმძლავრე ნედლეულის სწრაფად ათვისების უნარით განისაზღვრება. რაც შეეხება პროდუქციის გამოშვებას, მისი დაყოვნება შესაძლებელია ნახევარფაბრიკატების მარაგის შექმნით და შემდგომ პერიოდში მისი სორტირებით. ამის გამო პროდუქციის გამოშვების შესაძლებლობა სეზონის პერიოდში მნიშვნელოვნად განსხვავდება ნედლეულის გადამუშავების მაქსიმალური შესაძლებლობისაგან.

მრეწველობის სხვადასხვა დარგის საწარმოს, საამქროს თუ საწარმოო უბნის სიმძლავრე მათი სპეციფიკისადმი შესატყვისი მაჩვენებლით გამოიხატება. იგი გამოიხატება პროდუქციის ან ნატურალური, ან ნატურალურ-პირობითი ან კიდევ შრომითი და ფულად ერთეულებში წარმოდგენილი მაჩვენებლებით. ამასთან, ამ მაჩვენებელთა შორის ყველაზე ზუსტად საწარმოო სიმძლავრის დახასიათებას იძლევა ნატურალური მაჩვენებელი.

საწარმოო სიმძლავრის გამოყენების დახასიათება შესაძლებელია სათანადო მაჩვენებელთა სისტემით:

- საწარმოს მიერ გეგმით გათვალისწინებული პროდუქციის გამოშვების შეფარდება მის სიმძლავრესთან, რომელიც განსაზღვრავს საწარმოო სიმძლავრეების გეგმით გათვალისწინებული გამოყენების დაძაბულობას.
- საწარმოს მიერ ფაქტიურად გამოშვებული პროდუქციის შეფარდება მის სიმძლავრესთან, რომელიც განსაზღვრავს საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების მიღწეულ დონეს;
- სიმძლავრეების გამოყენების დონის დასახასიათებლად დროის სხვადასხვა პერიოდის მიხედვით გამოიყენება ისეთი მაჩვენებელი, როგორცაა ძირითადი ფონდების ღირებულების 100 ლარზე გამოშვებული პროდუქციის მოცულობა;
- გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა საშუალოდ ერთ დაზგაზე ან ერთი დაზგა საათში;
- პროდუქციის მოცულობა, რომელიც მოდის საწარმოო ფართობის ერთ კვადრატულ მეტრზე.

საწარმოო სიმძლავრის შემდგომი ზრდისა და გამოყენების გაუმჯობესების პერსპექტივების განსაზღვრისათვის საჭიროა უფრო ღრმა ანალიზი, რომლის დროსაც ხდება გამოყენებული ტექნოლოგიური პროცესის და მოწყობილობის შემადგენლობის პროგრესულობის გამოკვლევა და მოწყობილობის გამოყენების დონის შემოწმება.

ტექნოლოგიური პროცესის პროგრესული ხასიათის გარკვევა და საწარმოო სიმძლავრის გამოყენების დონეზე მისი გავლენის გამოკვლევა ხდება მოცემულ საწარმოში გამოყენებული პროგრესული ტექნოლოგიური ხვედრითი წონის დადგენით. ანალიზს უქვემდებარებენ ნოვატორთა და მეცნიერების ახალ მიღწევათა დანერგვის ვადებს, ადარებენ მოცემული საწარმოს ტექნოლოგიას საზღვარგარეთის ანალოგიურ საწარმოსთან.

ანალიზით შესაძლებელი ხდება სიმძლავრეების ზრდისა და მისი გამოყენების შემდგომი გაუმჯობესების გზების განსაზღვრა.

მოწყობილობის გამოყენების გაუმჯობესების ძირითადი გზებია:

- პროდუქციის ერთეულზე ძირითადი სამანქანო დროის დანახარჯის შემცირება ეფექტიანი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვით;
- დამხმარე დროის ხანგრძლივობის შემცირება პროდუქციის ერთეულზე;
- მოწყობილობის მუშაობის დროის დანაკარგების შემცირება. მანქანა-მოწყობილობის ცვეთისადმი გამძლეობის საგეგმო-გამაფრთხილებელი რემონტის სისტემის განხორციელებით, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით;
- მოწყობილობის არანაყოფიერი დატვირთვის შემცირება, მაგალითად, წუნის შემცირებით.

საწარმოო ფართობის გამოყენების გაუმჯობესების ძირითადი გზებია:

- წარმოებისათვის იმ ფართობის გამოთავისუფლება, რომელიც დაკავებული იყო დამხმარე და მომსახურე უბნების მიერ;
- საწარმოო უბნების აღჭურვა ამწესატრანსპორტო და სხვა მოწყობილობებით, წარმოების ორგანიზაციის მოწინავე მეთოდების დანერგვა და მის ხარჯზე ფართობის 1მ²-ზე პროდუქციის გამოშვების გაზრდა და ა.შ.

ამრიგად, სამეწარმეო ეფექტიანობის ანალიზის მეშვეობით შესაძლებელია წარმოების მაქსიმალური დონის მიღწევა. მისი საშუალებით კომპანიის მენეჯმენტს შეუძლია გადაწყვეტილება მიიღოს დროის ნებისმიერი პერიოდისათვის საჭირო დონისძიებებზე. სამეწარმეო ეფექტიანობა მნიშვნელოვანია ნებისმიერი საწარმოსათვის, რომელსაც სურს მიაღწიოს კონკურენტულ უპირატესობას როგორც ადგილობრივ, ისე საზღვარგარეთულ ბაზარზე.

2.4. ფინანსური ანგარიშგების ანალიზი

ფინანსური ანალიზი მოიცავს ფინანსური ანგარიშგების გამოყენებას. ფინანსური ანგარიშგება შედგება:

- ბალანსი
- შემოსავლების ანგარიშგება
- მოგება ზარალის ანგარიშგება
- საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება
- ფულადი ნაკადების შესახებ ანგარიშგება

ბალანსი აჯამებს აქტივებს, ვალდებულებებსა და საკუთარ კაპიტალს დროის გარკვეული პერიოდისთვის, როგორც წესი წლის ბოლოსათვის ანუ 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შემოსავლების ანგარიშგება აჯამებს კომპანიის შემოსავლებს და ხარჯებს. ამ ორი ანგარიშიდან დგება მოგება/ზარალის ანგარიშგება და ფულადი ნაკადების შესახებ ანგარიშგება.

ბალანსის ინფორმაცია. ბალანსში აქტივები როგორც წესი ჩამოთვლილია მისი ლიკვიდურობის ხარისხის მიხედვით (ანუ რომლის განაღდებაც უფრო სწრაფად არის შესაძლებელი). ნაღდი ფული და ფულის ექვივალენტები არის აქტივების ძირითადი ლიკვიდური კაპიტალი და ისინი ასახულია პირველად. შემდგომ მოდის დებიტორული დავალიანება - მყიდველის გადახდის ვალდებულება რომელიც კონვერტირებული უნდა იყოს ნაღდი ფულში 30-60 დღის ვადაში. შემდგომ მოდის მარაგები, რომლებიც გამოიყენება პროდუქციის გამოყენებისთვის. პროდუქტი უნდა გაიყიდოს, რის შემდეგაც მიღებული მოთხოვნის დაფარვის შემდეგ კონვერტირებულ უნდა იქნეს ნაღდი ფულში. ძირითადი აქტივები (მიწა, შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები) და გრძელვადიანი ინვესტიციები ნაკლებად ლიკვიდურია ისინი მოცემული ბოლოს.

ცხრილის ქვედა (მეორე მხარეს) მოცემულია კომპანიის ვალდებულებები და სააქციო კაპიტალი. ეს დეტალები გაწერილია გადახდის დროულობის მიხედვით. ყველა მიმდინარე ვალდებულება

ბალანსის ფორმა

	ლარი	ლარი
აქტივები		
მიმდინარე აქტივები		
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში		
ეროვნული ვალუტა რეზ. ბანკში		
მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით		
მოთხოვნა პარტნიორებზე გაცემულ სესხებზე		
მისაღები პროცენტები		
საქონელი		
ნედლეული და მასალა		
წინასწარ გაწეული ხარჯები (იჯარა, დაზღვევა)		
სულ მიმდინარე აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
სატრანსპორტო საშუალებები		
სატრ. საშუალებების ცვეთა		
სულ გრძელვადიანი აქტივები		
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
მიმდინარე ვალდებულებები		
ვალდებულება მოწოდებით და მომსახურებით		
მიღებული ავანსი		
გადასახდელი ხელფასი		
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი		
გასანაღდებელი თამასუქი		
მოკლევადიანი სესხი		
გადასახდელი პროცენტები		
გადასახდელი მოგების გადასახადი		
სულ მიმდინარე ვალდებულებები		
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება		
სარეზერვო კაპიტალი		
სულ საკუთარი კაპიტალი		
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		

გადაიხდება არაუგვიანეს ერთი წლისა, მაშინ როცა გრძელვადიანი ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში. აქციონერების კაპიტალი გადაიხდება მხოლოდ ფულადი დივიდენდების სახით, რომელსაც გარკვეული პერიოდულობა გააჩნია. სააქციო კაპიტალი შედგება რამდენიმე ქვეკატეგორიისაგან. ჩვეულებრივი აქცია და დამატებით განაღდებული კაპიტალი ერთად წარმოადგენს

მოგება/ზარალის ანუ სრული შემოსავლების ანგარიშგების ფორმა

	ლარი	ლარი
შემოსავალი რეალიზაციიდან:		
საქონლის ნაშთი წლის დასაწყისში		
შესყიდვები		
საქონლის ნაშთი წლის ბოლოს		
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		
მოგება რეალიზაციიდან (საერთო)		
საპროცენტო შემოსავალი		
საოპერაციო ხარჯები:		
შრომის ანაზღაურების ხარჯები		
იჯარის ხარჯები		
კომუნალური მომსახურების ხარჯები		
დაზღვევის ხარჯი		
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		
ფინანსური (საპროცენტო) ხარჯი		
სულ ხარჯები		
მოგება დაბეგვრამდე		
მოგების გადასახადი		
წმინდა მოგება		

კომპანიაში გადახდილი ფულის მთლიან თანხას ჩვეულებრივი აქციების წილის სანაცვლოდ.

„ცხრილში“ ჩვენ ვნახულობთ რომ მთლიანი აქტივები ტოლია ვალდებულებების და სააქციო (საკუთარი) კაპიტალის ჯამისა. ეს არის ბუღალტრული ტოლობა.

$$\text{აქტივები} = \text{ვალდებულებები} + \text{საკუთარი კაპიტალი}$$

მისი არითმეტიკული გადანაცვლებით ვღებულობთ შემდეგს:

$$\text{აქტივები} - \text{ვალდებულებები} = \text{საკუთარ კაპიტალი}$$

ან

$$\text{აქტივები} - \text{საკუთარი კაპიტალი} = \text{ვალდებულებები}$$

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მომხმარებლები არიან თვითონ კომპანია და მისი მენეჯმენტი, კაპიტალის გარე მომწოდებლები -

კრედიტორები და ინვესტორები. ანალიზის ტიპი მათი ინტერესების მიხედვით იცვლება. მაგალითად, სავაჭრო კრედიტორებს (მომწოდებლებს) აინტერესებთ კომპანიის გადახდისუნარიანობა (ლიკვიდურობა). მათი მოთხოვნები არის მოკლევადიანი და კომპანიის მიერ მათი დაფარვის

„ანგარიშგება საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ“ ფორმა

ლარი	
საკუთარი კაპიტალი 1.12.2014	
მიმდინარე წლის წმინდა მოგება (+)	
სულ	
კაპიტალის ამოღება (-)	
საკუთარი კაპიტალი 31.12.2014	

შესაძლებლობა არის საუკეთესო მტკიცებულება მისი გადახდისუნარიანობის ანალიზისთვის. ობლიგაციების მფლობელების ინტერესები არის გრძელვადიანი, რაც ვლინდება ფულადი ნაკადების შესაძლებლობაში თუ რამდენად შეუძლია მას მოემსახუროს ვალებს გრძელვადიან პერიოდში. ამ უკანასკნელის შეფასებაში მათ ეხმარებათ კომპანიის კაპიტალის სტრუქტურის ანალიზი, ფინანსური საშუალებების ძირითადი წყაროების და მათი გამოყენების ანალიზი, კომპანიის მომგებიანობა დროში და მომავალი მომგებიანობის პროგნოზირება.

კომპანიის ჩვეულებრივი აქციების მფლობელები ძირითადად დაინტერესებულნი არიან კომპანიის ახლანდელი და მომავალი სარგებლის გამომუშავებით, ისევე როგორც მისი სტაბილურობით როგორც მოკლე ისე გრძელვადიან პერიოდში. ისინი ფოკუსირებას ახდენენ მომგებიანობის ანალიზზე და ფინანსურ მდგომარეობაზე, რადგან იგი ზეგავლენას ახდენს კომპანიის შესაძლებლობაზე გადაიხადოს დივიდენდები და აიცილოს გაკოტრება.

ფინანსური ანალიზის ყველაზე ხშირი მომხმარებლები არიან მენეჯერები. მას ისინი იყენებენ შიდა კონტროლისათვის, დაგეგმვისთვის.


ანგარიშგება ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ

I. ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	ლარი	ლარი
წმინდა მოგება		
დარიცხული მოგების გადასახადი		
მოგება დაბეგვრამდე		
დარიცხული ცვეთა		
დარიცხული პროცენტები		
მოგება საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		
დებიტორული დავალიანების ზრდა		
მარაგის ზრდა		
კრედიტორული დავალიანების ზრდა		
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
II. ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
კაპიტალის ამოღება		
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
III. ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
აღებული სესხი		
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)		
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში		
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს		

ფინანსური ანალიზის გარეშე ფაქტიურად წარმოუდგენელია ეფექტური დაგეგმვა და კონტროლი. კომპანიის ახლანდელი მდგომარეობის განსაზღვრა პირდაპირ კავშირშია ეფექტურ დაგეგმვასთან რადგან არ მოხდეს ჭარბი მოლოდინების შექმნა. შიდა კონტროლის თანახმად კი ფინანსური მენეჯერები დაინტერესებულნი არიან სხვადასხვა აქტივებიდან მიღებული სარგებლით ინვესტიციაზე და აქტივების ეფექტიანი მართვით.

შემოსავლების ანგარიშგება აჯამებს კომპანიის შემოსავლებს და ხარჯებს. ამ ორი ანგარიშიდან დგება მოგება/ზარალის ანგარიშგება და ფულადი ნაკადების შესახებ ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ჩარჩო. კომპანიის ანალიზის დროს შესაძლოა გამოყენებულ იქნას სხვადასხვა მიდგომა. თუმცა არსებობს კონცეპტუალური ჩარჩო, რომელიც გამოიყენება ისეთ დროს, როცა ადგილი გარე წყაროებიდან დაფინანსებას.



სურ. 3. ფინანსური ანალიზის ჩარჩო (2, 139)

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად გამოყენებული საშუალებები არის ფინანსური კოეფიციენტები. ეს მონაცემები გვაძლევს შეფასებას კომპანიის ფინანსური მდგომარეობის და მომგებიანობის შესახებ დროში. პირველი ნაბიჯი არის ბიზნეს რისკის ანალიზი. ზოგადად ყველა კომპანია რისკის სხვადასხვა, ცვალებად ხაზზე ფუნქციონირებს და შესაბამისად მათი მომგებიანობა შეიძლება მერყეობდეს ნულოვან ანუ წაუგებლობის წერტილთან ახლოს ან შორს. აღნიშნული დამოკიდებულია დარგის საშუალო მომგებიანობის კოეფიციენტზე, რომელიც სხვადასხვა ორგანიზაციისთვის სხვადასხვაა.

ცხრილში მოცემული სამივე ფაქტორი გამოყენებული უნდა იქნეს კომპანიის ფინანსური საჭიროებების განსაზღვრაში არა ცალ-ცალკე, არამედ ერთად. ფინანსური საშუალებების საჭიროებების ბუნება ზეგავლენას ახდენს გამოსაყენებელი დაფინანსების ტიპზე. მაგალითად სეზონური მოთხოვნა ფულზე შესაძლოა მოკლევადიანი საბანკო კრედიტით დაფინანსდეს. ბიზნესრისკის კომპანიის დონე ასევე ძლიერ გავლენას ახდენს გამოსაყენებელი დაფინანსების ტიპზე. რაც დიდია ბიზნესის რისკი, მით ნაკლებად სასურველია დებიტორული ვალდებულებებით დაფინანსება. კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და მოქმედება ასევე გავლენას ახდენს

გამოსაყენებელი დაფინანსების ტიპზე. რაც მეტია კომპანიის ლიკვიდურობა, მით ძლიერია მთლიანი ფინანსური მდგომარეობა; მით დიდია კომპანიის მომგებიანობა და მით მეტია დაფინანსების ტიპის რისკიანობა. ამგვარად, ვალის აღებით დაფინანსება ხდება მეტად მიმზიდველი კარგი ლიკვიდურობის, ფინანსური მდგომარეობის და მომგებიანობის დროს. კომპანიამ შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს მისი ფინანსური გეგმა ბაზრის რეალობასთან. ფინანსური რესურსების თანხები, ვადები და გადახდის პირობები განისაზღვრება კომპანიებს შორის მოლაპარაკებების პროცესში.

ფინანსური კოეფიციენტების გამოყენება. იმისათვის რომ შეფასდეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და განვითარება, ფინანსური ანალიტიკოსი ატარებს კომპანიის მდგომარეობის სხვადასხვა ასპექტის შესწავლას, რომლისთვისაც გამოიყენება ფინანსური კოეფიციენტები.

ფინანსური კოეფიციენტების ანალიზი მოიცავს შედარების ორ ტიპს. პირველი, ანალიტიკოსს შეუძლია მონაცემები შეადაროს კომპანიის წარსულ და მოსალოდნელ კოეფიციენტებს (შიდა შედარება). ცალკე, რომელიმე ერთი წლის ფინანსური კოეფიციენტი თავისთავად არაა საინტერესო, მნიშვნელოვანია მხოლოდ მისი ცვლილება დინამიკაში. შედარების მეორე მეთოდი მოიცავს ერთი კომპანიის კოეფიციენტების შედარებას მსგავსი კომპანიების კოეფიციენტებთან ან ინდუსტრიის საშუალო კოეფიციენტებთან (გარე შედარებები და ინდუსტრიის კოეფიციენტების წყაროები). ასეთი შედარება საშუალებას იძლევა ფინანსური მდგომარეობის პროგნოზირებისა. იგი ასევე საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ მნიშვნელოვანი გადახრა ინდუსტრიის საშუალო მაჩვენებლიდან. ამ სახის მონაცემებს ადგენენ და აქვეყნებენ მსოფლიოს გავლენიანი ორგანიზაციები და საკრედიტო დაწესებულებები. აღნიშნული მონაცემები იძლევა მხოლოდ ზოგად მითითებებს, თუმცა მისი საშუალებით დარგის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღება შედარებით აპრობირებული საშუალებაა.


კოეფიციენტების ტიპები. გამოიყენება ორი ტიპის ფინანსური კოეფიციენტი. პირველი იძლევა ინფორმაციას კომპანიის ფინანსურ

მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დროს - ბალანსური კოეფიციენტები. მეორე ტიპი იძლევა ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის რაიმე ასპექტზე დროის პერიოდში. ასეთ კოეფიციენტებს ეწოდებათ შემოსავლის ანგარიშგების და შემოსავლის/ბალანსის ანგარიშგების კოეფიციენტები.

ანალიზის ჩატარების მიზნით, ამ ორი ტიპის კოეფიციენტები ნაწილდება ხუთ ცალკეულ ჯგუფში: ლიკვიდურობა, ფინანსური ლევერიჯი, დაფარვა, აქტიურობა და მომგებიანობის კოეფიციენტები. არც ერთი ცალკე აღებული კოეფიციენტი არ გვამლევს საკმარის ინფორმაციას კომპანიის მდგომარეობის შესახებ. სრული ინფორმაციის მისაღებად საჭიროა გაანალიზდეს კოეფიციენტების ჯგუფი.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ლიკვიდურობის კოეფიციენტები გამოიყენება კომპანიის უნარის გასაზომად დაფაროს მოკლევადიანი ვალდებულებები. ისინი ადარებენ მოკლევადიან ვალდებულებებს მიმდინარე აქტივებთან ამ ვალდებულებების შესრულებისთვის. იგი გვიჩვენებს კომპანიის მიმდინარე გადახდიუნარიანობას და მხარდაჭერის შესაძლებლობას რაიმე გართულების შემთხვევაში.



სურ. 4. კოეფიციენტების ტიპები (2, 143)

ლიკვიდურობის კოეფიციენტებიდან ერთ-ერთი ძირითადი და ხშირად გამოყენებადი არის მიმდინარე კოეფიციენტი:

მიმდინარე აქტივები
მიმდინარე ვალდებულებები

თეორიულად რაც მაღალია მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი, მით მაღალია კომპანიის შესაძლებლობა დაფაროს თავისი ვალდებულებები, თუმცა ამ კოეფიციენტის საფუძველზე შესაძლოა მიღებულ იქნეს მხოლოდ მიახლოებითი შეფასება, რადგანაც იგი არ ითვალისწინებს აქტივების ცალკეული ელემენტების ლიკვიდურობას. შედეგად, აუცილებელია უფრო ზუსტი მაჩვენებლის გამოყენება კომპანიების ლიკვიდურობის შეფასებისთვის - მჟავა ტესტის კოეფიციენტი ანუ სწრაფი ლიკვიდურობა:

მიმდინარე აქტივები – მარაგები
მიმდინარე ვალდებულებები

იგი მსგავსია ლიკვიდურობის მიმდინარე კოეფიციენტის, იმის გამოკლებით, რომ მიმდინარე აქტივების შემადგენლობაში არ გაითვალისწინება მარაგები მისი ნაკლებადლიკვიდური ხასიათის გამო. ამგვარად, ეს კოეფიციენტი უზრუნველყოფს ლიკვიდურობის უფრო ზუსტ შეფასებას, ვიდრე მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი.

ფინანსური ლევერიჯის (ვალის) კოეფიციენტები. ვალის სააქციო კაპიტალთან დამოკიდებულების კოეფიციენტი. იმისათვის, რომ შეფასდეს ჩარჩოები, რომლის მიხედვითაც კომპანია ფულს სესხულობს, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას განსხვავებული ვალის კოეფიციენტი. ნასესხები და საკუთარი საშუალებების კოეფიციენტი მარტივად გამოიანგარიშება კომპანიის მთლიანი სასესხო საშუალებების გაყოფით მის სააქციო კაპიტალზე:

მთლიანი ვალი
სააქციო კაპიტალი

კრედიტორებისთვის ჩვეულებრივი მომგებიანია, რომ ეს მაჩვენებელი არ იყოს მაღალი. რაც უფრო დაბალია იგი, მით უფრო დიდ ნაწილს

აბანდებენ აქციონერები და მით მეტია კრედიტორების დაცვის დონე აქტივების ღირებულების დაცემის ან პირდაპირი ზარალის შემთხვევაში.

კოეფიციენტის გამოყენების მიზნით მიხედვით, პრივილეგირებული აქციები განიხილება როგორც ვალდებულება და არა საკუთარი კაპიტალის ელემენტი. ისინი პირველ რიგში წარმოადგენენ გადასახდელ ვალდებულებას უბრალო აქციების მფლობელებთან შედარებით. ნასესხები და საკუთარი კაპიტალის კოეფიციენტის დამოკიდებულება შეიძლება მერყეობდეს ბიზნესის ხასიათის და ფულადი ნაკადების მოძრაობის ცვლილების მიხედვით.

ვალის მთლიან აქტივებთან დამოკიდებულების კოეფიციენტი. ვალდებულების და მთლიანი აქტივების დამოკიდებულების კოეფიციენტი განისაზღვრება კომპანიის მთლიანი ვალების გაყოფით მის აქტივებზე:

$$\frac{\text{მთლიანი ვალი}}{\text{მთლიანი აქტივები}}$$

იგი გამოყოფს კომპანიის აქტივების იმ ნაწილს, რომლებიც ფინანსდება ვალით. რაც მაღალია ვალისა და მთლიანი აქტივების დამოკიდებულების კოეფიციენტი, მით მაღალია რისკი და პირიქით.

ვალის ამ ორი კოეფიციენტის გარდა გამოიყენება მესამე კოეფიციენტი, რომელიც ახასიათებს გრძელვადიან ვალდებულებას:

$$\frac{\text{გრძელვადიანი სესხი}}{\text{მთლიანი კაპიტალდაბანდება}}$$

ეს მაჩვენებელი ასახავს გრძელვადიანი სესხის მნიშვნელობას კომპანიის კაპიტალის სტრუქტურაში. იგი გვაწვდის ინფორმაციას კრედიტორების და მფლობელების მიერ ჩადებული კაპიტალის პროპორციის შესახებ.

დაფარვის კოეფიციენტები გამოიყენება კომპანიების ფინანსური ვალდებულებების შედარებისთვის მათი მომსახურების და დაფარვის გადახდისუნარიანობასთან. მათგან ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და გავრცელებული არის სარგებლის დაფარვის კოეფიციენტი

მოგება კრედიტის ხარჯამდე და გადასახადების გადახდამდე (EBIT)

კრედიტის ხარჯი

ეს კოეფიციენტი მიუთითებს კომპანიის შესაძლებლობაზე გადაიხადოს მისი სესხის სარგებლები და აიცილოს გაკოტრება. რაც მაღალია კოეფიციენტი, მით მაღალია ალბათობა, რომ კომპანია შეძლებს დაფაროს სესხების მომსახურება.

აქტიურობის კოეფიციენტები - ეფექტურობის ან ბრუნვის კოეფიციენტები ზომავენ კომპანია რამდენად ეფექტიანად იყენებს თავის აქტივებს. მისი ზოგიერთი ასპექტი მჭიდროდ უკავშირდება ლიკვიდურობის ანალიზს.

დებიტორული დავალიანების აქტიურობა. დებიტორული დავალიანების ბრუნვის კოეფიციენტი იძლევა კომპანიის დებიტორული დავალიანებების ხარისხის პროგნოზირების საშუალებას და რამდენად წარმატებულად შეუძლია კომპანიას მათი მიღება.

წლიური კრედიტით გაყიდვები

დებიტორული დავალიანებები

ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს წლის განმავლობაში დებიტორული დავალიანებების თანხების ბრუნვის რაოდენობას (კონვერტაციას ფულად საშუალებებში). რაც მაღალია დებიტორული დავალიანების ბრუნვა, მით ნაკლები დროის პერიოდი გადის ტიპურ გაყიდვას და გადახდის მიღებას შორის.

დებიტორული მოთხოვნის ბრუნვა შესაძლებელია მნიშვნელოვანდ ნელი იყოს, ვიდრე ინდუსტრიის ან სხვა კომპანიის ტიპური მაჩვენებელი. ეს შესაძლოა იყოს სუსტი ამოღების პოლიტიკის მაჩვენებელი და წარსულში მისაღები ანგარიშების კვლავ არსებობა ბალანსში. ამას გარდა, თუ დებიტორული მოთხოვნა მეტია მიმდინარე ვალდებულებებზე, საჭიროა კომპანიის ლიკვიდურობის ხელახლა შეფასება. ყველა დებიტორული დავალიანების ლიკვიდურად ჩათვლის შემთხვევაში, როდესაც ფაქტობრივად მნიშვნელოვანი წილი შეიძლება იყოს ამოუღებადი, ხდება კომპანიის ჭარბი ლიკვიდურობის ანალიზი. ამის მიზეზის დადგენისთვის

გამოიყენება დებიტორული მოთხოვნის ბრუნვის კოეფიციენტი, რომ მიიღოს დებიტორული დავალიანების ბრუნვა დღეებში. იგი გამოიანგარიშება შემდეგნაირად:

$$\frac{\text{დღეები წელიწადში}}{\text{დებიტორული მოთხოვნის ბრუნვის კოეფიციენტი}}$$

ან შესაბამისად

$$\frac{\text{დებიტორული მოთხოვნები} \times \text{დღეები წელიწადში}}{\text{წლიური კრედიტით გაყიდვები}}$$

რომელიც გვიჩვენებს დღეების საშუალო რაოდენობას, დაწყებული გაყიდვების პერიოდიდან გადახდის დროის დადგომამდე, ანუ დროის ხანგრძლივობას, როცა თანხა არ არის გადახდილი. ძალიან მაღალი საშუალო გადახდის პერიოდი ჩვეულებრივ არის ცუდი, ხოლო ძალიან დაბალი, შეიძლება იყოს კარგი.

კრედიტორული ვალდებულებების აქტიურობა. თუ კომპანიას სურვილი აქვს შეისწავლოს მისი ვალდებულებები, მიმწოდებლების, მომხმარებლებისა და კრედიტორებისთვის. გამოიყენება იგივე პრინციპი, რასაც დებიტორული მოთხოვნების ანალიზის დროს ვიყენებთ: კრედიტორული ვალდებულების ბრუნვის კოეფიციენტი, კრედიტორული ვალდებულებების ბრუნვა დღეობით ან ვალდებულებების გადახდის საშუალო პერიოდი

$$\text{კრედიტორული ვალდებულების ბრუნვა} = \frac{\text{კრედიტით შესყიდვები მთელი წლის განმავლობაში}}{\text{კრედიტორული ვალდებულების ნაშთი}}$$

$$\frac{\text{დღეები წელიწადში}}{\text{კრედიტორული ვალდებულების ბრუნვის კოეფიციენტი}}$$

ან შესაბამისად

$$\frac{\text{კრედიტორული ვალდებულებები} \times \text{დღეები წელიწადში}}{\text{კრედიტორული ვალდებულების ბრუნვის კოეფიციენტი}}$$

სადაც კრედიტორული დავალიანება არის გადაუხდელობის საბოლოო (საშუალო) ბალანსი ერთი წლისთვის და წლიური კრედიტით შესყიდვები არის გარე შესყიდვები წლის განმავლობაში. იგი ახასიათებს კომპანიის კრედიტორული ვალდებულებების საშუალო პერიოდს.

გადახდის საშუალო პერიოდი არის კარგი ინფორმაცია იმ ალბათობის შეფასებისთვის, რომ კრედიტის მაძიებელი გადაიხდის დროულად.

მარაგების აქტიურობა. მარაგების ექვეტიანად მართვის განსასაზღვრად იანგარიშება მარაგების ლიკვიდურობის კოეფიციენტი:

$$\frac{\text{გაყიდული საქონლის ღირებულება}}{\text{მარაგები}}$$

რაც მაღალია მარაგების ბრუნვა, მით უფრო ექვეტიანია კომპანიის მარაგების მართვა და მით „ახალი“ ანუ მეტად ლიკვიდურია მარაგები. თუმცა ხშირად მარაგების მაღალი ბრუნვა მათ არასაკმარისობაზე მიუთითებს.

შესაბამისად, მარაგების დაბალი ბრუნვა მიზეზია მარაგის სიჭარბის ან მოძველებული დეტალების ნიშანი. რამდენადაც მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი იძლევა საკმარისად მიახლოებულ შედეგებს, შესაძლოა დაგჭირდეს მარაგების არაექვეტიანი მართვის ცალკეული მიზეზების ღრმა კვლევა.

მარაგების აქტიურობის ალტერნატიული საზომი არის მარაგების ბრუნვა დღეების მიხედვით:

$$\frac{\text{დღეები წელში}}{\text{მარაგების ბრუნვა}}$$

ან შესაბამისად,

$$\frac{\text{მარაგები} \times \text{დღეები წელში}}{\text{გაყიდული საქონლის ღირებულება}}$$

იგი გვეუბნება თუ დაახლოებით რამდენი დღეა საჭირო მარაგების დებიტორულ მოთხოვნებში გადაყვანისთვის გაყიდვის გზით.

ოპერაციული ციკლი ნაღდი ფულის ციკლის საპირისპიროდ. ლიკვიდურობის და აქტიურობის კოეფიციენტში მნიშვნელოვანია კომპანიის ოპერაციული ციკლის კონცეფცია. იგი არის დროის ხანგრძლივობა შესყიდვის განხორციელებასა და მყიდველისგან საქონლის შესყიდვისთვის ფულადი საშუალებების მიღებას შორის. მათემატიკურად კომპანიის ოპერაციული ციკლი ტოლია


მარაგების ბრუნვა + დებიტორული მოთხოვნების
დღეებში ბრუნვა დღეებში

ოპერაციული ციკლი იწყება შესყიდვის გადახდის ვალდებულების მომენტიდან და არა ფულადი საშუალებების გადარიცხვის მომენტიდან, იმიტომ რომ კომპანიების უმეტესობა არ იხდის ნედლეულის ღირებულებას მაშინვე, არამედ ყიდულობს კრედიტით და კისრულობს კრედიტორულ ვალდებულებას. თუ გვსურს გავზომოთ დროის ხანგრძლივობა ფულის რეალური გასავლიდან - გაყიდვიდან მიღებული ფულის შემოსვლამდე, ეს არის ადვილი დასათვლელი. კომპანიის ოპერატიულ ციკლს უნდა გამოვაკლოთ კომპანიის კრედიტორული ვალდებულებების ბრუნვა დღეების მიხედვით:

ოპერაციული ციკლი - კრედიტორული ვალდებულებების ბრუნვა დღეების მიხედვით

სურათზე N5 ასახულია კომპანიის ოპერატიული ციკლი და ნაღდი ფულის ციკლი - და მათი განსხვავება.

რატომ ინტერესდებიან კომპანიის ოპერაციული ციკლით? საქმე ისაა, რომ ოპერაციული ხანგრძლივობა არის აუცილებელი ფაქტორი კომპანიის მიმდინარე აქტივების საჭიროების განსაზღვრისთვის. კომპანიას ძალიან მოკლე ოპერაციული ციკლით შეუძლია იმუშაოს ეფექტიანად შესაბამისად, მიმდინარე აქტივების მცირე თანხით და შესაბამისად დაბალი მიმდინარე



სურ. 5. ოპერატიული ციკლი ნაღდი ფულის ციკლის საპირისპიროდ და მუჟავა-ტესტ კოეფიციენტებით. კომპანია შესაბამისად არის ლიკვიდური - მას შეუძლია აწარმოოს პროდუქცია, გაყიდოს იგი, დააგროვოს ფულადი საშუალებები და ყველაფერი ეს გააკეთოს დროის მოკლე პერიოდში.

ოპერაციული ციკლის ანალიზი გვეხმარება კომპანიის საქმიანობის საერთო შეფასებაში. მაგალითად, მოკლე ოპერაციული ციკლი მიუთითებს დებიტორული დავალიანების და მარაგების ეფექტიან მართვაზე. ეს მაჩვენებელი იძლევა დამატებით ინფორმაციას ასევე კომპანიის ლიკვიდურობის შესახებ. შესაბამისად, მოკლე ოპერაციული ციკლი დადებითად აისახება კომპანიის ლიკვიდურობაზე. საპირისპიროდ, გრძელი ოპერაციული ციკლი შეიძლება იყოს ჭარბი ვალდებულებების ანდა მარაგების ფლობის გამაფრთხილებელი ნიშანი და უარყოფითად აისახება კომპანიის რეალურ ლიკვიდურობაზე.

მთლიანი აქტივების (ან კაპიტალის) ბრუნვა. წმინდა გაყიდვების მოცულობის დამოკიდებულებას აქტივების საერთო ღირებულებასთან ეწოდება მთლიანი აქტივების ან კაპიტალის კოეფიციენტი:

წმინდა გაყიდვები მთლიან აქტივებზე

იგი გვიჩვენებს შესაბამის ეფექტიანობას, როცა კომპანია იყენებს მის მთლიან აქტივებს გაყიდვების მისაღებად.

ფინანსური კოეფიციენტებით ანალიზის გარდა, ხშირად გამოიყენება ბალანსის და შემოსავლის ანგარიშგების მუხლების პროცენტული გამოთვლა, რომელიც შეიძლება დაუკავშირდეს მაჯამებელ მაჩვენებლებს, როგორც არის მთლიანი აქტივები ან მთლიანი წმინდა გაყიდვები, ან გამოითვალოს საბაზისო წელთან მიმართებაში. სტრუქტურული და ინდექსური ანალიზი, ფინანსური ანგარიშგების პროცენტულობის დონეების და მიმართულებების შეფასება დროთა განმავლობაში, ფინანსურ მენეჯერებს ეხმარება პროგნოზირება გააკეთოს ფინანსური მდგომარეობის და საქმიანობის გაუმჯობესების ან გაუარესების შესახებ. კომპანიის ფინანსური მდგომარეობის განმსაზღვრელი შიდა მიზეზების აღმოჩენის საკითხები შესაძლოა გამოიკვეთოს ფინანსური კოეფიციენტების ანალიზის დროს, მათ კარგად გასაშუქებლად და იმ კომპანიების შედარებაში, რომლების მონაცემები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ზომით.

2.5 ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საქმიანობის ეფექტიანობის ანალიზი

ფინანსური ინვესტიციების არსი, სახეები და ანალიზის ამოცანები

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით, ინვესტიცია არ ნიშნავს საწარმოს მიერ საკუთარი მატერიალური და სხვა სახის რესურსების შექმნაზე დაბანდებულ სახსრებს.

ინვესტიცია არის აქტივი, რომელსაც საწარმო ფლობს საკუთარი სიმდიდრის გასაზრდელად შესაბამისი შემოსავლის მიღების გზით. საინვესტიციო ქონების შესაძენად საწარმო ბუნებრივია გარკვეულ ფულად თანხებს გაიღებს. ამდენად, ინვესტიცია არის თანხა, რომელიც ჩადებულია

ან დაბანდებულია სხვადასხვა ფასიან ქაღალდებში. გაცემული სესხის სახით ან გაცემულია იჯარით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ინვესტიცია შეიძლება არსებობდეს ფასიანი ქაღალდების - ნაყიდი აქციების და ობლიგაციების, სადეპოზიტო სერთიფიკატების ან საინვესტიციო ქონების სახით, როგორცაა იჯარით გაცემული მიწა, შენობები და სხვა, რომელთაც მეწარმე თავად არ იყენებს. აგრეთვე, საკუთარ კაპიტალში შეტანილი წვლილის სახით და კომერციული სესხის სახით, როგორცაა თამასუქები, ვარანტები და ფიუჩერული კონტრაქტები.

აქციები შეიძლება იყოს პრივილეგირებული ან ჩვეულებრივი პრივილეგირებულ აქციებზე დადგენილია დივიდენდის უცვლელი საპროცენტო განაკვეთი და ნაკლებად რისკიანია. ჩვეულებრივ აქციებზე კი დივიდენდის საპროცენტო განაკვეთი წინასწარ დადგენილი არაა და მისი სიდიდე დამოკიდებულია აქციის გამომშვები კომპანიის მოგების სიდიდეზე.

ობლიგაცია ასევე ფასიანი ქაღალდია, რომელიც მისი გამომშვების ანუ ემიტენტის ვალდებულებას გამოხატავს და ობლიგაციის მფლობელს უფლებას ანიჭებს, მიიღოს ფიქსირებული შემოსავალი პროცენტის სახით. ობლიგაციიდან მიღებული შემოსავალი საერთოდ უფრო დაბალია, ვიდრე აქციიდან, მაგრამ ობლიგაცია უფრო საიმედოა.

სადეპოზიტო სერთიფიკატი არის წერილობითი მოწმობა, ბანკში ფულის დეპონირების ანუ შენახვის შესახებ.

თამასუქი არის წერილობითი სასესხო ვალდებულება, რომელსაც გამოწერს მოვალე (დებიტორი) და რომლითაც მევალეს (კრედიტორს) ენიჭება უფლება, თამასუქში აღნიშნული თანხა განსაზღვრული ვადისათვის მოითხოვოს.

ვარანტი წარმოადგენს ხელშეკრულებას საქონლის ან სხვა ფასეულობის მიღების მიზნით.

ფიზიკურული კონტრაქტი წარმოადგენს შეთანხმებას ფასიანი ქაღალდების ან სხვა ფასეულობების ყიდვა-გაყიდვის შესახებ გარკვეული დროის შემდეგ, წინასწარ შეთანხმებული ფასით (4, 189)

საწარმოში ინვესტირებული კაპიტალი გაიანგარიშება ბუღალტრული ბალანსის ინფორმაციის საფუძველზე, როგორც საკუთარი კაპიტალისა და გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამი, რაც ინვესტორებისთვის საინვესტიციო აქტივს წარმოადგენს. ინვესტიციების ეფექტი დამოკიდებულია საინვესტიციო ინსტრუმენტების სწორედ შერჩევაზე. ანალიზის ამოცანები განისაზღვრება იმის შესაბამისა, თუ რომელი მხარე აკეთებს ანალიზს: ინვესტორი თუ საწარმოს ხელმძღვანელობა, რომელმაც ინვესტორები ინვესტიციას დებენ. საწარმო ახდენს საკუთარი კაპიტალისა და ვალდებულებების ანალიზს, რამდენად ეფექტიანად გამოიყენა მან ეს წყაროები. ინვესტორისთვის კი იგი საინვესტიციო აქტივია, საიდანაც შემოსავლის მიღებას ელოდება. აქედან გამომდინარე, ინვესტიციების ანალიზის ამოცანებია:

- დაადგინოს ინვესტორისათვის რომელი ფინანსური ინსტრუმენტი უფრო მიზანშეწონილია: აქციების შეძენა, ობლიგაციები, თამასუქები თუ სხვა;
- შესწავლილი იქნეს საინვესტიციო პორტფელის საერთო შემოსავალი და რისკი;
- საინვესტიციო პორტფელის ოპტიმალური სტრუქტურის განსაზღვრა;
- პრიორიტეტის განსაზღვრა: დივიდენდების რეგულარული მიღების თუ აქტივის ღირებულების ზრდის კურსი იქნას აღებული;
- რისკის დონის განსაზღვრა;
- მოსალოდნელი მოგებიდან გადახრის განსაზღვრა;
- მინიმალური მოგების სიდიდის განსაზღვრა;
- აქციის ფაქტიური შემოსავლების შესწავლა;
- ერთი ჩვეულებრივი აქციის შემოსავლების ტენდენციის გამოკვლევა;
- ინვესტიციების რენტაბელობის შესწავლა;

- დაფინანსების კომპანიის არჩევა.

ერთია, როცა საწარმო თავად წყვეტს სად განახორციელოს ინვესტიცია და მეორეა, როცა სურს, სხვისგან მიიღოს სახსრები. საინვესტიციო პროექტების შეფასება ეხება იმ ვითრებას, როდესაც საწარმო აპირებს თავისი სახსრები სხვაგან დააბანდოს. ინვესტიციების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

- ინვესტიციის სახე;
- საინვესტიციო პროექტის ღირებულება;
- პროექტის ალტერნატიული ვარიანტების არსებობა;
- ინვესტიციებისათვის საჭირო თავისუფალი ფულადი რესურსების შეზღუდულობა;
- საინვესტიციო რისკი.

კომპანიებს შეუძლიათ ფული დააბანდონ ნაყიდ ფასიან ქაღალდებში. თუკი ისინი უპირატესობას რისკის თავიდან აცილებას მიანიჭებენ, მაშინ ფული შეიძლება დააბანდონ ფასიან ქაღალდებში, რომელიც მათ სტაბილურ შემოსავალს მოუტანს. ან აირჩიონ ფულის დაბანდება რისკიან ფასიან ქაღალდებში, როგორცაა, ჩვეულებრივი აქციები. ასეთ შემთხვევაში, ინვესტორი კომპანიის შემოსავალი წლიდან წლამდე მერყეობს აქციების გამომშვები კომპანიის ფინანსური შედეგებისა და მიზნების მიხედვით.

საინვესტიციო გადაწყვეტილებების მისაღებად საჭიროა ინვესტიციებზე გასაცემი და მისაღები ფულადი თანხების მოცულობათა შეფასება და შედარება. ამასთან, რადგან ეს ფულადი თანხები სხვადასხვა პერიოდებს ასახავენ, ფულადი ერთეულის მსყიდველობითი უნარის სხვადასხვაობის გამო, წარმოიშობა მათი შესადარისობის პრობლემა. ამიტომ საჭირო ხდება ფულის დროითი ღირებულების გათვალისწინება.

ფულს ორი სახის დროითი ღირებულება გააჩნია: ახლანდელი ანუ დისკონტირებული და მომავალი ღირებულება.

იმისათვის, რომ გამოვიანგარიშოთ ფულის დროითი ღირებულება, ნებისმიერი საპროცენტო განაკვეთისა და ნებისმიერი დროისათვის, გამოიყენება შემდეგი ფორმულები:

$$F_n = p \times (1+r)^n$$

სადაც F_n - არის ფულის მომავალი ღირებულება n წლის შემდეგ;

P - არის თავდაპირველად ავანსირებული ფული;

R - არის საპროცენტო განაკვეთის კოეფიციენტი;

N - არის წელთა რიცხვი

$(1+r)^n$ - არის გადაყვანის კოეფიციენტი, რომელიც სხვადასხვა საპროცენტო განაკვეთზე სხვადასხვაა.

მოტანილი ფორმულიდან გამოიყვანება ფულის დისკონტირებული ღირებულების ფორმულა:

$$P = F \times \left(\frac{1}{(1+r)^n} \right)$$

P - არის n წლის შემდეგ მისაღები ფულის ახლანდელი ანუ დისკონტირებული ღირებულება.

დროის თანაბარ პერიოდში თანაბარი სიდიდით მოძრავ ფულს, ანუიტეტს უწოდებენ. ანუიტეტის მომავალი და დისკონტირებული ღირებულებაც შესაბამისი ფორმულებით გამოითლება.

ანუიტეტის მომავალი ღირებულების კოეფიციენტი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$FVA = \frac{(1+r)^n - 1}{r}$$

ზოგადად, დისკონტირების კოეფიციენტი გვიჩვენებს ყოველწლიურად რამდენი პროცენტის დაბრუნება შეუძლია ინვესტორს მის მიერ ინვესტირებულ კაპიტალზე (4, 191).

ინვესტიციების ეფექტიანობის შეფასების ფარდობითი მაჩვენებლები ინვესტორებს, მათ მიერ დაბანდებული კაპიტალიდან ბუნებრივია, მოგების მიღება აინტერესებთ. ამიტომ, ინვესტორები შეისწავლიან რამდგომარეობა უკავია კომპანიებს საფინდო ბირჟებზე. რამდენად

მომგებიანია მათ აქციები და როგორია რისკები. ანალიზისთვის მარტო ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია არ კმარა. საჭიროა დამატებითი ინფორმაცია, რომელსაც ინვესტორები საწარმოებისგან მოითხოვენ.

ინვესტორები შეისწავლიან ინვესტიციების ეფექტიანობის სხვადასხვა ფარდობით მაჩვენებელს, როგორცაა: შემოსავალი ერთ აქციაზე, დივიდენდი ერთ აქციაზე, ერთი აქციის ფასი, აქციის რენტაბელობა, შემოსავალი დივიდენდიდან, აქციის კოტირების კოეფიციენტი. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

$$\text{შემოსავალი ერთ აქციაზე} = \frac{\text{წმინდა მოგება-დივიდენდები პრივილეგირებულ აქციაზე}}{\text{ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა მიმოქცევაში}}$$

შემოსავალი ერთ აქციაზე გამოითვლება მხოლოდ ჩვეულებრივი აქციების მიხედვით, რადგან პრივილეგირებული აქციების შემოსავალი უცვლელია და წინასწარაა დადგენილი. მოცემული კოეფიციენტი გვიჩვენებს ერთი აქციიდან მოსალოდნელი შემოსავლის მაქსიმუმს. იგი გავლენას ახდენს აქციის საბაზრო ფასზე.

კომპანიის საერთო კრებამ შეიძლება წმინდა მოგება მთლიანად დივიდენდების სახით არ გასცეს, რადგან სხვადასხვა სახის რეზერვების შექმნაც აუცილებელია. ამიტომ, საჭიროა ერთ აქციაზე მიღებული დივიდენდის მაჩვენებლის გამოთვლაც.

$$\text{დივიდენდი ერთ აქციაზე} = \frac{\text{დივიდენდი ჩვეულებრივ აქციებში}}{\text{ჩვეულებრივი აქციების რიცხვი}}$$

ინვესტორებისათვის ეს მაჩვენებელი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან იგი გვიჩვენებს რამდენი დივიდენდი მოაქვს ყოველ ერთ აქციას. ეს მაჩვენებელი საწარმოთაშორისი ანალიზის დროსაც შეისწავლება, რათა გამოვლინდეს, რომელ კომპანიაშია ინვესტირება უფრო ხელსაყრელი.

$$\text{ერთი აქციის ფასის კოეფიციენტი} = \frac{\text{ერთი აქციის საბაზრო ფასი}}{\text{შემოსავალი ერთ აქციაზე}}$$

იგი ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. ეს მაჩვენებელი აქციებზე მოთხოვნის ინდიკატორს წარმოადგენს, რადგან გვიჩვენებს, ინვესტორი მოცემულ მომენტში, რამდენად მეტს იხდის ერთი აქციიდან მისაღები მოგებისათვის. თუ აქციის ფასი მაღალია, ეს ნიშნავს რომ ინვესტორები

მაღალი მოგების სწრაფად მიღებას ცდილობენ. საწარმოებში, რომელთაც ეკონომიკური ზრდის მყარი ტემპები გააჩნიათ აქციის ფასიც მაღალია. ეს მაჩვენებლები პოტენციური ინვესტორების მიერ სხვადასხვა საწარმოების მიხედვით შეისწავლება და მათი შედარებითი ანალიზის საფუძველზე, შესაბამის გადაწყვეტილებებს იღებენ.

იმ საწარმოებისთვის, რომლებიც საფონდო ბირჟაზე არ არიან კოტირებულნი, აქციის ფასი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა ღირს საწარმო. გამოთვლის მეთოდი შემდეგია: წლიური მოგება მრავლდება მოცემული საწარმოს მსგავს ან იმავე ბირჟაზე კოტირებული აქციის ფასის კოეფიციენტზე.

ინვესტორები ასევე შეისწავლიან აქციის რენტაბელობის (მომგებიანობის) მაჩვენებელს:

$$\text{ერთი აქციის რენტაბელობა} = \frac{\text{შემოსავალი ერთ აქციაზე}}{\text{ერთი აქციის საბაზრო ფასი}} \times 100\%$$

ამ მაჩვენებლის სიდიდე დაბალია იმ კომპანიებში, სადაც წარმოების გაფართოების მიზნით მოგების დიდი ნაწილის კაპიტალიზაცია ხდება. აქციის რენტაბელობა გვიჩვენებს, აქციაში დაბანდებული ყოველი ერთი ლარი ინვესტორს რამდენ პროცენტ მოგებას უბრუნებს. იგი აქციის ფასის შებრუნებული მაჩვენებელია. აქციის მომგებიანობის კოეფიციენტი ხშირად არ გამოიყენება, რადგან ინვესტორს აინტერესებს დივიდენდის მიღების ხარისხი, რომელიც დივიდენდის შემოსავლიანობით ხასიათდება. საერთოდ, წმინდა მოგება მხოლოდ ინვესტიციის შედეგი არაა. იგი დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციისა და მმართველობითი უნარების გამოყენების ეფექტიანობის შედეგაცაა.

$$\text{შემოსავალი დივიდენდიდან} = \frac{\text{დივიდენდი ერთ აქციაზე}}{\text{ერთი აქციის საბაზრო ფასი}}$$

ეს თანაფარდობა ახასიათებს ერთ აქციაზე მიღებული დივიდენდის პროცენტულ შეფარდებას აქციის საბაზრო ფასთან, ანუ მიღებული დივიდენდი საბაზრო ფასის რამდენ პროცენტს შეადგენს. ამ მაჩვენებლის

საწარმოთაშორისი ანალიზიც საინტერესო დასკვნების საშუალებას იძლევა. ეს მაჩვენებელი შეიძლება მეორენაირადაც გამოითვალოს:

$$\text{შემოსავალი დივიდენდიდან} = \frac{\text{დივიდენდი ერთ აქციაზე}}{\text{შემოსავალი ერთ აქციაზე}} \times 100\%$$

იგი გვიჩვენებს, გაცემული დივიდენდი რამდენ პროცენტს შეადგენს შემოსავლის მიმართ. ამ მაჩვენებლის სიდიდე საწარმოს სადივიდენდო პოლიტიკაზეა დამოკიდებული. კერძოდ, მოგების რა ნაწილია გამოყოფილი დივიდენდისათვის და რა ნაწილი რეინვესტირებისათვის.

დივიდენდის

$$\text{უზრუნველყოფა} = \frac{\text{წმინდა მოგება - პრივილეგირებული აქციების დივიდენდი}}{\text{ჩვეულებრივი აქციების დივიდენდები}}$$

იგი გვიჩვენებს ჩვეულებრივი აქციების დივიდენდებზე გასაცემი წმინდა მოგება რამდენჯერ აღემატება გაცემულ დივიდენდს. იგი ერთზე მეტი უნდა იყოს და ჩვეულებრივი აქციების „უსაფრთხოების“ მაჩვენებელია.

$$\text{აქციის კოტირების კოეფიციენტი} = \frac{\text{აქციის საბაზრო ფასი}}{\text{აქციის ნომინალური ღირებულება}}$$

ეს კოეფიციენტი თუ ერთზე მეტია, ნიშნავს, რომ მომავალი აქციონერები მზად არიან აქციაში მის ნომინალურ ღირებულებაზე მაღალი ფასი გადაიხადონ (4, 197)

ასეთია ის გავრცელებული მაჩვენებლები, რომლებიც ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საწარმოს მდგომარეობის შეფასებისა და ანალიზისათვის გამოიყენება.

მეორე თავის დასკვნა

კომპანიის ფინანსური მდგრადობის მონიტორინგისათვის საჭიროა, ფინანსურმა მენეჯერმა მიიღოს გადაწყვეტილება კაპიტალდაბანდების ანუ გრძელვადიან აქტივებში ინვესტიციის განხორციელების შესახებ.

ამავე დროც, მენეჯერმა უნდა მიიღოს მხედველობაში ის, რომ გრძელვადიან აქტივებთან ასოცირებული ხარჯის გაღების ვალდებულება ქმნის გარკვეულ რისკს ორგანიზაციისათვის. ეს გამოწვეულია იმით, რომ

აღნიშნული აქტივები რჩება მათი საშუალებით გათვალისწინებული სარგებლის მიღების მიუხედავად. ამ თვალსაზრისით, გრძელვადიანი აქტივები ამცირებს ორგანიზაციის მოქნილობას, ორგანიზაციის მიდგომა გრძელვადიან აქტივებში ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებით წარმოადგენს პრობლემატურსა და მენეჯერის ყურადღების საგანს.

გრძელვადიანი აქტივის შექმნა და მასში თანხის გადახდა ხდება წინასწარ, სარგებლის მიღებამდე. ფუნდამენტური საკითხი გრძელვადიანი აქტივების შეფასებისას არის, თუ რამდენად გაამართლებს საწყისი ხარჯი მის მომავალ ღირებულებას.

ცენტრალური ადგილი კაპიტალდაბანდებების ბიუჯეტირებაში უჭირავს ფულის ღირებულებას დროში, რადგან ფულს შეუძლია ინვესტიციიდან უკუგების მიღება, მისი მიღება დამოკიდებულია ფულის მიღების დროზე. ფულს გააჩნია ღირებულება დროში და მნიშვნელოვანი საკითხი რომელიც საფუძვლად უდევს კაპიტალდაბანდებების ბიუჯეტირებას არის ის, რომ სხვადასხვა პერიოდში მიღებული ფულის რაოდენობა უნდა გარდაიქმნას ერთიადიმავე დროში, მის ღირებულებად შედარების მოხდენის მიზნით.

გრძელვადიანი აქტივების შექმნასთან დაკავშირებული საერთო სარგებელი იგნორირებას უკეთებს აქტივების სტრატეგიულ სარგებელს, როგორცაა, გაუმჯობესებული პროდუქტის ხარისხი, გაუმჯობესებული მომსახურება, ან გაუმჯობესებული მწარმოებლურობის ფუნქცია, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა გააჩნიათ მზარდი კონკურენციის მქონე გლობალურ ბაზარზე. სტრატეგიული სარგებელი კაპიტალდაბანდებების ბიუჯეტირების მაგალითის შემთხვევაში საკამათო საკითხია, რადგან მსგავსი სარგებლის შეფასება ძალიან რთულია და შესაბამისად რისკს შეიცავს. თუმცა, სტრატეგიული სარგებელი სავარაუდოდ არის უფრო რთული შეფასების მხრივ, ვიდრე მოსალოდნელი გაყიდვებიდან მიღებული მოგება ან მოსალოდნელი თვითღირებულების შემცირება.

სტრატეგიული სარგებელი ასახავს გაზრდილ შემოსავალსა და პოტენციურ მოგებას, რომელიც თან ახლავს გრძელვადიან აქტივებს. ჩვეულებისამებრ, გრძელვადიან აქტივებს გააჩნიათ შემდეგი სტრატეგიული სარგებელი:

- ის საშუალებას აძლევს ორგანიზაციას აწარმოოს პროდუქცია ან გასწიოს მომსახურება, რომელიც კონკურენტებს არ შეუძლიათ.
- ის ხელს უწყობს პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესებას შეცდომების შემცირების გზით.
- ის ხელს უწყობს პროდუქტის წარმოებისათვის საჭირო ციკლის დროის შემცირებას.

ჩვენ სადისერტაციო კვლევაში ვიხილავთ საცხოვრის მაგალითს. კომპანიას შეუძლია განიხილოს ახალი საცხოვრის ინვესტიციის საკითხი, რომელსაც აქვს სენსორი პროდუქციის ცხოვრის დასრულებისას, რომ პროდუქცია მზად არის და გამოაგდოს ავტომატურად ღუმელიდან. მსგავს საცხოვრის მაგალითს გააჩნია შემდეგი სარგებელი:

- ის საშუალებას აძლევს კომპანიას დაიქირავოს ნაკლებკვალიფიციური და დაბალანაზღაურებადი თანამშრომლები;
- გარეგანი ფაქტორების კომპენსაციით, როგორცაა, გრეგანი ტემპერატურა და ტენიანობა, საცხოვრის მაგალითს შეუძლია გააუმჯობესოს ცხოვრის თანმიმდევრობა და შესაბამისად, პროდუქტის ხარისხის.

გრძელვადიანი აქტივების შეძენის გადაწყვეტილება აუცილებლად საჭიროებს გადახედვას რადგანაც ის როგორც წესი, სუბიექტურ ფაქტორებს ეფუძნება. გადახედვის პროცესს კაპიტალდაბანდების ბიუჯეტირების განხორციელების შემდგომი აუდიტი და არის ძალიან ფასეული ანალიზი გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის.

კაპიტალდაბანდების ბიუჯეტირების მოდელის გამოყენებით მიღწეული გადაწყვეტილება დიდწილად ეყრდნობა შეფასებებს, განსაკუთრებით ისეთს, რომელიც დაკავშირებულია პროექტის ნაღდი ფულის ნაკადთან და მის ხანგრძლივობასთან. აღნიშნული შეფასებები შეიძლება შეგროვდეს

ბევრი წყაროდან: წარსული გამოცდილება, განსჯა, ან სხვების გამოცდილება, როგორცაა კონკურენტები. როდესაც ხდება შეფასებების გამოყენება მოწოდებული გეგმის მხარდასაჭერად, გასათვალისწინებელია ქცევითი ასპექტი, რომელიც დევს ამ გეგმის უკან და რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

აქვე ვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების ანალიზის კონცეპტუალურ ჩარჩოს, სადაც ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად გამოყენებულია ფინანსური კოეფიციენტები. ეს მონაცემები გვამძლევს შეფასებას კომპანიის ფინანსური მდგომარეობის და მომგებიანობის შესახებ დროში.

დავამუშავეთ ფულის დროითი ღირებულების გაანგარიშების მათემატიკური მოდელი ნებისმიერი საპროცენტო განაკვეთისა და ნებისმიერი დროისათვის.

III თავი. ექსპერიმენტული ნაწილი

3.1. კომპანიის ფინანსური მდგრადობის ელექტრონული ანალიზი

ნებისმიერი ბიზნეს კომპანიის წარმატებულობა მთლიანად არის დამოკიდებული მის ფინანსურ მდგრადობაზე. ფინანსურ მდგრადობა არის მომგებიანი ბიზნესის დიდი ხნით შენარჩუნების უნარი.

ფინანსური მდგრადობა უამრავი მახასიათებლით განისაზღვრება. ძირითადი მაჩვენებელია განახლებადი და არაგანახლებადი რესურსები. რესურსების ამ ორ სახეობას პოზიციათა სხვადასხვაობით ახასიათებენ, რომელიც ფინანსური მდგრადობის განმსაზღვრელი ნიშნულია. მაგ. პირველის გამოყენების ტემპი არ უნდა ჭარბობდეს მისი განახლების ტემპებს, ხოლო მეორის ანუ არაგანახლებადი რესურსების გამოყენების ტემპი არ უნდა აჭარბებდეს მდგრადი განახლებადი ჩამნაცვლებლების განვითარების ტემპებს.

მაგალითად, ფულის ხარჯვის ტემპი არ უნდა აჭარბებდეს ფულის შემოსავლის ტემპს, ტყეში ხეების მოჭრის ტემპი არ უნდა აჭარბებდეს ხეების განახლების (ნერგების ზრდის) ტემპს, ჰაერის დაბინძურების ტემპი არ უნდა აჭარბებდეს მისი გაწმენდის სიჩქარეს და ა.შ. ეს არის ბიზნესის უნარი, შეინარჩუნოს და განამტკიცოს თავისი სიჯანსაღე, რითიც იგი განაგრძობს არა მარტო არსებობას არამედ განვითარებას.

ამ მონაცემებიდან გამომდინარე, და დამატებით კიდევ იქედანაც, რომ კომპანიის ფინანსური მდგრადობა რთული კოეფიციენტების შემადგენლობით ხასიათდება, მისი განსაზღვრა და შენარჩუნება ძალზე პრობლემურია. ეს კი ფინანსური მენეჯერებისათვის ქმნის გაურკვევლობის სიტუაციას, რის გამოც ისინი დიდ დროს კარგავენ ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლების განსაზღვრისას. ხშირია შეცდომები, რაც გადაწყვეტილების მიღების პროცესს ახანგრძლივებს. მცდარი გადაწყვეტილებები კი, როგორც წესი, აფერხებს ბიზნესის განვითარებას, რის შედეგადაც შეიძლება მოხდეს

ბიზნესს მფლობელისგან ბაზრის სეგმენტის მნიშვნელოვანი ნაწილის დაკარგვა.

საქართველოს მასშტაბით ბიზნესკომპანიის, ან თუნდაც ნებისმიერი საწარმოსათვის ფინანსური მდგრადობის საკითხი წინა პლანზე ჯერ კიდევ არ არის წამოწეული იმ ფორმითა და შინაარსით, როგორც ფინანსურ მდგრადობას ბუნებრივად გააჩნია. რა თქმა უნდა, ქვეცნობიერად ეს საკითხი დღის წესრიგში დგას, მაგრამ მისი კვლევა და პრაქტიკული რეალიზება აქტიურად არ მიმდინარეობს. რამდენი ხანია უკვე საქართველო იმყოფება საბაზრო ეკონომიკის ველში, სადაც ყოველ დღე მიმდინარეობს სხვადასხვა კომპანიის მიერ საკუთარი ბიზნესის გაყიდვა ან გაფართოება, რომელიმე საწარმოს შექმნის ხარჯზე. სწორედ აქ დგება დღის წესრიგში საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი. ამ დროს ბიზნესმენს აინტერესებს ის მაჩვენებლები, რომლებიც იძლევა შესაძენი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალისა და პროდუქციის რენტაბელობის რეალურ სურათს. ცხადია, მისთვის მნიშვნელოვანია გაიგოს საწარმოს:

- გადახდისუნარიანობა;
- ლიკვიდურობა;
- საინვესტიციო აქტივობა;
- საინვესტიციო მიმზიდველობა;
- საქმიანობის ეფექტურობის მაჩვენებლები;
- პროდუქციისა და კაპიტალის რენტაბელობა და სხვ.

გარდა ამისა, ბიზნესმენს შეიძლება აინტერესებდეს საწარმოს უახლოესი და გრძელვადიანი პერსპექტივები, საწარმოს მიერ არჩეული პოლიტიკა და სხვ. ეს მონაცემები კი განსაზღვრავს საწარმოს ფინანსურ მდგრადობას.

ე.ი. საჭიროება მოითხოვს ჩატარდეს ფინანსური მდგრადობის ანალიზი, რისთვისაც აუცილებელია რაიმე მექანიზმის არსებობა, რომლის მეშვეობითაც, გაირკვევა კომპანიის ძლიერი და სუსტი მხარეები, მისი

განვითარების პერსპექტიული მიმართულებები, რამდენად სწორია ფინანსური პოლიტიკის წარმართვისთვის გამოყენებული მეთოდები და ა.შ.

ფინანსური მდგრადობის ანალიზის ჩატარების მექანიზმი აგებული უნდა იყოს თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე, რომელიც მნიშვნელოვანი მხარდაჭერა იქნება ბიზნესის ფინანსური მენეჯერებისათვის. მენეჯერებს საშუალება მიეცემათ ოპერატიულად აკონტროლონ თავიანთი ფინანსური მდგომარეობა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ფინანსური მდგრადობის ანალიზის მეთოდიკის ჩამოყალიბება და პრაქტიკული განხორციელება, რაც ჯერჯერობით არც საქართველოში და არც საზღვარგარეთის ქვეყნებში მეცნიერულად არ არის დამუშავებული და განვიცდით მის დეფიციტს.

ანალიზის საფუძველზე ვასკვნიტ, რომ საჭიროა, დამუშავდეს კომპანიის ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლების გამოთვლის და ანალიზის ოპტიმალური და ეფექტიანი მეცნიერული მეთოდი და აიგოს შესაბამისი სისტემა, რომელიც იფუნქციონირებს ინტერაქტიურ ავტომატიზებულ რეჟიმში, ელექტრონული ფორმით. ამ მეთოდის გამოყენებით, დამატებითი ძალისხმევის გარეშე, შესაძლებელი იქნება ნებისმიერი საქმიანობის და მასშტაბის მქონე კომპანიის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა და ამავე დროს, ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებლების გამოთვლა.

სისტემა უზრუნველყოფს კომპანიის შიგა მოხმარებისათვის აუცილებელი მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო ფინანსური მაჩვენებლების დაანგარიშებასა და ანალიზს დროის ნებისმიერი მონაკვეთისათვის ნებისმიერი მასშტაბის მქონე ობიექტისათვის.

სისტემა გამოყენებულ იქნება:

- ❖ ნებისმიერი კომპანიის ფინანსური შედეგებისა და ბალანსის სტრუქტურის ანალიზისათვის;

- ❖ კომპანიის ბალანსის ლიკვიდურობის ანალიზისათვის კოეფიციენტების გამოყენებით: აქტივებისა, რომლებიც დაჯგუფებულია ლიკვიდურობის ხარისხის მიხედვით; პასივებისა, რომლებიც დაჯგუფებულია გასტუმრების ვადების მიხედვით და სხვ.;
- ❖ კომპანიის გადახდისუნარიანობის ანალიზისათვის;
- ❖ კომპანიის მარაგებისა და ხარჯების ფორმირების წყაროთა ანალიზისათვის;
- ❖ კომპანიის საქმიანობის ეფექტურობის (რენტაბელობის) და საქმიანი აქტივობის ანალიზისათვის;
- ❖ დებიტორული და კრედიტორული დავალიანების ანალიზისათვის;
- ❖ კომპანიის მოგების ანალიზისათვის;
- ❖ სპეციფიკური მატერიალური მარაგებისა და ძირითადი საშუალებების ანალიზისათვის და სხვ.

ამ მიზნის განსახორციელებლად, სისტემის მეშვეობით შესაძლებელი უნდა გახდეს:

- კომპანიის ფინანსური მდგრადობის განსაზღვრის არსებული მიდგომების, მეთოდების და უზუსტობების მიგნება და აღმოფხვრა;
- კომპანიის რესურსების (ადამიანური, ფინანსური, ინტელექტუალური და სხვ.) გამოვლენის, ფინანსური მდგრადობისა და მისი გადახდისუნარიანობის გაუმჯობესების ანალიზი;
- კომპანიის ფინანსური მაჩვენებლების მონიტორინგის განხილვა, მისი სტრატეგიულ მიზნებთან შედეგების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;
- კომპანიის ფინანსურ მდგრადობის ცვლილებების გამომწვევი ძირითადი ფაქტორების გამოვლენა;
- კომპანიის ფინანსური მდგრადობის ტენდენციების პროგნოზი და სტრატეგიული მაჩვენებლების განსაზღვრა.

სისტემის აგებისათვის საჭიროა ჩატარდეს პირველი რიგის სამუშაოები, რომლის საწყისი ეტაპი იქნება - კომპანიის ფინანსური

მდგრადობის განსაზღვრის არსებული მიდგომების და მეთოდების ანალიზი. ანალიზის მეშვეობით გამოვლინდება არსებული მეთოდების უზუსტობები და განისაზღვრება მათი აღმოფხვრის მეცნიერული გზები, რაც აისახება შემდგომ სამუშაოებში:

- კომპანიის ფინანსური მდგრადობის გარემოს კვლევა და ანალიზი.
- კომპანიის ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლების კვლევა.
- კომპანიის ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესების ამოცანის დასმა.
- ფინანსური მდგრადობის თეორიული მოდელის დამუშავება.
- ფინანსური მდგრადობის მხარდამჭერი ავტომატიზებული მართვის კონცეფციის მეთოდის შემუშავება.
- ფინანსური მდგრადობის მხარდამჭერი ავტომატიზებული მართვის კონცეფციის სტრატეგიის შემუშავება.
- ფინანსური მდგრადობის მხარდამჭერი ავტომატიზებული მართვის სისტემის აგება.

3.2. კომპანიის ფინანსური მდგრადობის ანალიზი და მიზნობრივი ფუნქციის ზოგადი მოდელის აგების ფაქტორები

ნებისმიერი კომპანიის ეფექტიანობისა და წარმატებული ფუნქციონირების მთავარ მაჩვენებელს წარმოადგენს ფინანსური მდგრადობა. მდგრადობა მომდინარეობს ინგლისური საფინანსო ტერმინოლოგიიდან და მისი მნიშვნელობა არის კარგი საფინანსო მდგომარეობის შენარჩუნება ან განგრძობა. მისი სენტენცია არის კომპანიის ბიზნესის წარმატებულად ფუნქციონირებისა და დიდი ხნის მანძილზე ამ წარმატების შენარჩუნების შესაძლებლობა და უნარი. კლასიკური განმარტების თანახმად მდგრადობა არის კომპანიის ის ფინანსური მაჩვენებელი, როცა განახლებადი რესურსების ხარჯვისა და გამოყენების ტემპი არ უნდა იყოს მისი აღდგენის (განახლების) ტემპზე მაღალი; ხოლო არა განახლებადი რესურსების კი პირიქით, მისი გამოყენების ტემპი უნდა

იყოს დაბალი და არ გადააჭარბოს მდგრადი განახლებადი განვითარების არსებულ ტემპს. შედარებისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ორი მაგალითი: დემოგრაფიული - სიკვდილიანობის ტემპი არ უნდა აჭარბებდეს შობადობის ტემპს, ან კიდევ ტყისთვის, როგორც ბიოსფეროს ეკოლოგიური წონასწორობის უმნიშვნელოვანესი ობიექტისათვის, გაჩეხვის ტემპი არ უნდა აჭარბებდეს გარემოს მემკვიდრით (ბუნებრივად) მისი აღწარმოების უნარს, ანდა ხელოვნურად მისი განაშენიანების ტემპს.

კომპანიის შრომითი და მატერიალური რესურსები იქმნება მისი ფინანსური რესურსების მიზნმიმართული ტრანსფორმირების ხარჯზე. ცხადია, ამ ტრანსფორმირებისათვის და მისგან ეფექტიანი შედეგის მისაღებად საჭიროა, ფინანსური რესურსების გონივრული და მიზანდასახული მართვა. მიზანდასახული მართვაში ვგულისხმობთ კომპანიის მიერ, მისი საქმიანობის პროცესში ოპტიმალური მოცულობის აქტივების განსაზღვრას და აქტივების წყაროების მოძიებას. ამ პროცესის მოტივირებული მენეჯმენტი უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსურ მდგრადობას. მოტივირებული მენეჯმენტის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია განისაზღვროს ფინანსების ხარჯვითი ნაწილის პრიორიტეტული მიმართულებები. პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის მიხედვით უნდა დავგეგმოთ და დავალაგოთ ფინანსების ხარჯვა, ისე, რომ რიგითობა დაწესდეს გასაკეთებელი საქმის მნიშვნელობის და სირთულის მიხედვით, განისაზღვროს თითოეულის შესრულების ვადები, დაწესდეს შესაბამისი კონტროლი და მონიტორინგი.

კომპანიის ფინანსური მდგრადობა მრავალ ფაქტორთან არის დაკავშირებული და დამოკიდებულია კომპანიის ტიპზე, დანიშნულებაზე, საქმიანობაზე, გავლენის სფეროზე ფინანსურ მოცულობაზე, და ა.შ.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ერთ-ერთ ძირითად ინდიკატორულ მაჩვენებელს საბრუნავი კაპიტალი წარმოადგენს. საბრუნავი კაპიტალი გაიგივებულია წმინდა საბაზრო კაპიტალთან. როგორც

ცნობილია, საბრუნავი კაპიტალი არის მიმდინარე აქტივების და კომპანიის ვალდებულებათა სხვაობით მიღებული თანხა.

მიმდინარე აქტივი არის ფულადი სახსრები და კომპანიის ნებისმიერი სხვა აქტივი, რაც შეიძლება ერთი წლის განმავლობაში ფულად ერთეულად გარდაიქმნას (თუ კომპანიის საოპერაციო ციკლი ერთ წელზე მეტია, აქტივი, რომელიც მოქმედი ციკლის დროს ნაღდი ფულის სახით გადაიქცევა, მიმდინარე აქტივად ითვლება).

იმის მიხედვით, თუ კომპანიის სამეურნეო ოპერაციებს როგორი ხანგრძლივობის ციკლია დაგეგმილი, აქტივებიც შესაბამისად შეიძლება იყოს მოკლევადიანი ან/და გრძელვადიანი აქტივი.

მოკლევადიან აქტივებს მიეკუთვნება:

- სასაქონლო მატერიალური ფასეულობები,
- მოკლევადიანი მოთხოვნები და ინვესტიციები,
- ფულადი საშუალებები.

გრძელვადიან აქტივებად ითვლება:

- არამატერიალური აქტივები და ძირითადი საშუალებები,
- გრძელვადიანი მოთხოვნები და ინვესტიციები.

რაც შეეხება კომპანიის ვალდებულებებს, ეს არის:

- ყველა ფინანსური საკითხის მართვა, როგორცაა შემოსავლები, ხარჯები, მოგება, ზარალი, წლიური ბიუჯეტის მომზადება, ბალანსი;
- მომსახურე პერსონალის ხელფასების გაანგარიშება და გაცემა, მომწოდებლებისთვის გადასახდების გადახდა, კონტრაქტორებთან ურთიერთობა;
- კომპანიის ოპერაციების წარმოების ინფორმაციული ჩანაწერების ელექტრონული ვერსიის მომზადება, ჩაწერა, შენახვა და წარმოება;
- ფინანსური საკითხების, ინვესტიციების, დეპოზიტების, სესხების, საბანკო ანგარიშების მენეჯმენტის წარმოება და სხვ.

გარდა ამისა, კომპანიას აქვს არანაკლები საპასუხისმგებლო ვალდებულებებიც. მაგალითად, კომპანიები სოციალურადაც არიან

პასუხისმგებლები, რათა მომხმარებელსა და ფართო საზოგადოებას მიაწოდონ საუკეთესო და მაღალხარისხოვანი, რაც შეიძლება ეკოლოგიურად სუფთა (ან მიაწოდონ სრულყოფილი ინფორმაცია საფრთხის შემცველ პროდუქციაზე) პროდუქცია და გაუწიონ მაღალი დონის მომსახურება ისეთი წესითა და საშუალებებით, რომ არ მიაყენონ ზიანი გარემოს (ბუნებას) და მოსახლეობას (ადამიანებს) [1, 2, 3, 4].

ძალზე საინტერესოა კომპანიების მიმართ გადადგმული ნაბიჯი, რომელიც მათ უბიძგებს იზრუნონ გარემოსდაცვით პრობლემებზე და აიღონ თავის თავზე სოციალური პასუხისმგებლობა. აქ ორი ასპექტია გასათვალისწინებელი.

პირველი - მორალური კმაყოფილება, რომელსაც ისინი ამ ქმედებით მიიღებენ და მეორე, სარგებელი ფინანსური თვალსაზრისით. მორალური ანუ ზნეობრივი კმაყოფილება ნათლად ჩანს, რაც შეეხება ფინანსურ სარგებელს, იგი განისაზღვრება კომპანიის მიერ მიღებული და ეფექტიანად გამოყენებული ინვესტიციების მეშვეობით. პასუხისმგებლობა კომპანიას სოციალურ და გარემოს წინაშე, მის ბიზნესს ხდის კონკურენტუნარიანს და მოქნილს. ეძლევა მას გაცილებით მეტი შესაძლებლობა იმისათვის, რათა შეინარჩუნოს თავისი მომხმარებელი და მაღალი კვალიფიკაციის თანამშრომლები. ცხადია, სოციალური პასუხისმგებლობის ზრდა კომპანიებს აძლევს საინვესტიციო თანხების მოზიდვის უფრო მეტ გარანტიას.

კომპანიები სოციალური პასუხისმგებლების არსში გარკვევის მიზნით განვიხილოთ კომპანიების ნებაყოფლობითი მოღვაწეობა კანონმდებლობის გარეთ, რომელიც კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის - კსპ (Corporate Social Responsibility - CSR) სახელით არის ცნობილი. ნებაყოფლობითი მოღვაწეობა კანონმდებლობის გარეთ, რა თქმა უნდა, პირველ რიგში და უპირობოდ გულისხმობს კანონმდებლობის დაცვას, მაგრამ იგულისხმება კიდევ უფრო მეტი, როცა მოქმედებს ბიზნესის წარმართვის ისეთი მოდელი, სადაც დაბალანსებულია კომპანიების

ბიზნესის, სოციალური, ეკონომიკური, და გარემოს დაცვის პირადი ინტერესები.

კსპ-სთან დაკავშირებით მსოფლიოს მასშტაბით შეიქმნა კსპ-ს საინვესტიციო ფონდები, რამაც ფინანსურ სამყაროში ძალზე დიდი დაინტერესება ჰპოვა და დინამიურად სწრაფმზარდი სფერო გახდა, რაზეც მეტყველებს ქვემოთ მოყვანილი მაჩვენებლები.

2001 წლის კსპ-ს კვლევამ გვაჩვენა, რომ 18 თვეში რომელიც მოიცავდა 2000 - 2001 წ. პერიოდს, ეთიკური და სოციალური ფონდების რაოდენობა გაიზარდა 58%-ით. მარტო ევროპის მასშტაბით სოციალური დანიშნულების ინვესტირების ფონდის რაოდენობამ 300 მიაღწია.

ინვესტორების 85 პროცენტზე მეტი აღიარებს, რომ გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მენეჯმენტი ხელს უწყობს კომპანიების მარკეტინგს, ზრდის საბაზრო ღირებულების ეფექტიანობას და გრძელვადიანობას. აშშ-ში სოც. ინვესტირების მიხედვით ელექტრონულ პორტფოლიოებში არსებულმა თანხამ ორ ტრილიონ დოლარს გადააჭარბა. აშშ-ში პროფესიული მენეჯმენტის 16.3 ტრილიონი საინვესტიციო თანხიდან კსპ-ს ინვესტიცია შეადგენს 13%. ამ ციფრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ იმ კომპანიებს, რომლებიც იჩენენ გარემოსდაცვით, სოციალურ და ეთიკურ პასუხისმგებლობა, გაცილებით უფრო მიუწვდებათ ხელი არსებულ საინვესტიციო კაპიტალთან, რომელიც მათთვის მიუწვდომელი იყო სოციალურ და ეთიკურ პასუხისმგებლობაზე უარის თქმის შემთხვევაში [5].

დავუბრუნდეთ საბრუნავ კაპიტალს. საბრუნავი კაპიტალის მნიშვნელობიდან გამომდინარეობს, რომ თუ ამ მხრივ კომპანიას აქვს კარგი (დადებითი) მაჩვენებელი მაშინ კომპანიას საფინანსო მხრივ იდეალური მდგომარეობა აქვს და ეს კომპანიისათვის დადებითის მანიშნებელია. კომპანია დგას ჯანსაღ ფინანსურ ნიადაგზე. ეს უკანასკნელი კი წარმოადგენს გრძელვადიანი ინვესტიციებისა და ყოველდღიური მიმდინარე ოპერაციების ხარჯების დაფარვის საშუალებას.

საბრუნავი კაპიტალის უარყოფითი მაჩვენებლის შემთხვევაში კომპანია იძულებული იქნება ეს უარყოფითი კაპიტალის ოდენობა მოიძიოს, რათა არ შეექმნას მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვისა და ყოველდღიური, მიმდინარე საქმიანობის დაფინანსების პრობლემა. ამ დამატებითი კაპიტალის გამონახვა ცხადია, არ არის ადვილი და გარდა ამისა, უარყოფით მოვლენად ითვლება კომპანიის მდგრადობის შეფასების მხრივ.

როგორც ზემოთ მივუთითეთ, კომპანიის მდგრადობის მტკიცე საფუძველია კომპანიის მყარი ფინანსური მდგომარეობა, რის მეშვეობითაც მიიღწევა კომპანიის ფინანსური მდგრადობა. ამის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მივიჩნით გამოგვეკვლია, კომპანიის არამყარი ფინანსური მდგომარეობის პრობლემები და მისი გამომწვევი მიზეზები, თუ რით შეიძლება იყოს გამოწვეული იგი, ნახ 1. [6, 7, 8].

როგორც ნახ. 1 – ზეა დატანილი, კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ძირითადი პრობლემური მაჩვენებელი სამი ტიპისაა:


კომპანიის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ფულადი საშუალებების დეფიციტი;

კომპანიის მიერ მიზნობრივი ფუნქციის შესრულებისთვის გამოყოფილი სახსრების (დაბანდებული კაპიტალის) დაბალი უკუგება;

დაბალი ფინანსური მდგრადობა, როდესაც ადვილი აქვს საგადასახდლო ფინანსური ბალანსის რღვევას.

თითოეული ეს პრობლემა შეიძლება გამოწვეული იყოს მრავალი შიგა, თუ გარე ფაქტორებით. ამავე დროს, ზოგიერთი ფაქტორი და მისგან გამოწვეული მიზეზი ზოგჯერ არის პროგნოზირებადი, ზოგჯერ კი შეიძლება არ დაემორჩილოს პროგნოზს და განხილული იყოს როგორც შემთხვევითი ფაქტორი.

აღნიშნული პრობლემების ძირითად გამომწვევ მიზეზად შეიძლება დასახელდეს:



ნახ. 1. კომპანიის ფინანსური მდგომარეობის პრობლემები და მისი გამომწვევი მიზეზები

- კომპანიის ფინანსური მდგომარეობის მისაღები დონის შენარჩუნების პოტენციური შესაძლებლობის უქონლობა;
- კომპანიის მიერ მიღებული მოგების დაბალი დონე;
- კომპანიის ფუნქციონირების არარაციონალური მენეჯმენტი;
- ფინანსების არარაციონალური და არამიზნობრივი მართვა.

ფულადი საშუალებების დეფიციტის შემთხვევაში კომპანიას თანხის უკმარისობის გამო ახლო მომავალში არ შეუძლია თავის მოვალეობების შესასრულება და შედეგად მივიღებთ დაბალ გადახდისუნარიანობას ან სულაც გადახდა გახდება შეუძლებელი.

კაპიტალდაბანდების მცირე მოცულობის უკუგების დროს სრულად ვერ დაკმაყოფილდება კომპანიის ინტერესები, ადგილი ექნება დაბალ რენტაბელობას და შედეგად მესაკუთრეები ვერ მიიღებენ კაპიტალდაბანდების ადექვატურ მოგებას.

დაბალი ფინანსური მდგრადობა იწვევს კომპანიის დამოუკიდებლობის დაკარგვას და იგი ხდება სესხზე და კრედიტორებზე დამოკიდებული. ამას შედეგად კომპანიის მენეჯმენტი ფასდება უარყოფითად, რასაც შეიძლება მოჰყვეს ზოგიერთი ძლიერი მესაკუთრის გასვლა კომპანიიდან.

3.3. კომპანიის ფინანსური მდგრადობის ანალიზი და მიზნობრივი ფუნქციის ზოგადი მოდელი

ავაგოთ მათემატიკური მოდელი წინა პარაგრაფში მოყვანილი ფაქტობრივი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე. ფაქტობრივი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კომპანიის ეფექტიანი მართვა, ფუნქციონირება და ფინანსური მდგრადობა დიდწილად არის დამოკიდებული საბრუნავ კაპიტალზე, მის მენეჯმენტზე და კაპიტალის განკარგვის მონიტორინგზე.

რადგან საბრუნავი კაპიტალი არის მიმდინარე აქტივების და კომპანიის ვალდებულებათა სხვაობით მიღებული თანხა, ეს ფორმულირება შეიძლება ასე ჩავწეროთ:

$$W_c = C_{ai} - O_{ej}$$

სადაც:

W_c - საბრუნავი კაპიტალი (Working Capital);

$C_{ai}, i = \overline{1, n}$ - მიმდინარე აქტივები (Current assets) ფულად ერთეულებში;

$O_{ej}, j = \overline{1, m}$ - კომპანიის ვალდებულებები (Obligations of the company) ფულად ერთეულებში.

კომპანიის ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნობრივი ფუნქციის მოდელის ზოგადი სახე იქნება:

$$F = \begin{cases} W_c = C_a - O_c \Rightarrow \max; \\ \sum C_{ai} \Rightarrow \max, i = \overline{1, n}; \\ \sum O_{ej} \Rightarrow \min, j = \overline{1, m}. \end{cases}$$

რა თქმა უნდა, მაქსიმალური საბრუნავი კაპიტალის მიღების მიზნით არ შეიძლება ხელოვნურად იყოს გაზრდილი მიმდინარე აქტივები ხოლო კომპანიის ვალდებულებები მინიმუმამდე იყოს დაყვანილი. ორივე ატრიბუტი უნდა აკმაყოფილებდეს იმ აუცილებელ მოთხოვნებს, რომელიც ესაჭიროება კომპანიას თავისი ფუნქციის განხორციელებისათვის. ამავე დროს, მათი განსაზღვრაც უნდა მოხდეს ეფექტიანი მენეჯმენტის განხორციელების მეშვეობით.

მიზნობრივი ფუნქციის მოცემული მოდელის რეალიზება უნდა მოხდეს კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით ავტომატიზებულ, ინტერაქტიურ რეჟიმში. ამისათვის სჭიროა კონკრეტული კომპანიისათვის დამუშავდეს მონაცემთა ბაზები, სადაც ასახული იქნება მიმდინარე აქტივებისა და ვალდებულებების ყველა მახასიათებელი ნიშნები,

ინდიკატორული მაჩვენებლები, კომპანიების ფუნქციონირების საკანონმდებლო ნორმატიული აქტები და სხვ. ცხადია, ეს თემა წარმოადგენს კომპანიის ფინანსური მდგრადობის მხარდამჭერი ავტომატიზებული მართვის კონცეფციის კვლევისა და დამუშავების მომდევნო ეტაპს.

კომპანიის ფინანსურ მდგრადობასთან დაკავშირებული საინფორმაციო ველი სტრუქტურულად წარმოადგენს რთულ ინფორმაციულ სისტემას. სირთულე მდგომარეობს ინფორმაციული ველის ელემენტებსა და ამ ელემენტების თვისებებს შორის ლოგიკური კავშირების ძნელად ფორმალიზებადობაში. კომპანიის ფინანსური მდგრადობის ორგანიზაცია და ოპტიმალური მართვის პროცესი მოითხოვს ამ პროცესის ადეკვატური ლოგიკურ-მათემატიკური მოდელის დამუშავებას. ცხადია, მოდელში უნდა იყოს გათვალისწინებული ფინანსური მდგრადობის მიღწევის თანამიმდევრული პროცედურები, მათი ფუნქციები და სპეციფიკა; ფინანსური მოთხოვნილებების, შესაძლებლობების და შეთავაზების დაბალანსებული შეჯერება.

3.4. მიზნობრივი ფუნქციის მოდელის რეალიზება

ინტერაქტიურ რეჟიმში

ფინანსური მდგრადობის მიზნობრივი ფუნქციის ზოგადი მოდელის ინტერაქტიურ რეალიზებაში ვგულისხმობთ მათემატიკურ მოდელში დადგენილი გამოსათვლელი კომპონენტების (საანგარიშო ცვლადების) ოპტიმალური ვარიანტის პოვნას კომპიუტერთან ინტერაქტიურ რეჟიმში, რაც ავტომატიზებულ პროცესს წარმოადგენს.

განვიხილოთ ჩვენს მიერ დამუშავებული კომპანიის ფინანსური მდგრადობის მიზნობრივი ფუნქციის ზოგადი მოდელი, რომელსაც აქვს შემდეგი სახე [1]:

$$F = \begin{cases} W_c = C_a - O_c \Rightarrow \max; \\ \sum C_{ai} \Rightarrow \max, i = \overline{1, n}; \\ \sum O_{cj} \Rightarrow \min, j = \overline{1, m}. \end{cases}$$

სადაც:

W_c - საბრუნავი კაპიტალი;

$C_{ai}, i = \overline{1, n}$ - მიმდინარე აქტივები ფულად ერთეულებში;

$O_{cj}, j = \overline{1, m}$ - კომპანიის ვალდებულებები ფულად ერთეულებში.

ამ მოდელის რეალიზების საწყის ეტაპზე ვიხილავთ ფინანსური მდგრადობის მიღწევის ძირითად პირობებს.

ცხადია, კომპანიის ფინანსური მდგრადობის მიღწევისათვის აუცილებელია სამუშაოები ჩატარდეს რამდენიმე მიმართულებებით. ჩვენი კვლევის საფუძველზე გამოვყავით შემდეგი მთავარი მიმართულებები:

კომპანიის ფინანსური ხელშეწყობის ეფექტიანი მექანიზმის შექმნა;

კომპანიის ინვესტირებისათვის მიმზიდველი გარემოს ფორმირება;

ქვეყნის შიგნით და მსოფლიო ფინანსური კრიზისით გამოწვეული მოსალოდნელიზიანის მინიმიზება;

ინოვაციურ ტექნოლოგიებთან ადაპტირებისა და ამ ტექნოლოგიების რეალიზების პროგრამების დაფინანსება;

კომპანიის ფინანსური მდგრადობის შეფასების თანამედროვე სისტემის აგება.

ასევე, დავადგინეთ კომპანიის ფინანსური მდგრადობაზე მოქმედი შიგა და გარე ფაქტორები.

შიგა ფაქტორები განისაზღვრება კომპანიის შიგა საქმიანობითა და ამ საქმიანობათა დამოკიდებულებებით.

ამ ფაქტორებს მიეკუთვნება:


- დარგში არსებული ძირითადი პრიორიტეტული ეკონომიკური მახასიათებლები;

- აქტივები, მათი შემადგენლობა და სტრუქტურა;
- ფინანსური რესურსების ანუ კაპიტალის სტრუქტურა და მდგომარეობა;
- შესრულებული სამუშაოსა და მომსახურების ხარისხი;
- წარმოებული პროდუქციის შინაარსი;
- დანახარჯისა და მოგების დინამიკა.

გარე ფაქტორები განისაზღვრება გარე ბიზნეს სივრცეთი და მასთან დამოკიდებულებით. ასეთებს მიეკუთვნება:


- ეკონომიკური ციკლის ხანგრძლივობა;
- ეკონომიკის სტაბილურობა;
- ინვესტიციური პოლიტიკა;
- სახელმწიფო მარეგულირებელი გარემო;
- გადახდისუნარიანობის დინამიკის დონე;
- ბაზრის მდგომარეობა და კონკურენტუნარიანობა;
- ფასებისა და სავალუტო კურსის მერყეობა;
- ფასიანი ქაღალდების ბირჟის მდგომარეობა და ამ სივრცეში ასოცირების ხარისხი.

გარდა აღნიშნულისა განვსაზღვრეთ კომპანიის ფინანსური მდგრადობის მიზნობრივი ფუნქციის ძირითადი ნაწილი: ორგანიზაციული ამოცანები, მისი გადაწყვეტის გზა და მიღებული შედეგის ანალიზი – ნახ. 2




ნახ.2. მიზნობრივი ფუნქციის ძირითადი ნაწილის სტრუქტურა

ჩვენ მიერ დამუშავებული ფინანსური მდგრადობის მიზნობრივი ფუნქციის მათემატიკური მოდელის ინტერაქტიური რეალიზების ტექნოლოგია ითვალისწინებს საწყისი მონაცემების მომზადებას, რომელსაც ინფორმაციული მონაცემების ბაზის სახე აქვს; მოდელის რეალიზების მეთოდის არჩევის დასაბუთებას; მიზნობრივი ფუნქციის გამოთვლის კორექტულობას და სიზუსტეს; პერსონალური კომპიუტერის მოდელისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გარემოს არქიტექტურას. ამ პროცესის ზოგადი სქემა წარმოდგენილია ნახ. 3-ზე



ნახ. 3. ფინანსური მდგრადობის მიზნობრივი ფუნქციის მოდელირებისა და რეალიზების ზოგადი სტრუქტურა



ნახ. 4. მათემატიკური მოდელის ინტერაქტიური რეალიზების სტრუქტურული სქემა

კომპანიის ფინანსური მდგრადობის მათემატიკური მოდელის რეალიზების მეთოდი შეიძლება წარმოდგენილი იყოს სამი სახით: გრაფიკული, ანალიტიკური და რიცხვითი მეთოდი. ეს მეთოდები შეიძლება იყოს გამოყენებული ცალკეც და ერთობლივადაც.

როგორც წესი, მართვის თანამედროვე სისტემებში მათემატიკური მოდელების გამოთვლის ძირითად საშუალებად იყენებენ რიცხვითი მეთოდებს. ამ დროს ამოცანის ამოხსნა და შედეგების მიღება ხდება რიცხვებში, სასრული არითმეტიკული ოპერაციების მეშვეობით. რიცხვითი მეთოდით მიღებული შედეგი ყოველთვის არის მიახლოებითი ანუ გააჩნია გარკვეული ცდომილება. აღნიშნული ცდომილების ანალიზის მეშვეობით შესაძლებელია კორექტივების შეტანა და კონკრეტული შედეგის მიღება. ჩვენ შემთხვევაში, კომპანიის ფინანსური მდგრადობის მათემატიკური მოდელის რეალიზებისათვის ვიყენებთ რიცხვით და ანალიტიკურ მეთოდთა ერთობლიობას.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული, ფინანსური მდგრადობის მიზნობრივი ფუნქციის ზემოთ მოცემული მათემატიკური მოდელის ინტერაქტიური რეალიზების სტრუქტურული სქემა მოცემულია ნახ. 4 ზე.

მესამე თავის დასკვნა

ფინანსური მდგრადობის განსაზღვრის უამრავი მახასიათებლიდან ძირითადია განახლებადი და არაგანახლებადი რესურსები. პირველის გამოყენების ტემპი არ უნდა ჭარბობდეს მისი განახლების ტემპებს, ხოლო მეორის ანუ არაგანახლებადი რესურსების გამოყენების ტემპი არ უნდა აჭარბებდეს მდგრადი განახლებადი ჩამნაცვლებლების განვითარების ტემპებს.

აქედან გამომდინარე, ფინანსური მდგრადობის განსაზღვრა და შენარჩუნება ძალზე პრობლემურია. ეს კი ფინანსური მენეჯერებისათვის ქმნის გაურკვევლობის სიტუაციას, რის გამოც ისინი დიდ დროს კარგავენ

ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლების განსაზღვრისას. ხშირია შეცდომები, რაც გადაწყვეტილების მიღების პროცესს ახანგრძლივებს.

საქართველოს მასშტაბით ბიზნესკომპანიის, ან თუნდაც ნებისმიერი საწარმოსათვის ფინანსური მდგრადობის საკითხი წინა პლანზე ჯერ კიდევ არ არის წამოწეული იმ ფორმითა და შინაარსით, როგორც ფინანსურ მდგრადობას ბუნებრივად გააჩნია.

ე.ი. საჭიროება მოითხოვს ჩატარდეს ფინანსური მდგრადობის ანალიზი, რისთვისაც აუცილებელია რაიმე მექანიზმის არსებობა, რომლის მეშვეობითაც, გაირკვევა კომპანიის ძლიერი და სუსტი მხარეები, მისი განვითარების პერსპექტიული მიმართულებები, რამდენად სწორია ფინანსური პოლიტიკის წარმართვისთვის გამოყენებული მეთოდები და ა.შ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ფინანსური მდგრადობის ანალიზის მეთოდის ჩამოყალიბება და პრაქტიკული განხორციელება, რაც ჯერჯერობით არც საქართველოში და არც საზღვარგარეთის ქვეყნებში მეცნიერულად არ არის დამუშავებული და განვიცდით მის დეფიციტს.

გარდა იმისა, რომ კომპანიის ფინანსური მდგრადობა მრავალ ფაქტორთან არის დაკავშირებული იგი ასევე დამოკიდებულია კომპანიის ტიპზე, დანიშნულებაზე, საქმიანობაზე, გავლენის სფეროზე ფინანსურ მოცულობაზე, და ა.შ.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ერთ-ერთ ძირითად ინდიკატორულ მაჩვენებელს **საბრუნავი კაპიტალი წარმოადგენს**. საბრუნავი კაპიტალი გაიგივებულია წმინდა საბაზრო კაპიტალთან.

კაპიტალდაბანდების მცირე მოცულობის უკუგების დროს სრულად ვერ დაკმაყოფილდება კომპანიის ინტერესები, ადგილი ექნება დაბალ რენტაბელობას და შედეგად მესაკუთრეები ვერ მიიღებენ კაპიტალდაბანდების ადექვატურ მოგებას.

დაბალი ფინანსური მდგრადობა იწვევს კომპანიის დამოუკიდებლობის დაკარგვას და იგი ხდება სესხზე და კრედიტორებზე დამოკიდებული. ამას

შედეგად კომპანიის მენეჯმენტი ფასდება უარყოფითად, რასაც შეიძლება მოჰყვეს ზოგიერთი ძლიერი მესაკუთრის გასვლა კომპანიიდან.

ზემოთქმული პრობლემების გადაჭრის მიზნით ავაგეთ მათემატიკური მოდელი ჩვენ მიერ დამუშავებული ფაქტობრივი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, სადაც ძირითადი საანგარიშო მაჩვენებლებია: საბრუნავი კაპიტალი; მიმდინარე აქტივები ფულად ერთეულებში; კომპანიის ვალდებულებები ფულად ერთეულებში ამ მონაცემებით გამოითვლება კომპანიის ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნობრივი ფუნქცია.

მიზნობრივი ფუნქციის მოცემული მოდელის რეალიზება ხდება კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით ავტომატიზებულ, ინტერაქტიურ რეჟიმში. ამისათვის დამუშავებულია მონაცემთა ბაზების აგვის კონცეფცია, სადაც ასახულია მიმდინარე აქტივებისა და ვალდებულებების ყველა მახასიათებელი ნიშნები, ინდიკატორული მაჩვენებლები, კომპანიების ფუნქციონირების საკანონმდებლო ნორმატიულიაქტები და სხვ.

აგებულია შემოთავაზებული, ფინანსური მდგრადობის მიზნობრივი ფუნქციის მათემატიკური მოდელის ინტერაქტიური რეალიზების სტრუქტურული სქემა.

დასკვნები და რეკომენდაციები

ჩვენ მიერ მოძიებული ლიტერატურის დამუშავებამ - კომპანიის ფინანსური მდგრადობის შესახებ, მიგვიყვანა დასკვნამდე ჩაგვეტარებია ფინანსური მდგრადობის შემდეგი ძირითადი ამოცანების ანალიზი:

- შემოსავლების, ხარჯებისა და ფინანსური შედეგების უმთავრესი მუხლების დინამიკისა და მათი თანაფარდობის შესწავლა;
- მოგებისა და ზარალის ანგარიშების ცალკეული შემადგენელი ელემენტების ხვედრითი წონის დადგენა საბოლოო ფინანსური შედეგის ფორმირებაში;
- ფინანსური შედეგების მაჩვენებელთა ცვლილებების გამომწვევი მიზეზების გამოვლენა და საქმიანობის ეფექტიანობაზე მისი ზემოქმედების შეფასება;
- ფინანსური შედეგის პროგნოზირება.

შევადგინეთ შემდეგი სახის კითხვები, რომელიც ითხოვს პასუხს ფინანსური მდგრადობის შესახებ:

- რა ხვედრითი წონა უკავია შემოსავლებისა და ხარჯების ცალკეულ შემადგენელ ელემენტს ფინანსური შედეგების მაჩვენებელთა ფორმირებაში;
- წინა საანგარიშგებო პერიოდთან შედარებით რა მიზეზებმა გამოიწვიეს ცვლილებები მიმდინარე საანალიზო პერიოდში;
- რამდენად სტაბილურია გაწეული ხარჯები და მიღებული შემოსავლები, რამდენად შესაძლებელია მათი მიღება მომავალში.
- მოგება-ზარალის ანგარიშგების ვერტიკალური ანალიზის დროს, ანუ მისი სტრუქტურის ანალიზისას აუცილებელია შევაფასოთ ანგარიშგების ცალკეული შემადგენელი ელემენტის ხვედრითი წონა და გაყიდვებიდან ამონაგების სიდიდეები.

ანალიზის დროს საჭიროა მხედველობაში იყოს მიღებული შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები:

- საერთო მოგების თანაფარდობა ამონაგებთან, რომელიც ახასიათებს გაყიდვების ყოველ ლარზე მიღებული მოგების ხვედრით წონას, რაც შეიძლება მიმართულ იქნეს კომერციული და მმართველობითი ხარჯების დასაფარავად, ასევე გაყიდვებიდან მიღებული მოგების ფორმირებაზე;
- გაყიდვებიდან მიღებული მოგების თანაფარდობა ამონაგებთან, რომელიც გვიჩვენებს გაყიდვების რენტაბელობის რეალურ სინამდვილეს, რადგან აღნიშნული მაჩვენებელი არ განიცდის იმ ელემენტების გავლენას, რომლებიც არ მიეკუთვნება გაყიდვებს და ამდენად, შესაძლებლობას იძლევა, საწარმოს ძირითადი საქმიანობის პროცესში, მაქსიმალურად ზუსტად შეფასდეს გაყიდვების მართვის ეფექტიანობა;
- დაბეგვრამდე მოგების ამონაგებთან თანაფარდობის მაჩვენებელი იმით განსხვავდება წინა მაჩვენებლისგან, რომ მისი სიდიდე იცვლება არა მხოლოდ შემოსავლებისა და ხარჯების ცვლილებით, რაც წარმოიქმნება პროდუქციის წარმოებისა და გაყიდვების პროცესში, არამედ სხვა შემოსავლებითა და ხარჯებით.

ჩატარებულია ანალიზური პროცედურები შემდეგი თანმიმდევრობით:

- მოგებისა და ზარალის შესახებ მმართველობითი ანგარიშგების ანალიზი პასუხისმგებლობის ცენტრების ჭრილით;
- მიღებული ფინანსური შედეგის ხარისხობრივი შეფასება და მომავალში შედეგების პროგნოზირება;
- შემოსავლიანობის ანალიზი.

განვსაზღვრეთ გრძელვადიანი აქტივების შემდეგი სტრატეგიული სარგებელი:

- ის საშუალებას აძლევს ორგანიზაციას აწარმოოს პროდუქცია ან გასწიოს მომსახურება, რომელიც კონკურენტებს არ შეუძლიათ.
- ის ხელს უწყობს პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესებას შეცდომების შემცირების გზით.
- ის ხელს უწყობს პროდუქტის წარმოებისათვის საჭირო ციკლის დროის შემცირებას.

დავასკვნით, რომ გრძელვადიანი აქტივების შეძენის გადაწყვეტილება აუცილებლად საჭიროებს გადახედვას რადგანაც ის როგორც წესი, სუბიექტურ ფაქტორებს ეფუძნება. და არის ძალიან ფასეული ანალიზი გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის.

განხილულია ფინანსური ანგარიშგების ანალიზის კონცეპტუალური ჩარჩო, სადაც ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად გამოყენებულია ფინანსური კოეფიციენტები. ეს მონაცემები გვამღევეს შეფასებას კომპანიის ფინანსური მდგომარეობის და მომგებიანობის შესახებ დროში.

დავამუშავეთ ფულის დროითი ღირებულების გაანგარიშების მათემატიკური მოდელი ნებისმიერი საპროცენტო განაკვეთისა და ნებისმიერი დროისათვის.

ჩამოვყალიბეთ ფინანსური მდგრადობის ანალიზის მეთოდიკა და ვაჩვენეთ მისი პრაქტიკული განხორციელების გზები, რაც ჯერჯერობით არც საქართველოში და არც საზღვარგარეთის ქვეყნებში მეცნიერულად არ არის დამუშავებული და განვიცდით მის დეფიციტს.

აგებულია მათემატიკური მოდელი ჩვენ მიერ დამუშავებული ფაქტობრივი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, სადაც ძირითადი საანგარიშო მაჩვენებლებია: საბრუნავი კაპიტალი; მიმდინარე აქტივები ფულად ერთეულებში; კომპანიის ვალდებულებები ფულად ერთეულებში ამ მონაცემებით გამოითვლება კომპანიის ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნობრივი ფუნქცია. მიზნობრივი ფუნქციის მოცემული მოდელის რეალიზება ხდება კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით ავტომატიზებულ, ინტერაქტიურ რეჟიმში. ამისათვის დამუშავებულია მონაცემთა ბაზების აგების კონცეფცია, სადაც ასახულია მიმდინარე აქტივებისა და ვალდებულებების ყველა მახასიათებელი ნიშნები.

აგებულია შემოთავაზებული, ფინანსური მდგრადობის მიზნობრივი ფუნქციის მათემატიკური მოდელის ინტერაქტიური რეალიზების სტრუქტურული სქემა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. ვ. პაპავა, სამრეწველო საწარმოს ორგანიზაცია, დაგეგმვა და მართვა თბილისი 1985
2. ჯეიმს ს. ვან ჰორნი, ჯონ მ. ვაპოვიჩი უმცროსი „ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები, მეთორმეტე გამოცემა, თბილისი 2008;
3. ე. ა. ატკინსონი, რ. ს. კაპლანი, ს. მ. იანგი, მმართველობითი აღრიცხვა, სახელმძღვანელო, თარგმანი ინგლისურიდან, მე-5 გამოცემა
4. Myle Bassel – Menejerial Accounting Basics, 2011
5. ი. ჭილაძე - „მმართველობითი აღრიცხვა“, თბილისი, 2012;
6. მ.ჯიქია, რ. ჩეჩელაშვილი, გ. ბურდული - „ეკონომიკური ანალიზი“, თბილისი, 2010;
7. მ. ჯიქია, ფინანსური ანალიზი, თბ. 2011;
8. ი. ჭილაძე - „ფინანსური ანალიზი“ თბ. 2015
9. ე. ა. ატკინსონი, რ. ს. კაპლანი, ს. მ. იანგი - მმართველობითი აღრიცხვა, სახელმძღვანელო, თარგმანი ინგლისურიდან, მე-5 გამოცემა;
10. გრ. მენქიუ - „ეკონომიკის პრინციპები“, 2005;
11. დრური ვ. - მმართველობითი აღრიცხვა, მოსკოვი, 2004;
12. Lawrence A. Gordon – Menejerial Accounting, Workbook, 2005;
13. Peter Brever – Menejerial Accounting, Hordcover, 2007;
14. Ray H Garrison – Menejerial Accounting, 2009;
15. Myle Bassel – Menejerial Accounting Basics, 2011,
16. Lawrence A. Gordon – Menejerial Accounting, Workbook, 2005;
17. Peter Brever – Menejerial Accounting, Hordcover, 2007;
18. Ray H Garrison – Menejerial Accounting, 2009;
19. Myle Bassel – Menejerial Accounting Basics, 2011; Патров В.В., Ковалёв В.В., Как читать баланс. „Финансы и статистика“. 256 с, М. 2000
20. Селезнёва И.Н., Ионова А.Ф., Финансовый анализ. Управление финансами. Учебное пособие ЮНИТИ – ДАНА. 639с, М. 2006
21. Шеремет А.Д., Негашев Е.В. Методика финансового анализа. ИНФРА. 208с. М. 2005.